F-171
1982

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო

# ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებული

ISSN 0206-2674

თბილისი
1982

## № 8

აგვისტო АВГУСТ

МИНИСТЕРСТВО ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

# СБОРНИК ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ

ТБИЛИСИ
1982

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქტორი ე. ქურციკიძე
ტექრედაქტორი ა. ბაკურაძე
კორექტორი დ. დოლიძე

გადაეცა ასაწყობად 4/X-82 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 14/XII-82 წ.
ანაწყობის ზომა $6^1/_4 \times 9^1/_4$; ქაღალდის ზომა 60×84; ნაბეჭდი თაბახი 5,5
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,8

შეკვ. № 661 უე 05888 ტირაჟი 6000

უფასო

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სტამბა, ნუცუბიძის ქ. № 7
Типография Министерства просвещения ГССР, ул. Нуцубидзе № 7

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1982 წლის 27 მაისის გადაწყვეტილება

### რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და სახალხო განათლების ორგანოებში ერთიანი ენობრივი რეჟიმის დაცვის მდგომარეობისა და გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

როგორც საინსპექტორო შემოწმებით და შემოსული მასალებით ირკვევა, რესპუბლიკის რიგი რაიონების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და სახალხო განათლების ორგანოებში გარკვეული ყურადღება ეთმობა ერთიანი ენობრივი რეჟიმის დაცვას. სკოლების პედაგოგიური კოლექტივები და სახალხო განათლების განყოფილებათა, მეთოდკაბინეტების მუშაკები უფრთხილდებიან მშობლიური ენის სიწმინდეს, სკოლისა თუ დაწესებულებების გაფორმებისას, სხვადასხვა დოკუმენტების, საქმიანი ქაღალდების წარმოების, აგრეთვე ყოველდღიური სამსახურებრივი ურთიერთობის დროს იცავენ ლიტერატურული ენის ნორმებს, თვალყურს ადევნებენ, რათა ადგილი არ ექნეს მოსწავლეთა წერით თუ ზეპირ მეტყველებაში ჟარგონებისა და ბარბარიზმის, დიალექტური გამოთქმების გამოყენების შემთხვევებს.

ამ მხრივ გარკვეული მუშაობა აქვთ ჩატარებული მახარაძის, გეგეჭკორისა და ყვარლის რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებს, მათ მეთოდურ კაბინეტებს, მახარაძის 1-ლ, მე-2, მელექედურის, გეგეჭკორის მე-2, სალხინოს, ლეცავეს, სერგიეთის, ყვარლის რაიონის ენისელისა და შილდის საშუალო სკოლებს, რომელთაც ქმედითი ღონისძიებები გაუტარებიათ იმ მოთხოვნათა მატერიალიზაციისათვის, რომელიც საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 10 აპრილის № 232 დადგენილებით, აგრეთვე შესაბამისად საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1979 წლის 19 ივლისის გადაწყვეტილებით იქნა დასახული სახალხო განათლების სისტემის წინაშე.

გატარებული ღონისძიებების შედეგად ამაღლდა მასწავლებელთა და მოსწავლეთა მეტყველების კულტურა, გაუმჯობესდა სასკოლო დოკუმენტების წარმოება, ძირითადად ლიტერატურული ენით იწერება სახალხო განათლების განყოფილებების, მათი მეთოდური კაბინეტების მეთოდსაბჭოების, სკოლების პედაგოგიური საბჭოების, სარაიონო და სასკოლო მეთოდური გაერთიანებების სხდომის ოქმები და მათი მუშაობის ამსახველი სხვა მასალები, სასკოლო ინსპექტორებისა და მეთოდისტების მოხსენებითი ბარათები. სკოლებში შექმნილია ენის საგუშაგოები, მართლწერისა და მართლმეტყველების კუთხეები, რომელთა საქმიანობაზე ხელმძღვანელობა დაკისრებული აქვს დირექტორის რომელიმე



კ. მარქსის სახ. საქ.
სსრ სახელმწიფო
რესპუბლიკური

მოადგილეს ან ქართული ენისა და ლიტერატურის მოწინავე მასწავლებელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამასთან, შემოწმებული რაიონების განათლების განყოფილებებს, მათ მეთოდურ კაბინეტებსა და სკოლებს ერთიანი ენობრივი რეჟიმის დაცვის საქმეში ახასიათებთ სერიოზული ნაკლოვანებანი: ისინი ჯეროვნობით ვერ უზრუნველყოფენ მოსწავლეთა და პედაგოგიური კოლექტივების მოქნილ მუშაობას, არ შეინიშნება სკოლის ხელმძღვანელთა და ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა ორგანიზატორული როლი ამ საქმეში. ერთიანი ენობრივი რეჟიმის დაცვის საკითხი არ არის გამხდარი განათლების განყოფილებების, მათი მეთოდური კაბინეტებისა და სკოლების ხელმძღვანელთა სპეციალური მსჯელობის საგანი, არ ხდება მოწინავე სკოლებისა და მასწავლებელთა მუშაობის შესწავლა, განზოგადება და პრაქტიკაში დანერგვა, რის შედეგადაც, მასწავლებელთა ერთი ნაწილი სუსტად მუშაობს როგორც მოსწავლეთა, ისე საკუთარი ზეპირი და წერითი მეტყველების კულტურის ამაღლებაზე.

დაწყებითი კლასების მასწავლებლები არ ითვალისწინებენ იმას, რომ მათ უნდა ჩაუყარონ საფუძველი მოსწავლეთა წიგნიერებას, ზეპირი და წერითი მეტყველების კულტურას.

IV—X კლასების მასწავლებლები ჯეროვან მუშაობას არ ატარებენ მოსწავლეთა მიერ სასწავლო ტექსტისა და მასწავლებლის სიტყვის სრულყოფილი აღქმისათვის, მტკიცედ არ იბრძვიან ჟარგონული, ვულგარული და დიალექტური სიტყვებისა და გამოთქმების აღსაკვეთად წერასა და საუბარში; ზეპირი პასუხების შეფასებისას ყურადღებას არ აქცევენ მოსწავლეთა თხრობის ლოგიკურ წყობასა და სწორ სიტყვიერ გაფორმებას, ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების სწორად გამოყენებას, გამონათქვამების გარკვეული სტილით აგებას, პასუხის გაცემას ზომიერად ხმამაღლა, გამოკვეთილად ლოგიკური მახვილის, პაუზისა და სწორი ინტონაციის დაცვით, წერითი ნამუშევრების შეფასებისას კი არ ითვალისწინებენ გრამატიკულ და პუნქტუაციურ შეცდომებს, ნამუშევრის წიგნიერად, სუფთად და ლამაზად გაფორმებას.

სკოლების ერთ ნაწილში ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა ინტერიერებში, დერეფნებსა და პიონერთა ოთახებსა თუ სასწავლო კაბინეტებში გაკრული ლოზუნგების, პლაკატების, განცხადებებისა და კედლის გაზეთების გაფორმებას სალიტერატურო ქართული ენის ნორმების დაცვით.

ეს ნაკლოვანებანი იმითაა გამოწვეული, რომ განათლების განყოფილებების აპარატის, მათი მეთოდური კაბინეტების მუშაკები და სკოლების ხელმძღვანელები არ ისმენენ გაკვეთილებს ამ კუთხით და მისი ანალიზისას ნაკლებ ყურადღებას აქცევენ, რა მუშაობას ატარებს მასწავლებელი ერთიანი ენობრივი რეჟიმის დასაცავად.

შემოწმებული სკოლების კლასის ხელმძღვანელები სააღმზრდელო გეგმებში არ ითვალისწინებენ საუბრებს მშობლებთან სკოლასა და

ოჯახში მოსწავლეთა მეტყველებისადმი წაყენებული ერთიანი მოთხოვნების შესრულების საკითხებზე.

ბიბლიოთეკა

კოლეგიამ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო, ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებმა, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველომ:

1. 1. აამაღლონ განათლების განყოფილების აპარატის, მეთოდური სამსახურის მუშაკთა და სკოლების ხელმძღვანელთა პერსონალური პასუხისმგებლობა ერთიანი ენობრივი რეჟიმის დაცვისათვის იმ მოთხოვნათა განსახორციელებლად, რასაც საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს 1979 წლის № 232 დადგენილება და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1979 წლის 19 ივლისის შესაბამისი გადაწყვეტილება აყენებენ სახალხო განათლების ორგანოებისა და სკოლების წინაშე.

1. 2. პერიოდულად შეისწავლონ და გააანალიზონ ერთიანი ენობრივი რეჟიმის დაცვისათვის სკოლების, მათი მასწავლებლების მიერ გაწეული მუშაობა, განაზოგადონ და ყველა მასწავლებლის კუთვნილებად აქციონ ამ საქმეში მოპოვებული წარმატებანი, დასახონ ქმედითი ღონისძიებანი არსებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად.

1. 3. თავიანთ მუშაობაში გაითვალისწინონ, რომ სკოლებში ერთიანი ენობრივი რეჟიმის დაცვა შეიძლება წარმატებით განხორციელდეს მხოლოდ მთელი პედაგოგიური კოლექტივის მიზანსწრაფული და კვალიფიციური მოქმედებით.

1. 4. სკოლების ხელმძღვანელთა მიზანმიმართული მუშაობით უზრუნველყონ ყველა საგნის მასწავლებლის, სკოლის ტექნიკურ მუშაკთა და მოსწავლეთა წერითი და ზეპირი მეტყველების კულტურის განუხრელი ამაღლება, წერასა და საუბარში ჟარგონული, ვულგარული და დიალექტური სიტყვებისა და გამოთქმების აღმოფხვრა, ყველა სასკოლო დოკუმენტის, შენობის ინტერიერების, დერეფნების, სასწავლო კაბინეტების, პიონერთა ოთახებისა და ბიბლიოთეკების ლიტერატურული ქართული ენის ნორმების ზუსტი დაცვით გაფორმება.

1. 5. მასწავლებელთა შრომის შედეგების შეფასებისას მხედველობაში მიიღონ გაკვეთილის ენობრივი კულტურა, მოთხოვნები, რომლებსაც ისინი უყენებენ მოსწავლეებს წერილობითი თუ ზეპირი მსჯელობის დროს.

2. მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურმა ინსტიტუტმა (ამხ. მ. დარჩია) საკურსო ღონისძიებათა გეგმაში გაითვალისწინოს საკითხები წერისა და მეტყველების კულტურის ამაღლების შესახებ.

3. ჟურნალმა „სკოლა და ცხოვრებამ“ (ამხ. ა. გოგელია), გაზეთმა „სახალხო განათლებამ“ (ამხ. ნ. შველიძე) ფართო ადგილი დაუთმონ ენობრივი სიწმინდის დაცვისათვის სკოლებისა და სახალხო განათლე-

ბის განყოფილებათა ზრუნვას, განაზოგადონ ამ მიმართებით დაგროვი-
ლი მოწინავე გამოცდილება.

4. სკოლების სამმართველომ (ამხ. კ. სუჯაშვილი) სამინისტროს სამმართველო-განყოფილებებთან და მეთოდურ დანაყოფებთან ერთად, საინსპექტორო შემოწმებისა და მეთოდური მუშაობის დროს ადგილებზე განსაკუთრებული შეფასება მისცეს სკოლებისა და სახალხო განათლების ნებისმიერი დაწესებულების მიერ ენობრივი კულტურის დაცვის, საქმის წიგნიერად წარმოების მდგომარეობას. მანვე სისტემატური კონტროლი დააწესოს ამ გადაწყვეტილების შესრულებაზე.

5. აღნიშნული გადაწყვეტილებისა და თანდართული ცნობის შინაარსი გამოქვეყნდეს გაზეთ „სახალხო განათლებაში“, ხოლო სრული ტექსტი — სამინისტროს ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებულში.

**კოლეგიის თავმჯდომარე,**

**მინისტრი ო. ქინქლაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ც ნ ო ბ ა

## ერთიანი ენობრივი რეჟიმის დაცვისათვის მახარაძის, გეგეჭკორისა და ყვარლის რაიონების განათლების განყოფილებების, მათი მეთოდური კაბინეტებისა და სკოლების მუშაობის შ ე ს ა ხ ე ბ

მიმდინარე წლის მარტში განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველომ მახარაძის, გეგეჭკორისა და ყვარლის რაიონებში შეისწავლა განათლების განყოფილებების, მეთოდური კაბინეტებისა და სკოლების მიერ გაწეული მუშაობა ერთიანი ენობრივი რეჟიმის დაცვისათვის. შემოწმების მიზანი იყო მათი საქმიანობის დადებითი გამოცდილების გაცნობა, არსებული ნაკლოვანებების გამოვლენა, ამ ნაკლოვანებათა გამომწვევი მიზეზების ანალიზი და მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით ადგილებზე პრაქტიკული დახმარების გაწევა.

მუშაობის პროცესში ბრიგადის წევრები გაეცნენ მახარაძის, გეგეჭკორისა და ყვარლის რაიონების 19 სკოლის (18 საშუალო, 1 რვაწლიანი), განათლების განყოფილებებისა და მათი მეთოდური კაბინეტების მუშაობას.

საკითხის შესწავლით დადგინდა, რომ მახარაძის, გეგეჭკორისა და ყვარლის რაიონების განათლების განყოფილებებს, მეთოდურ კაბინეტებსა და სკოლებს გარკვეული მუშაობა აქვთ ჩატარებული ერთიანი ენობრივი რეჟიმის დაცვისათვის იმ მოთხოვნათა პრაქტიკულად განსახორციელებლად, რასაც განათლების ორგანოებისა და სკოლების წინაშე აყენებენ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 10 აპრილის № 232 დადგენილება „რესპუბლიკის სასწავლებლებში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მდგომარეობისა და გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ" და შესაბამისად საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1979 წლის 19 ივლისის გადაწყვეტილება „რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ".

ქართული ენა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო ენაა. ზრუნვა მისი შემდგომი განვითარება-გამდიდრებისა და სიწმინდის დაცვისათვის საერთო-სახალხო, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანად არის ქცეული.

სწორედ ამ სახელმწიფოებრივი ზრუნვის უტყუარი დადასტურებაა ზემოაღნიშნული საეტაპო დოკუმენტები, რომლებშიც ნათლად არის ნაჩვენები იმ დიდი მუშაობის შედეგები, რაც რესპუბლიკაში გაკეთდა და კეთდება ქართული ენის განვითარებისა და აყვავებისათვის საბჭოთა ხელისუფლების წლებში.

ამ ფუძემდებლური დადგენილებისა და გადაწყვეტილების შუქზე მშობლიური (ქართული) ენის სწავლების დიდი სახელმწიფოებრივი,

საერთო-სახალხო განათლების მნიშვნელობა ჯეროვნად აქვთ გააზრებული რესპუბლიკის სახალხო განათლების ორგანოებს, სკოლებს, ქართული ენისა და ლიტერატურის და სხვა საგნების მასწავლებლების დიდ ნაწილს. ამიტომ არის, რომ ისინი ეწევიან ყოველდღიურ პრაქტიკულ შემოქმედებით საქმიანობას, ატარებენ კონკრეტულ ღონისძიებებს მოსწავლეთა მიერ ქართული ლიტერატურული ენის დასაუფლებლად, მათი გამართული ზეპირი და წერითი მეტყველების მაღალი დონის მისაღწევად მათემატიკასა და ფიზიკაში, ბუნებისმცოდნეობასა და ქიმიაში, ისტორიასა და გეოგრაფიაში და სხვა საგნებში. მშობლიური ენის დაუფლება მყარ, მტკიცე საფუძველს ქმნის მეორე მშობლიური ენის, რუსული ენის, აგრეთვე უცხოური ენის დასაუფლებლად. „...ეს გასაოცარი პედაგოგი—დედაენა, არა მარტო ბევრ რამეს გვასწავლის, არამედ გვასწავლის ძალიან ადვილად, რაღაც საოცრად და შემაიოლებელი მეთოდით“ (კ. დ. უშინსკი).

განათლების განყოფილებებისა და სკოლების დირექტორების მიერ ერთიანი ენობრივი რეჟიმის დაცვის საქმეში პედაგოგიური კოლექტივების მუშაობის გაუმჯობესების მიზნით გატარებული ღონისძიებების შედეგად რამდენადმე ამაღლდა არა მარტო მოსწავლეთა, არამედ სკოლის მასწავლებელთა და ტექნიკურ მუშაკთა მეტყველების კულტურა, გაუმჯობესდა დოკუმენტების ლიტერატურული ენით გაფორმების საქმე. ძირითადად დამაკმაყოფილებლად არის დაწერილი სახალხო განათლებისა და მეთოდური საბჭოების ოქმები, დირექტორების თათბირის დღიურები, სარაიონო და სასკოლო მეთოდური გაერთიანებების ერთი ნაწილის მუშაობის ამსახველი მასალები, სასკოლო ინსპექტორებისა და მეთოდისტების მიერ შედგენილი მოხსენებითი ბარათები, განათლების განყოფილებებისა და მეთოდკაბინეტების წლიური სამუშაო გეგმები და სხვ.

ერთიანი ენობრივი რეჟიმის დაცვის საკითხს გარკვეულ ყურადღებას უთმობს მახარაძის 1-ლი, მე-3, მელექედურის (დირექტორები: ხ. ხავთასი, ვ. კილაძე, შ. თოდრია), გეგეჭკორის რაიონის ლეცავეს, სალხინოს (დირექტორები: ა. კუხალაშვილი, მ. ცაავა), ყვარლის რაიონის ენისელის (დირექტორი ო. ფოთოლაშვილი) საშუალო სკოლები.

მათ ერთ ნაწილში შექმნილია ენის საგუშაგოები, მართლწერისა და მართლმეტყველების კუთხეები, რომელთა ხელმძღვანელობა დავალებული აქვთ დირექტორის რომელიმე მოადგილეს ან ქართული ენისა და ლიტერატურის ერთ-ერთ მასწავლებელს.

კარგად მუშაობს მახარაძის მე-3 საშუალო სკოლის ენის საგუშაგო, იგი ყოველთვიურად აქვეყნებს მასალებს რუბრიკით „ვილაპარაკოთ და ვწეროთ სწორი ქართულით“. ამგვარი მუშაობაა ჩატარებული მახარაძის 1-ლ, მელექედურისა და ვაკიჯვრის, გეგეჭკორის რაიონის ლეცავეს, სალხინოს, ყვარლის რაიონის ენისელის საშუალო სკოლებში.

ძირითადად დამაკმაყოფილებლად არის დაცული ქართული ენის სიწმინდე მახარაძის 1-ელ, მე-3, მელექედურის, გეგეჭკორის რაიონის — ლეცავეს, სალხინოს, სერგიეთის, ყვარლის რაიონის შილდის საშუალო სკოლების მუშაობის ამსახველ მასალებში.

დამაკმაყოფილებელია სკოლის წლიური სამუშაო გეგმებისა და მოსმენილი გაკვეთილების ანალიზების ენობრივი მხარე მახარაძის 1-ლ, მელექედურის, გეგეჭკორის მე-2, ლეცავეს, სალხინოს, სერგიეთის, ყვარლის რაიონის ენისელისა და შილდის საშუალო სკოლებში (დირექტორები: ნ. ხავთასი, შ. თოდრია, დ. კილასონია, ა. კუხალაშვილი, მ. ცაავა, მ. ცეცხლაძე, ო. ფოთოლაშვილი, თ. თევდორაშვილი).

ენის სიწმინდის დაცვისა და მოსწავლეთა ზეპირი და წერითი მეტყველების კულტურის დონის ამაღლება — განვითარებისათვის გაკვეთილებზე ძირითადად დამაკმაყოფილებლად მუშაობენ მასწავლებლები: მახარაძის რაიონში: თ. თავბერიძე, დ. გოგოძე, ზ. კალანდარიშვილი, ც. მალაზონია (მახარაძის მე-3 საშუალო სკოლა), ვ. გარაყანიძე, ვ. ქათამაძე, მ. სურგულაძე (მელექედურის საშუალო სკოლა), ქ. ნაფეტვარიძე (1-ლი საშუალო სკოლა); გეგეჭკორის რაიონში: ნ. ვახანია, გ. ბასილაია, მ. კვეხელავა (ლეცავეს საშუალო სკოლა), თ. ხარებავა, ნ. კიკილაშვილი, შ. კუხალაშვილი (სალხინოს საშუალო სკოლა), დ. ჯღარკავა, ლ. ბაჩილავა, ნ. ბაჩილავა (ინჩხურის საშუალო სკოლა), ვ. მიქაია (ონოღიის საშუალო სკოლა); ყვარლის რაიონში: ზ. ტეტუბოშვილი, თ. წიქარიშვილი (ენისელის საშუალო სკოლა), ც. გულიაშვილი, რ. ხიზანიშვილი (შილდის საშუალო სკოლა).

ამასთან, ერთიანი ენობრივი რეჟიმის დაცვის საქმეში მახარაძის, გეგეჭკორისა და ყვარლის რაიონების განათლების განყოფილებების, მეთოდური კაბინეტებისა და სკოლების მუშაობა ხასიათდება მთელი რიგი არსებითი ხასიათის ნაკლოვანებებით.

ერთიანი ენობრივი რეჟიმის დაცვის საკითხები შემოწმების ღირსათვის არ იყო გამხდარი განათლების განყოფილებების, მეთოდური კაბინეტებისა და სკოლების ხელმძღვანელთა სპეციალური მსჯელობის საგანი.

განათლების განყოფილებები, მეთოდური კაბინეტები და სკოლების ერთი ნაწილი ჯერჯერობით ვერ უზრუნველყოფენ აღნიშნული საეტაპო დოკუმენტების შესაბამისად მოსწავლეთა და პედაგოგიური კოლექტივების მოქნილ მუშაობას ერთიანი ენობრივი რეჟიმის განუხრელად დაცვის საქმეში, არ შეინიშნება სკოლის ხელმძღვანელთა და ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა ორგანიზატორული როლი ამ საქმეში. ისინი არ ითვალისწინებენ იმას, რომ სკოლებში ერთიანი ენობრივი რეჟიმის დაცვა შეიძლება წარმატებით განხორციელდეს მხოლოდ მთელი პედაგოგიური კოლექტივების მიზანსწრაფული და კვალიფიციური მოქმედების შედეგად.

დაწყებითი კლასების მასწავლებლები საკმაოდ არ მუშაობენ იმისათვის, რომ სისტემატურად სრულყონ მოსწავლეთა წარმოდგენას მშობლიური ენის სიმდიდრეზე, ჯეროვნად არ ზრუნავენ მოსწავლეთა მიერ ლიტერატურული ენის ნორმების რეგულარულად დაცვაზე, განსაკუთრებულ ყურადღებას არ აქცევენ მათი წერითი მეტყველების კულტურის ამაღლების საქმეს, არ ითვალისწინებენ გაბმული მეტყველების უნარჩვევების გამომუშავებას, იმას, რომ 0-III კლასებში ეყრება საფუძველი მოსწავლეთა წიგნიერებისა და სწორი ზეპირი და წერითი მეტყველების კულტურას.

მასწავლებელმა თ. თავბერიძემ (მახარაძის მე-3 საშუალო სკოლა) არ იცის, რომ სწორი ფორმებია „ახლა“, „პლუსი“, „ეგ“. მასვე გაუსწორებლად აქვს დატოვებული 1-ლი კლასის მოსწავლე ა. კილურაძის საკლასო ნამუშევარში დაშვებული შემდეგი შეცდომები: „ავტობუში 7 მამაკაცი და 4 ქალია კიდევ მიემატა, 18 მგზავრი რამდენი მგზავრია ახლა ავტობუში“?

მსგავს შეცდომებს ადგილი აქვს მასწავლებლების — მ. დევაძის (მახარაძის რაიონის სოფ. დვაბზუს რვაწლიანი სკოლა), მ. წოწორიას (გეგეჭკორის რაიონის სოფ. ინჩხურის საშუალო სკოლა) მეტყველებაშიაც.

IV—X კლასების ქართული ენისა და ლიტერატურის და სხვა საგნების მასწავლებლები არ ატარებენ ჯეროვან მუშაობას მოსწავლეთა მიერ სასწავლო ტექსტებისა და მასწავლებლების სიტყვის სრულყოფილი აღქმისათვის, გაკვეთილზე და გაკვეთილგარეთ მტკიცედ არ იბრძვიან ჟარგონული, ვულგარული და დიალექტური სიტყვებისა და გამოთქმების წერასა და მეტყველებაში გამოყენების აღსაკვეთად.

ქართული ენისა და ლიტერალუტრის მასწავლებლები არ აფრთხილებენ სხვა საგნების მასწავლებლებს მოსწავლეთა და თვითონ მათ გამოთქმებში არსებული ნაკლოვანებების შესახებ და არ ატარებენ კონსულტაციებს დაშვებული შეცდომების გასწორების საკითხებზე.

სწორედ ზემოაღნიშნულის შედეგად და იმის გამოც, რომ სათანადოდ ვერ ერკვევიან ქართული ენის ორთოგრაფიის, ორთოეპიის, პუნქტუაციისა და სტილისტიკის საკითხებში, ისეთი ენერგიული მასწავლებლებიც კი, როგორებიც არიან მახარაძის რაიონდან დ. გოგოძე, რ. კალანდარიშვილი, ც. მალაზონია, ვ. ქათამაძე, მ. სურგულაძე, ა. ღლონტი; გეგეჭკორის რაიონიდან: დ. ჯლარკავა, ლ. ბაჩილავა, ფ. მიქაია, გ. ბერიაშვილი და ნ. ჩიტრეკაშვილი გაკვეთილებზე ვერ მეტყველებენ გამართულად.

მოსწავლეთა მეტყველების კულტურის ამაღლებისათვის სუსტად მუშაობენ ლ. ბასილაია, დ. დარჯანია, პ. ბახია (გეგეჭკორის რაიონი), ა. სირაძე (მახარაძის რაიონი).

მასწავლებელ ლ. ბასილაიას მეტყველებაში ბევრი არასწორად

წარმოთქმული სიტყვა და გაუმართავი წინადადება შეიმჩნევა: „ნუ, რა თქმა უნდა“, „ჩვენი ქვეყნის ურთიერთობა არა თუ სოციალისტურ ქვეყნებთან, არამედ კაპიტალისტურ ქვეყნებთან კარგი იყო“, „მნიშვნელოვნად“, „ავღნიშნავთ“, აღარაფერს ვამბობთ მოსწავლეთა მეტყველების დაბალ დონეზე. მსგავს შეცდომებს უშვებენ თხრობაში სხვა სუსტად მომუშავე მასწავლებლები.

ეს და სხვა მასწავლებლები, რომელთა მუშაობაც შევამოწმეთ, გაკვეთილებზე უნებლიედ უშვებენ ბევრ ენობრივ უზუსტობასა და ვერ ასწორებენ მოსწავლეთა მიერ დაშვებულ შეცდომებს; ნაკლებად ზრუნავენ მოსწავლეებში გაბმული, ზომიერად ხმამაღალი და გამართული წერითი და ზეპირი მეტყველების ჩვევების აღზრდისათვის, მოსწავლეთა აქტიური შემეცნების განვითარებისათვის.

შემოწმებული სკოლების არც ერთი კლასის ხელმძღვანელი კლასთან მუშაობის სააღმზრდელო გეგმებში არ ითვალისწინებს საუბრების ჩატარებას მშობლებთან სკოლასა და ოჯახში მოსწავლეთა მეტყველებისადმი წაყენებული ერთიანი მოთხოვნების შესრულების მიზნით.

ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა სკოლების ინტერიერებში, დერეფნებში, პიონერთა ოთახებსა და სასწავლო კაბინეტებში გაკრული ლოზუნგების, პლაკატების, მოსწავლეთა და მასწავლებელთა კედლის გაზეთებისა და განცხადებების სალიტერატურო ქართული ენის ნორმების დაცვის მიხედვით გაფორმებას (მახარაძის მე-3, დვაბზუს, გეგეჭკორის რაიონის სერგიეთის, ონოლიის, ინჩხურის, ყვარლის რაიონის საბუისა და გრემის საშუალო სკოლები). სტილურად გაუმართავია და ენობრივი ლაფსუსებია დაშვებული მახარძის, გეგეჭკორისა და ყვარლის რაიონების მეთოდურ კაბინეტებთან არსებულ სარაიონო მეთოდური გაერთიანებების სხდომის ოქმებში.

მოუთმენელი შეცდომებია დაშვებული მახარაძის რაიონის 1-ლი, მე-3, მელექედურის საშუალო და დვაბზუს რვაწლიანი სკოლების საგნობრივი მეთოდური გაერთიანების მუშაობის ამსახველ მასალებში. მსგავსი მდგომარეობაა გეგეჭკორის რაიონის ონოლიისა და ინჩხურის საშუალო სკოლების მეთოდგაერთიანებათა მუშაობაშიც.

ენობრივი შეცდომებია დაშვებული მელექედურის საშუალო სკოლის 1979 წლის 5 დეკემბრის № 4 პედაგოგიური საბჭოს ოქმში: „მოსწავლეთა საკმაო ნაწილი ვერ თხრობს თანმიმდევრულად და გასაგებად მხატვრული ნაწარმოების შინაარსს“. „IX კლასში შემოწმების დღეს 6. ბარათაშვილის ლექსი „სული ბოროტო“ არავინმა იცოდა“. „...დაევალოს საგნობრივი მეთოდგაერთიანების ხელმძღვანელებს ამხ. კუტუბიძეს... განაზოგადოვოს მოწინავეთა გამოცდილება... მიღებული ეს დადგენილების შესრულების მიმდინარეობა მოხსენდეს პედსაბჭოს 1980 წლის თებერვლის თვეში“.

ასეთივე მდგომარეობაა ამავე რაიონის 1-ლ, ყვარლის რაიონის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ენისელის, გრემის, გეგეჭკორის რაიონის სერგიეთისა და ონოღიის პედაგოგიური საბჭოების ოქმების წარმოებაში.

შემოწმებული სკოლების ხელმძღვანელები მთელი სერიოზულობით არ ეკიდეიბან გაკვეთილებზე დასწრებისას მასწავლებელთა და მოსწავლეთა მეტყველების დონის ობიექტურად შეფასებას, მეტყველების დაბალი დონის მიზეზების შესწავლას. ამიტომ არის, რომ მოსმენილი გაკვეთილების ანალიზებში არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, თუ როგორ საუბრობენ მასწავლებლები და მოსწავლეები, რის მიხედვით აფასებენ მოსწავლეთა ცოდნას საგნის მასწავლებლები, როგორ ასწორებენ მოსწავლეთა წერით ნამუშევრებს. მეტიც, ზოგიერთის მიერ დაწერილი ანალიზები ენობრივად გაუმართავია, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ეს ხელმძღვანელები თვითონ ვერ ერკვევიან ქართული მართლწერის ელემენტალურ საკითხებში. ალბათ, ესეც არის იმის მიზეზი, რომ ვერც ერთი პედაგოგიური საბჭოს ოქმში ვერ ვხვდებით მეთოდგაერთიანებებისა და წრეების მუშაობის ამსახველი მასალებისა თუ სასკოლო კედლის გაზეთების ენობრივი მხარის ანალიზს, არ ხდება მოწინავე მასწავლებელთა მუშაობის შესწავლა-განზოგადება და სხვა.

ის ნაკლოვანებანი, რაც გააჩნია შემოწმებულ სკოლებს ერთიანი ენობრივი რეჟიმის დაცვაში, იმითაც არის განპირობებული, რომ სკოლის დირექტორები და მათი მოადგილეები სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში არ ისმენენ გაკვეთილებს ამ კუთხით, არ უთითებენ მასწავლებლებს, არ ასწავლიან და მტკიცედ არ მოითხოვენ მათგან ქართული ენის სიწმინდის დაცვას. უფრო მეტიც, მათი მოსმენილი გაკვეთილების ანალიზებში საერთოდ არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, თუ რა მდგომარეობაა ამ თვალსაზრისით მასწავლებელთა გაკვეთილებზე. ამის გამო მოსწავლეთა წერითი და ზეპირი მეტყველების კულტურის განვითარება არ ხორციელდება მასწავლებელთა ერთიანი ძალებით. ამას ისიც უწყობს ხელს, რომ სკოლების ხელმძღვანელები მოთხოვნილების შესაბამისად არ წარმართავენ სკოლაში ერთიან ენობრივ რეჟიმს, არ უკეთებენ მას კოორდინაციას და არ ამყარებენ ჯეროვან კონტროლს მის განხორციელებაზე. მოსწავლეთა წერითი და ზეპირი მეტყველებისადმი ერთიანი მოთხოვნები არ არის ჩართული პედაგოგიური საბჭოსა და შინასასკოლო კონტროლის მუშაობაში; არ ხდება მოწინავე მასწავლებელთა გამოცდილების შესწავლა-განზოგადება, არ ტარდება მეთოდგაერთიანების ერთობლივი სხდომები მოსწავლეთა წერითი და ზეპირი მეტყველების კულტურის განვითარების საკითხებზე. მასწავლებლები არ არიან აქტიურად ჩაბმული მშობლიური ენის სიწმინდისა და სისწორის დაცვის საქმეში. პედაგოგიური კოლექტივი არ მუშაობს შეთანხმებულად სკოლაში მოსწავლეთა ზეპირი და წერითი მეტყველებისადმი მასწავლებლებისა და სკოლის სხვა მუშაკების მიერ წაყენებული ერთიანი მოთხოვნების გასატარებლად.

მასწავლებლები, მოსწავლეთა ზეპირი პასუხების შეფასებისას, მხედველობაში ღებულობენ მხოლოდ გამოთქმული აზრის შინაარსს და ყურადღებას არ აქცევენ მის ლოგიკურ წყობასა და სწორ სიტყვიერ გაფორმებას, გამომსახველობას, ე. ი. ენობრივი საშუალებების სწორად და ზუსტად გამოყენებას, გამონათქვამის გარკვეული სტილით აგებას, პასუხის გაცემას ზომიერად ხმამაღლა, გამოკვეთილად, ლოგიკური მახვილის, პაუზისა და სწორი ინტონაციის დაცვით, წერილობითი გამონათქვამების შეფასებისას კი არ ითვალისწინებენ ორთოგრაფიული და პუნქტუაციური ნორმების დაცვას, ნამუშევრის წიგნიერად, სუფთად და ლამაზად გაფორმებას.

გაკვეთილებზე სათანადო მუშაობა არ ტარდება მოსწავლეთა მეტყველების კულტურის ამაღლებისათვის ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა: მასწავლებლის ან ამხანაგის სიტყვის მოსმენისა და გაგების, სხვათა გამონათქვამებზე ყურადღების მიქცევის ჩვევების აღზრდა, კითხვების დასმის უნარის განვითარება და სხვა.

მოსწავლეთა მეტყველების კულტურის აღზრდას ისიც უშლის ხელს, რომ სკოლებში არ შეინიშნება მთელი პედაგოგიური კოლექტივის მიზანსწრაფული და კვალიფიციური მოქმედება ამ მიმართულებით, კერძოდ, მასწავლებელთა საგრძნობი ნაწილი წინასწარ, გაკვეთილის მომზადებისას, ყოველთვის როდი ფიქრობს მასალის გადაცემის თანამიმდევრობაზე, ყველა ფორმულირების სისწორისა და სიზუსტის დაცვაზე, ყველა სახის ჩანაწერის წიგნიერად გაფორმებაზე (საკლასო დაფაზე, საკლასო ჟურნალში, მოსწავლეთა დღიურებში, სამუშაო გეგმებში და სხვა), გარკვეული ხელით წერაზე, ზეპირმეტყველებაში სწორად აგებული წინადადებების გამოყენებაზე, სიტყვათა სწორად შერჩევასა და წარმოთქმაზე, ცალკეული მასწავლებლები საკმაო ყურადღებას არ აქცევენ მოსწავლეთა აზროვნების განვითარებას, მათში შედარება-შეპირისპირების უნარ-ჩვევების გამომუშავებას; კითხვებზე პასუხის გაცემისას მოსწავლეებისაგან არ მოითხოვენ მტკიცებას, დასკვნების გაკეთებასა და მათ განზოგადებას, გაკვეთილებზე ნაკლებად ატარებენ ისეთ მუშაობას, რომელიც ხელს შეუწყობს, დაეხმარება მოსწავლეებს სასწავლო ტექსტისა და მასწავლებლის სიტყვის, სასწავლო ინფორმაციის ძირითადი წყაროსა და სწორი მეტყველების სრულყოფილ აღქმაში (თემისა და მასწავლებლის ნაამბობის ძირითადი აზრის ჩამოყალიბება, გეგმის შედგენა); გაკვეთილებზე არ მიმართავენ ხმამაღალ, გამომეტყველებით კითხვას, მიუხედავად იმისა, რომ ის არის მოსწავლეთა ზეპირი მეტყველების კულტურის განვითარების ერთ-ერთი ძირითადი ხერხი და ტექსტის ემოციური და ლოგიკური გააზრების საშუალება, ნაკლებად ზრუნავენ მოსწავლეთა ლექსიკური მარაგის გამდიდრებისათვის, ახალი სიტყვები არ იწერება დაფაზე და რვეულებში, არ მოწმდება მათი მნი-

შვენელობის ათვისება და მეტყველებაში გამოყენების უნარი; არ [illegible]ნენ და არ იყენებენ ძნელად დასაწერი სიტყვების სქემებს თავიანთ სასწავლო დისციპლინებში; ყურადღება არ ექცევა რვეულების აკურატულად წარმოებას, მათ გარეკანზე ერთნაირ წარწერებს და ჩანაწერების წიგნიერად გაფორმებას, შეუმჩნევლად არის დატოვებული ორთოგრაფიული და პუნქტუაციური შეცდომები.

მოსწავლეთა მეტყველების სრულყოფისათვის მაქსიმალურად არ არის გამოყენებული კლასგარეშე მუშაობის ფორმები (ოლიმპიადები, კონკურსები, ფაკულტატიური და საწრეო მუშაობა, დისპუტები, კრებები და სხვა); ყურადღებით არ სწორდება ლოზუნგები, პლაკატები, კედლის გაზეთები, განცხადებები.

**სკოლების სამმართველო**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1982 წლის 27 მაისის გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ეროვნული ბიბლიოთეკა

### საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ მიღებული დადგენილებიდან გამომდინარე ამოცანების თაობაზე ახალგაზრდა თაობის პოლიტიკურ, იდეურ-ზნეობრივ აღზრდაში ოჯახის როლის, მშობელთა პერსონალური პასუხისმგებლობის ამაღლებისათვის ქ. თბილისის ლენინისა და ზესტაფონის რაიონული პარტიული ორგანიზაციების მუშაობის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა საკითხი ახალგაზრდა თაობის პოლიტიკურ, იდეურ-ზნეობრივ აღზრდაში ოჯახის როლის, მშობელთა პერსონალური პასუხისმგებლობის ამაღლებისათვის ქ. თბილისის ლენინისა და ზესტაფონის რაიონული პარტიული ორგანიზაციების მუშაობის შესახებ და მიიღო შესაბამისი დადგენილება. დადგენილებაში აღნიშნულია, რომ პარტიის ქ. თბილისის ლენინისა და ზესტაფონის რაიკომებმა, გაითვალისწინეს რა პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის ამ მნიშვნელოვან სფეროში საქმის ვითარება, განახორციელეს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა კომუნისტური აღზრდის გაუმჯობესების, მოზარდი თაობის მაღალი კომუნისტური ზნეობრიობისა და იდეური რწმენის სულისკვეთებით აღზრდის სრულყოფის ღონისძიებანი.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ამ მიმართულებით მუშაობა სულ უფრო კომპლექსურ ხასიათს იღებს. სახალხო განათლების ორგანოები, პედაგოგიური და მშობელთა კოლექტივები, სკოლისა და ოჯახის დამხმარე საბჭოები გარკვეულ მუშაობას ატარებენ, რათა ოჯახებთან, საზოგადოებრიობასთან მტკიცე კავშირში სკოლა გახდეს ბავშვებთან და მოზარდებთან აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზატორი და ხელმძღვანელი რგოლი.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში შეიქმნა მშობლებთან მუშაობის გარკვეული სისტემა. სკოლა ახორციელებს წარმოების, სკოლისგარეშე და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების, მიკრორაიონის საბჭოების, აგრეთვე კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების ერთობლივი მუშაობის კოორდინაციას, სრულყოფს აღმზრდელობითი საქმიანობის ფორმებსა და მეთოდებს მოსწავლეთა თავისუფალი დროის გამოყენების პრაქტიკას, ბავშვთა საზაფხულო შრომისა და დასვენების უკეთ მოწყობის საქმეს. აქტიურად იყენებს მშობლებს ტექნიკური, მხატვრული შემოქმედების წრეების და სპორტული სექციების ხელმძღვანელებად. მშობელთა სასკოლო კომიტეტები ქმედით დახმარებას უწევენ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პედაგოგიურ კოლექტივებს

საყოველთაო-სავალდებულო საშუალო განათლების განხორციელებაში, ბავშვთა კვების საკითხების მოგვარებაში, მოსწავლეთა სასწავლო და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაში, „არაკეთილსაიმედო“ ოჯახების გამოვლენასა და მათთან პროფილაქტიკურ მუშაობაში.

გატარებული ღონისძიებების შედეგად კიდევ უფრო ამაღლდა მშობელთა პედაგოგიური ცოდნის დონე, მშობელთა შორის პედაგოგიური ცოდნის პროპაგანდაში სულ უფრო იზრდება სკოლის წამყვანი და ხელმძღვანელი როლი. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პედაგოგიური კოლექტივები მშობელთა პედაგოგიური განათლების სამსახურში აქტიურად აბამენ ყველა დაინტერესებულ ორგანიზაციას. მნიშვნელოვანი როლი მიეკუთვნება მათთან მუშაობის ისეთ ფორმებს, როგორიცაა ლექციები, კრებები, პრაქტიკუმები, პედაგოგიური თვითგანათლება, ინდივიდუალური თუ ჯგუფური კონსულტაციები. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ოჯახური აღზრდის მოწინავე გამოცდილების შესწავლა-განზოგადებას, ოჯახური კლიმატის გავლენას მოზარდის მოქალაქეობრივი პოზიციის ჩამოყალიბებაზე, მშობელთა პასუხისმგებლობის ამაღლებას.

ეწყობა ღონისძიებები, რომელთა მეშვეობითაც მოზარდები ეცნობიან საინტერესო ფაქტებს უფროსი თაობის ცხოვრებიდან, ზრუნავენ საოჯახო მატიანის შექმნისათვის. მთელ რიგ სკოლებში იშვა ინიციატივა, რომელიც მოსწავლეთა მიერ საოჯახო აღზრდასა და ეთიკის საკითხებზე საკლასო წერითი სამუშაოების ჩატარებას ითვალისწინებს.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პედაგოგიური კოლექტივები, მშობელთა კომიტეტები კიდევ უფრო ამრავლებენ მოზარდი თაობის ინტერნაციონალური აღზრდის ტრადიციებს. ვითარდება და მტკიცდება ინტერნაციონალური კავშირები რესპუბლიკის ქართულ და არაქართულ სკოლებს შორის. ფართო ხასიათი აქვს სხვადასხვა ეროვნების მოსწავლეთა აქტიური მონაწილეობით შეხვედრებს, კონკურსებს, თემატურ საღამოებს, ტურისტული ლაშქრობებისა და ექსკურსიების, სპორტული შეჯიბრებებისა და სხვ. ჩატარებას. აქტიურადაა გამოყენებული მოძმე რესპუბლიკების მოსწავლე ახალგაზრდობასთან ინტერნაციონალური მეგობრობის განმტკიცების ფორმები და მეთოდები.

მშობელთა შორის პედაგოგიური ცოდნის პროპაგანდაში, მოზარდი თაობის იდეურ-პოლიტიკური და ზნეობრივი აღზრდის საქმეში სკოლის, ოჯახის, საზოგადოებრიობის მუშაობის კოორდინირების მიზნით, საქართველოს სსრ მასწავლებელთა მე-4 ყრილობის გადაწყვეტილების საფუძველზე ზუგდიდისა და გორის რაიონებში, ქ. რუსთავში შეიქმნა მშობელთა საზოგადოებანი, რომლებიც თავიანთ საქმიანობას წარმართავენ სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მშობელთა კოლექტივების შესაძლებლობათა ფართო კოორდინაციის გზით, შესაბამის ორგანოებთან ერთად ქმედით ზომებს იღებენ არასრულწლოვანთა

დანაშაულის აღსაკვეთად, ირკვევენ და ამუშავებენ ღონისძიებებს მოსწავლეთა სწავლებისა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის, ავლენენ ოჯახებს, რომელთაც უძნელდებათ შვილების აღზრდა და საჭირო დახმარებას უწევენ მათ. ხელს უწყობენ და აფართოებენ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საწარმოებისა და დაწესებულებების საშეფო მუშაობას სკოლებთან.

მოზარდი თაობის იდეურ-ზნეობრივი აღზრდის გაუმჯობესების, შრომითი კოლექტივების როლის ამაღლების მიზნით საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ინიციატივით განათლების ორგანოების ხელმძღვანელი მუშაკები სისტემატურად ხვდებიან შრომით კოლექტივებს. კერძოდ, საქართველოს სსრ განათლების მინისტრი შეხვდა ქ. თბილისის ელმავალმშენებელი ქარხნის, ქ. რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მშრომელებს.

აღსანიშნავია, რომ რესპუბლიკის შრომითი კოლექტივები უკვე პრაქტიკულად უწევენ სკოლებს კონკრეტულ და ქმედით დახმარებას მოსწავლეთა აღზრდისა და საზოგადოებრივად სასარგებლო საწარმოო შრომისათვის ახალგაზრდობის მომზადების საქმეში. უკანასკნელ ხანს შეიცვალა სკოლისადმი საშეფო დახმარების ხასიათი; თუ ადრე შეფები შემოიფარგლებოდნენ ძირითადად სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცების ამოცანებით, ახლა ისინი აქტიურ მონაწილეობას იღებენ სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში, ცხოვრებისა და შრომისათვის მოსწავლეთა მომზადებაში. საშეფო წარმოება-დაწესებულებებში ეწყობა გამსვლელი პედაგოგიური საბჭოების სხდომები, ალკკ კრებები, პიონერული შეკრებები, შეხვედრები, საღამოები, პრაქტიკაში დამკვიდრდა სკოლასთან კავშირის ამსახველი კუთხეების მოწყობა, მშობლების წახალისება და ა. შ.

ბავშვთა და მოზარდთა უმეთვალყურეობის, ოჯახურ აღზრდაში არსებულ ნაკლოვანებათა პროფილაქტიკის, მოსწავლეთა სკოლიდან განთესვის აღკვეთის, მათ მხრივ სამართალდარღვევის თავიდან აცილების მიზნით მშობელთა სასკოლო კომიტეტებთან შეიქმნა მამათა საბჭოები, რომელნიც ავლენენ „არაკეთილსაიმედო", „არეულ" ოჯახებს, გარკვეულ ყურადღებას უთმობენ მათთან ინდივიდუალურ მუშაობას.

საოჯახო ცხოვრებისათვის მოზარდთა მომზადების მიზნით საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ გარკვეული პრაქტიკული ნაბიჯები გადაიდგა. ქ. თბილისის 68-ე და 161-ე საშუალო სკოლებში დაინერგა ექსპერიმენტული ფაკულტატური კურსი — ჰიგიენური და სქესობრივი აღზრდა — (მე-8 კლასი) და — საოჯახო ეთიკა და ფსიქოლოგია — (მე-9, მე-10 კლასი). კურსის მიზანია გოგონებსა და ვაჟებს გამოუმუშაოს ოჯახის შექმნის მოთხოვნილება, მოამზადოს ისინი ქორწინების და შვილების აღზრდისათვის, ჩაუნერგოს ოჯახის ბურჟუაზიული კონცეფციებისადმი შეურიგებლობა და ა. შ. ექსპერიმენტის



ქ. მარქსის სახ. საქ. სსრ სახელმწიფო

შესწავლა-განზოგადება ხდება დედაქალაქის სხვა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, ფაკულტატური კურსის შედეგები განიხილება პედაგოგიური საბჭოების სხდომებსა და მშობელთა საერთო კრებებზე.

მიუხედავად გარკვეული წარმატებებისა, რესპუბლიკის სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოები, პედაგოგიური კოლექტივები ჯერ კიდევ ვერ მუშაობენ მშობლებთან გეგმაზომიერად და მიზანმიმართულად. ეს მუშაობა სათანადოდ არ ითვალისწინებს ოჯახის როლს ახალგაზრდების პოლიტიკური სახის, მრწამსისა და ზნეობის ჩამოყალიბებაში.

მშობელთა პედაგოგიური განათლებისა და თვითგანათლების ორგანიზაციის სისტემა ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული. გამოუყენებელია ამ საქმეში არსებული მთელი რიგი რეზერვები და შესაძლებლობანი. უპირველეს ყოვლისა სრულად არ არის გამოყენებული პედაგოგიური ცოდნის სახალხო უნივერსიტეტების ქსელი, რომელთაც დიდი პოპულარობა აქვთ მოხვეჭილი მშობელთა შორის. რესპუბლიკაში ნაკლებად იკითხება ლექციების ციკლი მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური, შრომითი და ზნეობრივი აღზრდისა და სწავლების პედაგოგიურ-ფსიქოლოგიურ საკითხებზე.

სათანდო ყურადღება არ ეთმობა ოჯახურ-ცოლქმრული ურთიერთობისათვის ახალგაზრდობის მომზადებას. პედაგოგიური კოლექტივები ყოველთვის ღრმად ვერ ააშკარავებენ მოზარდთა შრომითსა და ზნეობრივ აღზრდაში, პროფესიულ ორიენტაციაში, ოჯახების არაჯანსაღი ზნეობრივი ატმოსფეროს „არაკეთილსაიმედო“, „არეულ“ ოჯახებთან მუშაობის სერიოზული ჩავარდნების მიზეზებს. ხშირია კონფლიქტები პედაგოგებსა და მშობლებს შორის, სუსტად გამოიყენება როგორც ცალკეულ ოჯახებთან, მშობლებთან, ისე მოზარდებთან, ახალგაზრდებთან ინდივიდუალური მუშაობის ფორმები და მეთოდები. ყოველთვის არ ხორციელდება ამ საკითხებისადმი დიფერენცირებული მიდგომა.

პედაგოგიური კოლექტივები ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყოფენ სახლმმართველობის პედაგოგ-ორგანიზატორებთან ერთად მოსწავლეებში თავისუფალი დროის რაციონალური ორგანიზაციის ცოდნა-ჩვევების ჩანერგვას. ოჯახის, სკოლისა და საზოგადოების ერთად მონაწილეობას ბავშვთა აღზრდაში, მოზარდი თაობის ცხოვრებისა და შრომისათვის მომზადებაში. სკოლების პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე იშვიათად განიხილავენ მშობელთა კომიტეტების ანგარიშებს, მათ ინიციატივიან წინადადებებს.

მთელი რიგი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მშობელთა კომიტეტები, მამათა საბჭოები ჯერ კიდევ სუსტად მუშაობენ სკოლის სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცების, კეთილმოწყობისა და სანიტარულ-ჰიგიენური პირობების გაუმჯობესებისათვის, არ აკონტროლებენ მოსწავლეთა მხრივ ქცევის წესების შესრულებას. პედაგოგიური საბჭოს

სხდომაზე არ შეაქვთ საქმიანი წინადადებები მოსწავლეებთან კლასგარეშე მუშაობისა და სხვადასხვა კლასების მოსწავლეთა მშობლებთან საქმიანობის გაუმჯობესების შესახებ. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პედაგოგიური კოლექტივები და მშობელთა კომიტეტები ხშირ შემთხვევაში ვერ ახერხებენ მშობლების დაინტერესებას მოზარდთა მოქალაქეობრივი პოზიციის ჩამოყალიბების საკითხებით, ვერ აღწევენ მათ აქტიურ მონაწილეობას პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციის, მოსწავლეთა თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობაში.

ი. გოგებაშვილის სახ. პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური და ზონალური ინსტიტუტები, შესაბამისი მეთოდური სამსახურები საკმაო დახმარებას ვერ უწევენ სკოლებს აქტუალური სააღმზრდელო პრობლემატიკის კვლევის მოწინავე გამოცდილების განზოგადებით.

ახალგაზრდა თაობის პოლიტიკურ, იდეურ-ზნეობრივ აღზრდაში ოჯახის როლის, მშობელთა პერსონალური პასუხისმგებლობის ამაღლებისათვის ქ. თბილისის ლენინისა და ზესტაფონის რაიონული პარტიული ორგანიზაციების მუშაობის შესახებ“ — საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან გამომდინარე რესპუბლიკის სახალხო განათლების ორგანოების წინაშე დასახული ამოცანების შესასრულებლად საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიამ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის დასახელებული დადგენილება მიღებულ იქნას სახელმძღვანელოდ და განუხრელი შესრულებისათვის.

2. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ა. ო., ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებმა, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველომ:

2. 1. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „ახალგაზრდა თაობის პოლიტიკურ, იდეურ-ზნეობრივ აღზრდაში ოჯახის როლის, მშობელთა პერსონალური პასუხისმგებლობის ამაღლებისათვის ქ. თბილისის ლენინისა და ზესტაფონის რაიონული პარტიული ორგანიზაციების მუშაობის შესახებ“ მოცემული დასკვნებისა და რეკომენდაციების საფუძველზე შეიმუშაონ და განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი მშობელთა პედაგოგიური განათლების, მოზარდი თაობის აღზრდაში მათი პირადი პასუხისმგებლობის ამაღლების მიზნით.

2. 2. საფუძვლიანად შეისწავლონ სკოლის პედაგოგიური კოლექტივის მუშაობა მშრომელთა შორის, აღმოფხვრან მათ საქმიანობაში ფორმალიზმი, ზერელობა, კამპანიურობა, პრიმიტივიზმი. მშობლებთან მუშაობაში უფრო აქტიურად ჩააბან შრომითი კოლექტივების, სამარ-

თალდამცველი ორგანოების, ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა, კომ-კავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები.

2. 3. ყოველმხრივ შეუწყონ ხელი პედაგოგიურ კოლექტივებს, საწარმოო დაწესებულებების, საბჭოთა შეიარაღებული ძალების, კომუნისტური შრომის ბრიგადების, შემოქმედებითი კავშირების, სპორტული გაერთიანებების მოწინავე კოლექტივებთან საქმიანი ურთიერთობის დამყარებასა და განმტკიცებაში. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მათ მიზიდვასა და აქტიურად ჩაბმას სკოლების სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში.

3. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დირექტორებმა და პედაგოგიურმა კოლექტივებმა:

3. 1. მოსწავლეთა შორის აღმზრდელობითი მუშაობა, მშობლებთან საქმიანობა მჭიდროდ დაუკავშირონ სოციალ-ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტას. ზუსტი კოორდინაცია გაუწიონ ყველა დაინტერესებული ორგანიზაციის საქმიანობას ოჯახის იდეურ-პოლიტიკური, აღმზრდელობითი ფუნქციის შემდგომი ამაღლებისათვის.

3. 2. გეგმაზომიერად, დიფერენცირებულად წარმართონ ოჯახებთან, მშობლებთან იდეურ-პოლიტიკური მუშაობა. მშობელთა პედაგოგიური სწავლების სისტემის, პედაგოგიური თვითგანათლების სრულყოფის გზით აამაღლონ საოჯახო აღზრდის კულტურა. სახალხო უნივერსიტეტებისა და ფაკულტეტების ხელმძღვანელებთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ უფროსი კლასების მოსწავლეთა მშობლებისათვის პროფესიული, შრომითი და სოციალური მომზადების აქტუალური საკითხების შესწავლას.

3. 3. მშობელთა საყოველთაო პედაგოგიზაციის სისტემაში გაითვალისწინონ მოზარდი თაობის ინტერნაციონალური აღზრდის საკითხები. ამ საკითხებისადმი მშობელთა სწორი დამოკიდებულება დაეხმარება მოზარდებს, სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლებს განსაზღვრონ თავიანთი ურთიერთდამოკიდებულება, სწორად ჩამოუყალიბდეთ ინტერნაციონალური სულისკვეთება და შეხედულებები.

3. 4. კიდევ უფრო ფართო ხასიათი მისცენ სხვადასხვა ეროვნების ბავშვების მონაწილეობით საინტერესო, მრავალფეროვანი ღონისძიებების მომზადებასა და ჩატარებას. ამ საქმიანობას საფუძვლად დაუდონ პროგრესული საოჯახო ტრადიციები. განავითარონ საოჯახო სპორტი, ტურიზმი, მხატვრული თვითშემოქმედება.

3. 5. გააძლიერონ „არაკეთილსაიმედო“ ოჯახებთან, ძნელადაღსაზრდელ მოსწავლეებთან აღმზრდელობით-პროფილაქტიკური მუშაობა. ყოველ ასეთ ოჯახსა და მოზარდზე სამეფო შრომითი კოლექტივების, დამრიგებლების, საზოგადოებრივი აღმზრდელების მიმაგრების გზით მოახდინონ განსაკუთრებული აღმზრდელობითი ზეგავლენა. გამოიჩინონ პრინციპულობა, შეურიგებლობა იმ მშობლების მიმართ, რომლებ-

საც ჯერ კიდევ მთლიანად არა აქვთ შეგნებული სრული პასუხისმგებლობა ბავშვების იდეურ-პოლიტიკური, ზნეობრივი აღზრდისათვის. ამ საქმეში კიდევ უფრო აამაღლონ სასკოლო მშობელთა კომიტეტების, მამათა საბჭოების როლი და ავტორიტეტი.

3. 6. განსაკუთრებული ადგილი დაუთმონ ოჯახურ-ცოლქმრული ურთიერთობისათვის ახალგაზრდობის მომზადებას. აქტიური მონაწილეობა მიიღონ სკოლის სამოქმედო მიკრორაიონებში ოჯახურ-ცოქლმრული ურთიერთობის, ოჯახში ბავშვების იდეურ-პოლიტიკური აღზრდის საკთხებზე სადისკუსიო კლუბების, საკონსულტაციო პუნქტების შექმნასა და მათ მუშაობას.

სრულყონ ცალკეულ ოჯახებთან, მშობლებთან ინდივიდუალური მუშაობის ფორმები და მეთოდები. აამაღლონ ოჯახის, მშობლების, სასკოლო პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციების, მოსწავლეთა თვითმმართველობის ორგანოების როლი მოზარდების საზოგადოებრივ-პოლიტიკური პოზიციის ჩამოყალიბებაში. მიაღწიონ იმას, რომ ყოველი ოჯახი სწორ და ობიექტურ შეფასებას აძლევდეს მიმდინარე პროცესებსა და მოვლენებს. პრინციპული და დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადონ ოჯახებში ეგოიზმის, ნიჰილიზმის, აპოლიტიკურობის, ცრუპატრიოტიზმის, ეროვნული შეზღუდულობის, ორპირობის, უზნეობის, კერძომესაკუთრული მისწრაფებების ყოველგვარ გამოვლინებას.

3. 7. მიაღწიონ იმას, რომ ყველა ოჯახი, თითოეული მშობელი განუხრელად და პირნათლად ასრულებდეს კონსტიტუციურ მოვალეობას— ამზადებდეს შვილებს საზოგადოებრივად სასარგებლო შრომისათვის, სამშობლოს დაცვისათვის, დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის. უნერგავდეს მათ პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის გრძნობას, საბჭოთა კანონების პატივისცემას. ზრდიდეს ჩვენი სამშობლოს, საბჭოთა ხალხის გმირულ რევოლუციურ, საბრძოლო და შრომით ტრადიციებზე.

— ფართო პროპაგანდის საშუალებით პოპულარიზაცია გაუწიონ ისეთ ოჯახებს, რომლებმაც სახელოვანი და უანგარო წვლილი შეიტანეს სამშობლოს დაცვის, მისი პოლიტიკური და ეკონომიკური ძლიერების განმტკიცების საქმეში, აგრეთვე ოჯახებს, რომლებიც აგრძელებენ შრომით დინასტიებსა და სასახელო ტრადიციებს. საშინაო, საკლასო და საკონტროლო წერითი სამუშაოების თემატიკის შერჩევისას გარკვეული ადგილი დაუთმონ საოჯახო აღზრდისა და ეთიკის, აგრეთვე ინტერნაციონალური მეგობრობის საკითხებს.

4. მოწონებულ იქნას მოზარდი თაობის იდეურ-ზნეობრივი აღზრდის გაუმჯობესების, შრომითი კოლექტივების როლის ამაღლების მიზნით სახალხო განათლების ხელმძღვანელი მუშაკების, აგრეთვე სკოლის დირექტორების, შრომითი კოლექტივების წევრებთან შეხვედრების პრაქტიკა.

5. მიღებულ იქნას მხედველობაში მშობელთა საზოგადოების რაიონული და საქალაქო საბჭოების ჩამოყალიბების ტენდენცია და რომ საზოგადოების წესდებით რაიონული და საქალაქო საბჭოები თავიანთ მუშაობას წარმართავენ იმ მოთხოვნათა საფუძველზე, რაც ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით დგას მშობელთა ფართო მასების პედაგოგიური კულტურის ამაღლებისა და სკოლასა და მშობელთა შორის არსებული ურთიერთკავშირის განმტკიცების სფეროში.

6. მიღებულ იქნას ცნობად, რომ ქ. თბილისის 68-ე და 161-ე საშუალო სკოლებში მიმდინარეობს ექსპერიმენტი „საოჯახო ეთიკა და ფსიქოლოგია“, „მოსწავლეთა ჰიგიენური და სქესობრივი აღზრდა“.

7. ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა (ამხ. გ. საყვარელიძე) შეიმუშაოს და განსახილველად წარმოადგინოს ოჯახებთან, მშობლებთან მუშაობის მეცნიერული რეკომენდაციები და კონკრეტული წინადადებანი.

8. მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურმა (ამხ. მ. დარჩია) და ზონალურმა ინსტიტუტებმა მასწავლებელთა და სკოლის სხვა მუშაკთა გადამზადებისას სასწავლო თემატიკაში მეტი ყურადღება დაუთმოს მშობლებთან და ოჯახებთან მუშაობის პრობლემებს.

9. გაზეთმა „სახალხო განათლებამ“ (ამხ. ნ. შველიძე) და ჟურნალმა „სკოლა და ცხოვრებამ“ (ამხ. ა. გოგელია) სისტემატურად გამოაქვეყნონ მასალები მშობელთა შორის აქტუალურ საკითხებზე. აამაღლონ ამ მასალების მეცნიერული დონე და იდეური შინაარსი. ამ საქმეში უფრო აქტიურად ჩააბან მეცნიერები, პრაქტიკოსი პედაგოგები, მოწინავე მშობლები.

10. აღნიშნული გადაწყვეტილების შინაარსი გამოქვეყნდეს გაზეთ „სახალხო განათლებაში“ და დაიბეჭდოს განათლების სამინისტროს ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებულში.

11. გადაწყვეტილების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს (ამხ. ე. ზარქუა).

**კოლეგიის თავმჯდომარე,**

**მინისტრი ო. ქინქლაძე**

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1982 წლის 27 მაისის გადაწყვეტილება

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ქ. თბილისის რიგ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში აღმოსავლური ენების სწავლებისა და გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

გაეცნო რა სკოლების სამმართველოს მიერ წარმოდგენილ მასალებს, კოლეგია აღნიშნავს, რომ ქ. თბილისის რიგ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში გარკვეული წარმატებებია მიღწეული არაბული, სპარსული და თურქული ენების სწავლებაში. მოსწავლეები დამაკმაყოფილებლად ფლობენ ენის განსაზღვრულ ლექსიკურ მარაგს, რასაც მოხერხებულად იყენებენ სიუჟეტური სურათების აღწერისას თუ სამეტყველო სიტუაციებში, ესმით მასწავლებლის მიერ დასმული კითხვების შინაარსი და ხალისით, გამართულად უპასუხებენ მათ. მოსწავლეები კარგად ართმევენ თავს თემატურად მრავალფეროვან დიალოგებს, აღმოსავლური (არაბული, სპარსული) დამწერლობისათვის დამახასიათებელ სირთულეებს და სხვ., რაც უმაღლეს სასწავლებლებთან სახალხო განათლების ორგანოების მჭიდრო, საქმიანი ურთიერთობის უშუალო შედეგია.

ამასთან, არაბული, სპარსული და თურქული ენების სწავლების საქმეში არის სერიოზული ნაკლოვანებებიც:

სკოლებში დღემდე ვერ მოხერხდა ამ ენების სწავლებისათვის ცალკე კაბინეტების გამოყოფა. ძნელდება სპარსული ენის მასწავლებელთა კადრების შენარჩუნება. ვერ მოხერხდა V—VI კლასების თურქული ენის პროგრამების მომზადება; გამომცემლობა „განათლებამ" დღემდე ვერ გამოსცა უნივერსიტეტის აღმოსავლური ენების შესაბამისი კათედრების მიერ მომზადებული მე-2 კლასის სახელმძღვანელოები, რომლებიც ჯერ კიდევ 1978—1979 სასწავლო წელს გადაეცა სახელმძღვანელოების სამმართველოს. დაგვიანებით დაიბეჭდა და დაეგზავნა სკოლებს თურქული ენის 1-ლი, მე-2, მე-3 და მე-4 კლასების წიგნები, სპარსული ენის საანბანო წიგნი და სპარსული ენის დედანი.

არადამაკმაყოფილებლად ასწავლიან ენებს მასწავლებლები: ე. სესაძე, ე. რეხვიაშვილი, დ. ფეიქრიშვილი, ლ. ხუნჯაშვილი. მათ სჭირდებათ თავიანთი თეორიული ცოდნის ამაღლება და პრაქტიკული გამოცდილება. გაკვეთილებს ატარებენ ძირითადად ქართულ ენაზე. სწავლების პროცესში არსებითად ტექსტის კითხვა და თარგმნა დომინირებს, ნაკლები ყურადღება ექცევა სწავლების პირველ საფეხურზე შეძენილი სიტყვათა მარაგის გამდიდრება-განმტკიცებას, საშინაო და საკლასო-საკონტროლო წერითი ნამუშევრების გასწორებას, მოსწავლეთა ცოდნის შეფასების ფიქსირებას საკლასო ჟურნალებსა და დღიურებში. მდგომარეობას კიდევ უფრო ართულებს ის გარემოება, რომ სკოლის დირექტორები არ ითვალისწინებენ აღნიშნული საგნების სწავლების სპეციფიკას და ამ კლასებში რიცხავენ სხვა სკოლებიდან გადმოსულ მოსწავლეებს.

აღმოსავლური ენების სწავლების საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა

გამოსწორებისათვის ნაკლებად ზრუნავენ სკოლის დირექტორები და სასწავლო-აღმზრდელობით დარგში დირექტორის მოადგილეები, რომლებიც ღრმა და საფუძვლიან რჩევა-დარიგებას არ აძლევენ ახალგაზრდა და გამოუცდელ პედაგოგებს გაკვეთილის პროცესში როგორ გამოიყენონ სწავლების აქტიური ხერხები და საშუალებები, თვალსაჩინო-დიდაქტიკური მასალები, სწავლების ტექნიკური საშუალებები.

კოლეგიამ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. არაბული, სპარსული და თურქული ენების მასწავლებლებმა:

1. 1. სისტემატურად იზრუნონ საკუთარი თეორიული დონის ამაღლებასა და პრაქტიკულ პედაგოგიურ დახელოვნებაზე.

1. 2. თითოეული გაკვეთილისათვის მონდომებული მომზადებით, სასწავლო პროცესში თვალსაჩინოების, დიდაქტიკური მასალებისა და ტექნიკური საშუალებების მოხერხებული გამოყენებით უზრუნველყონ მისი როგორც შემეცნებითი, ისე აღმზრდელობითი ფუნქციის აქტივობა და ეფექტიანობა.

1. 3. აქტიურ სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში მთელი საკლასო კოლექტივის ჩაბმით, გაკვეთილზე სწავლების აქტუალური ხერხებისა და მეთოდების გამოყენებით მიაღწიონ მოსწავლეთა მიერ ზეპირი და წერითი მეტყველების ჩვევათა დაუფლებას.

1. 4. წერითი სამუშაოების სისტემატური ჩატარებით, დროული შეფასებითა და დაშვებული შეცდომებით მოსწავლეთა წინაშე საფუძვლიანი განმარტებით დაძლიონ აღმოსავლური (არაბული, სპარსული) დამწერლობის სპეციფიკიდან გამომდინარე სირთულეები.

1. 5. იმ მოსწავლეებთან, რომელთაც უჭირთ აღმოსავლური ენების სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული მასალის დაუფლება, ჩაატარონ დამატებითი მეცადინეობები.

2. სკოლის დირექტორებმა:

2. 1. მიიღონ ზომები სკოლებში აღმოსავლური ენების სასწავლო კაბინეტების შესაქმნელად, რისთვისაც გამოყონ სათანადო სათავსო, ინვენტარ-მოწყობილობა და სწავლების ტექნიკური საშუალებები.

2. 2. საგნის სწავლების შემდგომი გაუმჯობესების, მასწავლებელთა პედაგოგიური დახელოვნების მიზნით სკოლებში შექმნან აღმოსავლური (არაბული, სპარსული ან თურქული) ენების მასწავლებელთა მეთოდგაერთიანება, რომლის მუშაობაზე კონტროლი და საერთო პედაგოგიური ხელმძღვანელობა დაავალონ დირექტორის ერთ-ერთ მოადგილეს.

2. 3. მიაღწიონ იმას, რომ საგნის მასწავლებლები და ლაბორანტები დაწვრილებით გაეცნონ სკოლაში არსებულ თვალსაჩინოებასა და დიდაქტიკურ მასალებს, სწავლების ტექნიკურ საშუალებებს, მათი გამოყენების მეთოდებს, ხერხებსა და გზებს. მოამზადონ ისინი გაკვეთილისათვის თემატური გეგმების მიხედვით.

2. 4. აღკვეთონ აღმოსავლური ენების სწავლების კლასებში სხვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლებიდან გადმოსულ მოსწავლეთა ჩარიცხვა.

3. სკოლების სამმართველომ (ამხ. კ. სუჯაშვილი):

3. 1. გააძლიეროს აღმოსავლური ენების მასწავლებელთა მუშაობაზე კონტროლი და დახმარება, მათი მუშაობის შედეგიანობის გაზრდის მიზნით სამმართველოს თათბირებზე პერიოდულად მოისმინოს საკითხი აღმოსავლური ენების სწავლების მდგომარეობის შესახებ. საჭიროების შემთხვევაში იგი განსახილველად და ზომების მისაღებად წარმოუდგინოს სამინისტროს კოლეგიას, უფრო ეფექტიანი და შედეგიანი გახადოს აღმოსავლური ენების სასწავლო-მეთოდური საბჭოს მუშაობა.

4. ეთხოვოს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სემიტოლოგიის, ირანისტიკისა და თურქოლოგიის კათედრებს:

4. 1. მოამზადონ არაბული, სპარსული და თურქული ენების სასწავლო პროგრამები VII—X კლასებისათვის.

4. 2. შეარჩიონ და სამინისტროს წარმოუდგინონ დასამტკიცებლად ავტორთა კოლექტივები სამივე ენის სახელმძღვანელოების შესაქმნელად.

5. ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა (ამხ. გ. საყვარელიძე) ასპირანტურაში მისაღები კონტინგენტის განსაზღვრისას გაითვალისწინოს სამი ერთეული აღმოსავლურ ენათა (არაბული, სპარსული, თურქული) სწავლების მეთოდიკაში მაღალკვალიფიციური სპეციალსიტების მომზადების მიზნით.

6. ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ რედაქციამ (ამხ. ა. გოგელია) უზრუნველყოს საგნობრივ დამატებაში „უცხოური ენები სკოლაში“ აღმოსავლური ენების სწავლებისადმი მიძღვნილი საკავშირო სამეცნიერო-მეთოდური კონფერენციის მასალების დაბეჭდვა.

7. სახელმძღვანელოების სამმართველომ (ამხ. ნ. ღლონტი) მიიღოს ზომები აღმოსავლური ენების სასწავლო პროგრამების, სახელმძღვანელოებისა და სხვა დამხმარე მეთოდური ლიტერატურის დროულად გამოსაცემად.

8. ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველომ (ამხ. ლ. ჩიქვანაია), ორჯონიკიძისა და კალინინის რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა მეთოდკაბინეტების მეშვეობით სისტემატური მეთვალყურეობა დააწესოს აღნიშნული საგნების სწავლების მიმდინარეობაზე, პერიოდულად მოისმინოს სახალხო განათლების საბჭოზე ანგარიში ექსპერიმენტის მსვლელობის შესახებ და დასახოს ღონისძიებანი შემჩნეულ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის.

9. სკოლების სამმართველომ (ამხ. კ. სუჯაშვილი) კონტროლი დააწესოს ამ გადაწყვეტილების შესრულებაზე.

**კოლეგიის თავმჯდომარე,**
**მინისტრი  ო. ქინქლაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ცნობა

### ქ. თბილისის რიგ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში აღმოსავლური ენების სწავლების მდგომარეობის შ ე ს ა ხ ე ბ

სკოლების სამმართველომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სემიტოლოგიის, ირანისტიკისა და თურქოლოგიის კათედრებისა და ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს მუშაკებთან ერთად მიმდინარე წლის იანვარ-თებერვალში ქ. თბილისის ექვს სკოლაში შეამოწმა აღმოსავლური (არაბული, სპარსული, თურქული) ენების სწავლების მდგომარეობა.

შემოწმებამ გვიჩვენა, რომ, მიუხედავად მრავალგზის მიღებული გადაწყვეტილებისა, დღემდე ვერ მოხერხდა სკოლებში ამ ენების სწავლებისათვის ცალკე კაბინეტების გამოყოფა. საქმე იმაშია, რომ მე-3 რესპუბლიკურ ექსპერიმენტულ სკოლას საამისოდ არავითარი პირობები არ გააჩნია და არც ექნება, სანამ ამ შენობიდან არ გადავა საღამოს სკოლების რესპუბლიკური მეთოდკაბინეტი. თბილისის 1-ლ, 31-ე, 54-ე და 130-ე საშუალო სკოლების უცხოური ენის კაბინეტებში აღმოსავლური ენებისათვის კუთხეებია გამოყოფილი, რაც, ბუნებრივია, საკმარისი არ არის.

როგორც სასწავლო პროცესზე დაკვირვებამ გვიჩვენა ,აღმოსავლური ენების სწავლება ამ სკოლებში ძირთადად დამაკმაყოფილებელია, საგნები დაკომპლექტებულია უნივერსიტეტის შესაბამისი კათედრების მიერ შერჩეული ახალგაზრდა, მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით, მაგრამ გაჭირდა სპარსული ენის მასწავლებელთა კადრების შენარჩუნება, რადგან ისინი ან ირანში მიდიან სამუშაოდ, ან მათ სსრ კავშირის სხვა ქალაქებში იწვევენ. ეს კი ერთგვარ დაღს ასვამს საგნის სწავლების საქმეს. ზემოაღნიშნულ ყველა სკოლაში დანიშნულია ლაბორანტები, მასწავლებლებს თვითნაკეთი თვალსაჩინოების ერთგვარი ფონდიც კი აქვთ შექმნილი. ამ მხრივ გამოირჩევიან მე-3 რესპუბლიკური ექსპერიმენტული სკოლის არაბული ენის მასწავლებლები.

აღსანიშნავია, რომ არც ერთმა სკოლის დირექციამ არ გააცნო ლაბორანტებს სკოლაში არსებული სწავლების ტექნიკური საშუალებები; არ მისცა რჩევა გამოეყენებინა ისინი მუშაობაში, რამაც რამდენადმე ხელი შეუშალა მათი გაკვეთილების ეფექტურობას.

აღმოსავლური ენების შესაბამისი კათედრების მიერ მომზადდა II—IV კლასების პროგრამები, რომლებიც დაიბეჭდა და სკოლებს დაურიგდა. ასევე, არაბულ და სპარსულ ენებში მომზადდა V—VI კლასების პროგრამები, მაგრამ ვერ დაიბეჭდა, რადგან თურქულ ენაში დღემდე ვერ მოხერხდა ხსენებული კლასების პროგრამის მომზადება.

ჯერ კიდევ 1978—1979 სასწავლო წელს აღმოსავლური ენების

შესაბამისი კათედრების მიერ მომზადდა და განათლების სამინისტროს სახელმძღვანელოების სამმართველოს ჩაბარდა მე-2 კლასის სახელმძღვანელო, მაგრამ, მიუხედავად მრავალი შეხსენებისა, „გამსახკომმა“ დღემდე ვერ გამოსცა ეს სახელმძღვანელოები და სკოლები მის გარეშე მუშაობენ. გასულ სასწავლო წელს როტაპრინტზე გამრავლდა პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო მასალა არაბულ ენაზე. თურქულ ენაში 1-ლი, მე-2, მე-3 და მე-4 კლასების წიგნები და სპარსული საანბანო წიგნი, რომელიც სახელმძღვანელოების სამმართველოს ჯერ კიდევ 1981 წლის სექტემბერში ჩაბარდა, დაიბეჭდა მხოლოდ 1982 წლის თებერვლის ბოლოს; ასევე გვიან დაიბეჭდა სპარსული წერის დედანი, რომელიც ბაქოდან სპარსული ენის მასწავლებლებმა ჩამოგვიტანეს. ყველა ეს დამხმარე მასალა დაურიგდა შესაბამის სკოლებს.

არაბული ენა ისწავლება მე-3 ექსპერიმენტულ (დირექტორი: ლ. ურიდია, დირექტორის მოადგილე სასწავლო მუშაობის დარგში დ. ღლონტი) და 126-ე საშუალო (დირექტორი ც. ლეჟავა, დირექტორის მოადგილე სასწავლო მუშაობის დარგში ნ. ტუღუში) სკოლებში. ამ ენას 7 მასწავლებელი ასწავლის.

სპარსული ენა ისწავლება 1-ელ (დირექტორი: ლ. შეწირული, დირექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში ნ. რატიანი) და 130-ე საშუალო (დირექტორი: დ. შალამბერიძე, დირექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში დ. კობახიძე) სკოლებში. ამ ენას 7 მასწავლებელი ასწავლის.

თურქული ენა ისწავლება 31-ე (დირექტორი: გ. სოსელია, დირექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში ნ. მურადაშვილი) და 54-ე საშუალო (დირექტორი: გ. ჯმუხაძე, დირექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში ვ. ნოდია) სკოლებში. ამ ენას 6 მასწავლებელი ასწავლის.

როგორც შემოწმებით გამოირკვა, სკოლებში აღმოსავლური ენების სწავლების მდგომარეობა სათანადო დონეზეა დაყენებული.

მასწავლებლების ძირითადი ნაწილი გაკვეთილს საგნის ენაზე ატარებს, იყენებს თვალსაჩინოებას, კარგი კალიგრაფიით ფერებში გაფორმებულ დასარიგებელ ტექსტობრივ მასალას. ყველა მოსწავლე აქტიურად არის ჩაბმული მუშაობაში; მე-2 კლასიდან მოყოლებული მოსწავლეებს მდიდარი ლექსიკური მარაგი აქვთ, რასაც მოხერხებულად იყენებენ სიუჟეტური სურათების აღწერისას და სამეტყველო სიტუაციებში. მოსწავლეებს ესმით მასწავლებლის მიერ დასმული კითხვების შინაარსი და ხალისით პასუხობენ მათ, კარგად ართმევენ თავს დიალოგურ სიტუაციებს, რომლებიც მეტად მრავალფეროვანია თემატიკის მიხედვით (სკოლა, დღის რეჟიმი, ოჯახის წევრები, საკლასო ოთახი, შინაური და გარეული ცხოველები და ფრინველები და სხვ.). გზადაგზა ლექსიკურ მასალაზე დაყრდნობით აწვდიან მოსწავლეებს გრამატიკულ კატე-

გორიებს მათი ენობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით და მოხერხებულად შეჰყავთ მოსწავლეები აღმოსავლური ენების ზმნისა და ფორმების ლაბირინთებში. მიუხედავად დამწერლობის სირთულისა (განსაკუთრებით არაბულსა და სპარსულ ენებში), მაღალია მათი წერისა და კითხვის კულტურა, მასწავლებლები ყურადღებას აქცევენ მოსწავლეთა გამოთქმის სიზუსტეს და წარმატებასაც აღწევენ, სისტემატურად სწორდება საკლასო, საშინაო და საკონტროლო წერის რვეულები. ასეთი მუშაობის შედეგად მასწავლებლების: ლ. თვალიაშვილის, მ. ტატიშვილის, მ. ჭელიძის, მ. ბურჯანაძის, ნ. ბარამიშვილის, მ. წიკლაურის, მ. კიკნაძის მოსწავლეების მომზადების დონე საკმაოდ მაღალია.

მასწავლებლების ერთი ჯგუფი ენას კარგად ფლობს, მაგრამ არ იცნობს სწავლების მეთოდებსა და ხერხებს, გაკვეთილებს ქართულ-აღმოსავლურ ენაზე ატარებს, არ იყენებს თვალსაჩინოებას, ვერ ახერხებს მე-2 კლასში შესწავლილი ლექსიკური მარაგის განმტკიცებას და მეტყველებაში დანერგვას, ახალ სიტყვებს განყენებულად ასწავლის, რაც ხელს უშლის გაბმული მეტყველების ჩვევის გამომუშავებას. მოსწავლეებს დამაკმაყოფილებელი კითხვის კულტურა აქვთ, მაგრამ ხაკლასო-საშინაო დავალებისა და საკონტროლო წერის რვეულების არასისტემატური გასწორება და არაფაქიზად მოვლა-პატრონობა გავლენას ახდენს მათი წერის კულტურის დონეზე (მასწავლებლები: ლ. ჟორჟოლიანი, თ. სახლთხუციშვილი, ქ. ხუციშვილი, მ. ილურიძე, ჰ. მურადიდი, მ. კიკნაძე, მ. ბოლქვაძე, მ. გურგენიძე, მ. ცხომელიძე).

მასწავლებლები: ა. რუმაშვილი, მ. ბუშკემაძე მეთოდურად გამართულ გაკვეთილებს ატარებენ, ისინი ძირითადად მოსწავლეებთან მხოლოდ შესწავლილ ენაზე მეტყველებენ, ზეპირმეტყველების განვითარების სხვადასხვა სახის სამუშაოს ატარებენ. მოსწავლეებს ესმით მასწავლებლის საუბარი და მათ მიერ შეთავაზებული სიტუაციის ირგვლივ საუბრობენ მარტივი წინადადებებით, წერენ და კითხულობენ დამაკმაყოფილებლად და ცოდნის თითქმის თანაბრად კარგი დონე აქვთ, თუმცა მასწავლებლებმა მეტი უნდა იმუშაონ თავიანთი თეორიული ცოდნის ასამაღლებლად — დახვეწონ გამოთქმა და გაიმდიდრონ საჭირო სიტყვათა მარაგი.

მასწავლებლები: ნ. სესაძე, ე. რეხვიაშვილი, დ. ფეიქრიშვილი, ლ. ხუნჯულაშვილი გაკვეთილს ძირითადად ქართულ ენაზე ატარებენ, სასწავლო პროცესში ძირითადად კითხვა და თარგმანი დომინირებს, ისინი არ ახდენენ სწავლების პირველ საფეხურზე შესწავლილ სიტყვათა მარაგის გამდიდრებასა და განმტკიცებას, კლასში ძირითადად მხოლოდ ერთ ჯგუფთან მუშაობენ, დანარჩენი მოსწავლეები გაკვეთილზე უმოქმედოდ სხედან, დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემას არ აცლიან მოსწავლეს და თვითონ პასუხობენ, რითაც ხელს უშლიან მოსწავლის დამოუკიდებელი აზროვნების განვითარებას. ისინი სისტემატურად არ ასწო-

რებენ საკლასო და საშინაო დავალების რვეულებს. ასეთი მუშაობის შედეგია, რომ სათანადო სიმაღლეზე არ დგას მოსწავლეთა წერისა და კითხვის კულტურა, ყველა მოსწავლე ვერ ამჟღავნებს დამაკმაყოფილებელ ცოდნას, ამ მასწავლებლებმა მონდომებით უნდა იმუშაონ თავიანთი თეორიული და მეთოდური ცოდნის დონის ასამაღლებლად.

მასწავლებელთა დიდი უმრავლესობა გაკვეთილის პროცესში არ აფასებს მოსწავლეთა ცოდნას და ნიშანი არ შეაქვს საკლასო ჟურნალსა და მოსწავლის დღიურში. არის შემთხვევები, როდესაც სკოლის ადმინისტრაცია სხვადასხვა კლასებში რიცხავს სხვა სკოლიდან გადმოსულ მოსწავლეებს, რაც გარკვეულ სიძნელეს უქმნის მასწავლებელს მუშაობაში.

**სკოლების სამმართველო**

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს, საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის კოლეგიის, საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოების, რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმისა და სატყეო მეურნეობის სამინისტროს კოლეგიის ერთობლივი 1982 წლის 27 მაისის გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

### ბუნების ნორჩ დამცველთა მე-13 რესპუბლიკური შეკრების ჩატარების შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიამ, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიურომ, საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის კოლეგიამ, საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმმა და საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს კოლეგიამ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს:

1. მიღებულ იქნას ცნობად ბუნების ნორჩ დამცველთა რესპუბლიკური შეკრების ჩამტარებელი საორგანიზაციო კომიტეტის ინფორმაცია მე-12 რესპუბლიკური შეკრების შედეგების შესახებ (დანართი № 1).

2. მიღებულ იქნას ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის წინადადება და ბუნების ნორჩ დამცველთა მე-13 რესპუბლიკური შეკრება ჩატარდეს 1982 წლის 4-5 დეკემბერს ქალაქ თბილისში.

3. დამტკიცდეს ბუნების ნორჩ დამცველდა მე-13 რესპუბლიკური შეკრების საორგანიზაციო კომიტეტი (დანართი № 2).

4. ბუნების ნორჩ დამცველთა მე-13 რესპუბლიკურ შეკრებაში მონაწილეობისათვის მოწვეულ იქნან სასკოლო სატყეოს, მწვანე და ცისფერი საგუშაგოებს და ნორჩ ფენოლოგთა სექციების წევრები.

5. დაევალოს ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკურ სასახლეს:

ა) უზრუნველყოს ბუნების ნორჩ დამცველთა მე-13 რესპუბლიკური შეკრების სექციების — სასკოლო სატყეოს, მწვანე და ცისფერი საგუშაგოების და ფენოლოგთა სექციური მუშაობა შესაბამის ინსტიტუტებსა და დაწესებულებებში, ამასთანავე დამტკიცდეს ცალკეული სექციების მუშაობის თემატიკა (დანართი № 3).

ბ) უზრუნველყოს ნატურალისტური განყოფილების ბიოლოგიის კაბინეტის მიერ ბუნების ნორჩ დამცველთა მე-13 რესპუბლიკურ შეკრებასთან დაკავშირებული ორგანიზაციულ-მეთოდური საკითხების მოგვარება.

6. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტროებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებს, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს, კომკავშირის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს:

ა) შექმნან ადგილებზე ბუნების ნორჩ დამცველთა საოლქო, საქალაქო და რაიონული საზოგადოებები.

ბ) ფართოდ ჩააბან ბუნების ნორჩ დამცველთა მე-13 რესპუბლიკურ შეკრებაში სკოლები, სკოლა-ინტერნატები, საბავშვო სახლები, სარაიონო, საქალაქო პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეები, სახლები და სხვა.

გ) ჩამოაყალიბონ რესპუბლიკის საშუალო და რვაწლიან სკოლებში, სკოლა-ინტერნატებში, სკოლისგარეშე დაწესებულებებში, იქ სადაც არ არის ჩამოყალიბებული, სასკოლო სატყეოები, მწვანე და ცისფერი საგუშაგოები და უზრუნველყონ მათი მუშაობის ფართოდ გაშლა.

15. აღნიშნულ ღონისძიებებთან დაკავშირებული ხარჯები გაიღოს ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკურმა სასახლემ (ამხ. თ. ჟღენტი).

16. დაევალოს გაზეთების: „სახალხო განათლების“, „ახალგაზრდა კომუნისტის“, „მოლოდიოჟ გრუზიის“, „ნორჩი ლენინელის“ და ჟურნალ „საქართველოს ბუნების“ რედაქციებს ფართოდ გააშუქონ ბუნების ნორჩ დამცველთა სექციების საქმიანობის ამსახველი მასალები.

17. განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველომ (ამხ. ე. ზარქუა), საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის განყოფილებამ (ამხ. გ. ბუკია), საქართველოს სსრ ბუნების დაცვის საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის ბუნების დაცვითი განათლების და პროპაგანდის განყოფილებამ (ამხ. ს. ყიფშიძე), საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის ბუნების სარგებლობის სამეცნიერო-ტექნიკური პრობლემების განყოფილებამ (ამხ. გ. მანია), საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს ტყის აღდგენისა და კეთილმოწყობის სამმართველომ (ამხ. ო. გამცემლიძე) დააწესონ კონტროლი ამ გადაწყვეტილების შესრულებაზე.

**საქართველოს სსრ განათლების მინისტრი**
**ო. ქინქლაძე**

**საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი**
**ი. ორჯონიკიძე**

**საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე**
**მ. კაჭარავა**

**საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის მინისტრი**
**შ. ჭალაგანიძე**

**საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე**
**ვ. კაჭარავა**

ბუნების ნორჩ დამცველთა მე-12 რესპუბლიკური შეკრება, მიძღვნილი ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავისადმი, ორგანიზებულად ჩატარდა. შეკრების მონაწილენი დიდი შრომითი მიღწევებით და ბეჯითი სწავლით შეხვდნენ ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავს, ფაშიზმზე გამარჯვების 35-ე წლისთავს და სხვა. რესპუბლიკურმა შეკრებამ მასობრივად ჩააბა მოსწავლე ახალგაზრდობა გარემოს შესწავლისა და დაცვის სამსახურში. გამოავლინა მოსწავლეთა დიდი ინტერესი ჩვენი ქვეყნის ფლორისა და ფაუნის შესწავლის, დაცვისა და ბუნებისადმი სათუთი დამოკიდებულების საქმეში, ორგანიზებულად და შინაარსიანად ჩატარდა მე-12 რესპუბლიკური შეკრება და სექციების შემაჯამებელი სხდომები.

ბუნების ნორჩ დამცველთა მე-12 რესპუბლიკური შეკრება ჩატარდა 1979 წლის დეკემბერში ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკურ სასახლეში, შეკრებაში მონაწილეობა მიიღო რესპუბლიკის 57 რაიონისა და ქალაქის რვაწლიანი და საშუალო სკოლების, სკოლა-ინტერნატების, პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეებისა და სახლების ბუნების ნორჩ დამცველთა საზოგადოებამ, სასკოლო სატყეოებმა, ცისფერმა და მწვანე საგუშაგოებმა და ნორჩ ფენოლოგთა სექციამ, სულ 300-მა მოსწავლემ.

წლითიწლობით მრავლდება ბუნების დამცველთა რიგები, იზრდება ინტერესი გარემოს შესწავლისადმი, ამაზე მეტყველებს მოსწავლეთა მიერ დამუშავებული და შეკრებაზე წარმოდგენილი მოხსენებები, ფოტოფარები, დიაგრამები, მაკეტები, სხვადასხვა სახის კოლექციები, ალბომები, შეკრებაზე წარმოდგენილი იყო საკვლევაძიებო მასალები, რომლებიც ასახავენ მოსწავლეთა მუშაობას საცდელ ნაკვეთებზე, მათ მიერ ჩატარებულ დაკვირვებებს, უძველესი მარცვლოვანი კულტურის — ღომის, უძველესი ხორბლის — მახას და ზანდურის აღსადგენ სამუშაოებს, უნიკალური ბუნებრივი ძეგლების — ძელქვას და სხვა ენდემური ჯიშების მცენარეთა დაცვის მდგომარეობას.

წარმოდგენილი ნამუშევრები მიუთითებენ მოსწავლე ახალგაზრდობის წვლილზე მშობლიური ქალაქის, რაიონის, დაბის კეთილმოწყობისა და გალამაზების, ეროზირებული ნიადაგების გამწვანების საქმეში.

მწვანე საგუშაგოს მუშაობა შეჯამდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტში აკად. ნ. კეცხოველის ხელმძღვანელობით.

სასკოლო სატყეოს მუშაობა შეაჯამა საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკმა გ. ურუშაძემ. შეკრებაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის მინის-

ტრმა შ. ჭალაგანიძემ, საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის მინისტრის მოადგილემ მ. გიგაურმა. ცისფერი საგუშაგოსა და ნორჩ ფენოლოგთა სექციების მუშაობა შეჯამდა ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკურ სასახლეში ბილოოგიის კაბინეტის თანამშრომელთა მიერ. შეკრების წარმატება მნიშვნელოვნად განაპირობა აღნიშნულ ღონისძიებაში კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციების აქტიურმა მონაწილეობამ.

ბუნების ნორჩ დამცველთა რესპუბლიკურ საზოგადოებას დიდ დახმარებას უწევდა საქართველოს სსრ სატყეო სამინისტრო, რომელმაც რამდენიმე ასეული ნერგი გადასცა ბუნების ნორჩ დამცველთა რესპუბლიკურ საზოგადოებას ჩვენი მხარის სხვადასხვა კუთხეში დასარგავად.

ბუნების ნორჩმა დამცველებმა მონაწილეობა მიიღეს საკავშირო პიონერულ ოპერაციაში „მწვანე სამოსი სამშობლოს".

ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავს მიეძღვნა მასიური ლაშქრობები სასკოლო სატყეოების, ტყის მონაკვეთების, საცდელი ნაკვეთების, ქუჩების, ხეივნების ეროზირებული ნიადაგების, შინმოუსვლელთა სკვერების გასამწვანებლად.

ბუნების ნორჩ დამცველთა მე-12 რესპუბლიკური შეკრების მონაწილეებმა და ბ. ძნელაძის სახ. პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ნორჩმა ბიოლოგებმა ბ. ძნელაძის სახელობის კომკავშირულ ქალქაში გაამწვანეს მთის ფერდობები, დარგეს ზოია რუხაძის, ზოია კოსმოდემიანსკაიას, შოთა გამცემლიძის, ფორე მოსულიშვილისა და სხვათა სახელობის ხეები.

ბუნების ნორჩმა დამცველებმა მონაწილეობა მიიღეს უფროსკლასელთა კონფერენციებში „ლენინურად გვიყვარდეს ბუნება", რომელიც 1979 წლის ნოემბერში გაიმართა ქ. ლენინგრადში, 1980 წლის იანვარში კი ქ. მოსკოვში, აგრეთვე სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე ნორჩ ნატურალისტთა პავილიონის მიერ მოწყობილ მოსწავლეთა კონფერენციაში, რომელიც ვ .ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავს მიეძღვნა.

1979 წლის ნოემბერში ქ. მოსკოვში განზოგადდა „ბუნების ნორჩ დამცველთა რესპუბლიკური" საზოგადოების საქმიანობა. მოსმენილ იქნა ბიოლოგიის კაბინეტის გამგის თ. ჯიქიძის მოხსენება „ქართველ ბუნების ნორჩ დამცველთა რესპუბლიკური შეკრებები და ბუნების ნორჩ დამცველთა რესპუბლიკური საზოგადოების საქმიანობა", საზოგადოების მუშაობა გაშუქდა აგრეთვე ბუნების დაცვის მე-6 საკავშირო ყრილობაზე, სადაც მოხსენებით გამოვიდა ბიოლოგიის კაბინეტის აქტივისტი, თბილისის 165-ე საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე ალექსანდრე ზედგენიძე. აღსანიშნავია ქ. ქ. თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, მაიაკოვსკის, გეგეჭკორის, თერჯოლის, წითელწყაროს, ჭიათუ-

რის, კასპის, საგარეჯოს, ცაგერის, აბასთუმნის, ახმეტის, ონის, წულუკიძის, მცხეთის, ქობულეთის, გურჯაანისა და სხვა რაიონების ნაყოფიერი მუშაობა.

ბუნების ნორჩ დამცველთა მე-12 რესპუბლიკური შეკრების ჩატარებაში მოსწავლეთა მასობრივი ჩაბმის მიზნით დიდი მუშაობა ჩაატარა ბ. ძნელაძის სახ. პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ნატურალისტური მუშაობის განყოფილების ბიოლოგიის კაბინეტმა.

შეკრებაში გამოვლინდა სერიოზული ნაკლოვანებები, კერძოდ: ფართოდ არ იყო წარმოდგენილი მთელი რიგი რაიონებისა, რესპუბლიკის ზოგიერთ სკოლაში არ არის ჩამოყალიბებული სასკოლო სატყეოები, მწვანე და ცისფერი საგუშაგოები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ბუნების დაცვის საზოგადოების პრეზიდიუმმა შეკრებაში გამარჯვებული 20 მოსწავლე და 3 ხელმძღვანელი დააჯილდოვა საზაფხულო ექსპედიციის საგზურით, შემდეგი მარშრუტით: თბილისი-ბათუმი-იალტა-სევასტოპოლი-სიმფეროპოლი-ასკანია-ნოვა-ქერჩი-ფეოდოსია-სოჭი-თბილისი.

ექსკურსიას ხელმძღვანელობდა ბ. ძნელაძის სახ. პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ბიოლოგიის კაბინეტი (ხელმძღვანელი თ. ჯიქიძე).

ექსპედიციის მონაწილეებმა გაიმდიდრეს სკოლაში მიღებული ცოდნა, ყირიმში დაათვალიერეს ნიკიტსკის ბოტანიკური ბაღი, ბათუმსა და სევასტოპოლში — აკვარიუმები, ასკანია-ნოვაში—ცხოველთა ნაკრძალი და ბოტანიკური ბაღი, ნახეს 35 წლის ქალაქი ახალი კახოვკა და სხვა ღირსშესანიშნავი ობიექტები.

**დანართი № 2**

**ბუნების ნორჩ დამცველთა მე-13 რესპუბლიკური შეკრების საორგანიზაციო კომიტეტის შემადგენლობა:**

1. კეცხოველი ნ. ნ. — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ბოტანიკის ინსტიტუტის დირექტორი (თავმჯდომარე)
2. კობახიძე მ. კ. — საქართველოს სსრ განათლების მინისტრის პირველი მოადგილე (თავმჯდომარის მოადგილე)
3. ხაჩიძე მ. ი. — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი (თავმჯდომარის მოადგილე)
4. კაჭარავა ვ. ი. — საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ ბუნების დაცვის საზოგადოების პრეზიდიუმის საპატიო თავმჯდომარე
5. ზარქუა ე. ა. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს უფროსი
6. ჟღენტი თ. გ. — ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის დირექტორი (თავმჯდომარის მოადგილე)
7. ცერცვაძე ი. ნ. — გაზეთ „ნორჩი ლენინელის" რედაქტორი
8. ჭალაგანიძე შ. ი. — საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის მინისტრი
9. თევდორაძე ი. — საქართველოს ალკკ თბილისის კომიტეტის მდივანი, პიონერთა საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე
10. ყურაშვილი ბ. ე. — თბილისის ზოოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი
11. გიგაური გ. ნ. — საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს სამთო მეტყველების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი
12. ჯანაშვილი ა. გ.—თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტის უხერხემლოთა ზოოლოგიის კათედრის გამგე, პროფესორი
13. თუმანიშვილი გ. დ. — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი
14. მგელიაშვილი ნ. მ. — საქართველოს სსრ მონადირეთა და მეთევზეთა კავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარე
15. შადური ა. ი. — საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს ნაკრძალთა მეურნეობის მთავარი სამმართველოს უფროსი
16. ბუკია გ. კ. — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის განყოფილების გამგე
17. ჯანელიძე ო. შ. — საქართველოს სსრ ბუნების დაცვის საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე

ეროვნული ბიბლიოთეკა

18. შუბლაძე ვ. ა. — ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკური სადგურის დირექტორი
19. ხუტულაშვილი გ. ვ. — ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ნატურალისტური მუშაობის განყოფილების გამგე
20. ჯიქიძე თ. გ. — ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ნატურალისტური მუშაობის ბიოლოგიის კაბინეტის გამგე (მდივანი)

დანართი № 3

ბიბლიოთეკა

## მწვანე საგუშაგო

„მწვანე საგუშაგოს“ ძირითადი მიზანია: მშობლიური მხარის ბუნებრივი სიმდიდრეების, მწვანე ნარგავების, ფრინველებისა და ცხოველების დაცვა, ბრძოლა ნიადაგების ეროზიასთან.

სკოლებთან, სკოლისგარეშე დაწესებულებებთან ყველგან უნდა ჩამოყალიბდეს მწვანე საგუშაგო ან მწვანე საგუშაგოს შტაბი, რომელსაც ამტკიცებს სკოლის დირექცია და კომკავშირის კომიტეტი; არჩეული უნდა იქნას თავმჯდომარე, მოადგილე, მდივანი.

„მწვანე საგუშაგოს“ წევრებს ევალებათ ბუნების ძეგლებისა და მწვანე ნარგავების დაცვა სკოლის ეზოებში, საცდელ ნაკვეთებზე, სკვერებში, გზებისა და ქუჩების გასწვრივ, საბავშვო მოედნებსა და საცხოვრებელ მასივებში. მიკრორაიონის, ქუჩის, ეზოს, სასკოლო სკვერების და საშეფო მოედნების გამწვანება, ხეების დარგვა, ბუჩქებისა და ყვავილების გაშენება, გაზონების მოწყობა, გაზაფხულზე ხეების კრონების გათეთრება, კრონისქვეშა ჯიშების გაფხვიერება, სარეველებისაგან გასუფთავება, ცხელ დღეებში — მცენარეების მორწყვა.

„მწვანე საგუშაგოს“ წევრები ებრძვიან მათ, ვინც არღვევს კანონს ბუნების დაცვის შესახებ. ისინი სისტემატურად იწვევენ პიონერებსა და მოსწავლეებს ბუნების დასაცავად დასახელებული პუნქტების გასამწვანებლად, ზრდიან მათში მშობლიური ბუნებისადმი სიყვარულს, სწავლობენ მშობლიურ მხარეს.

მწვანე ნარგავთა დაცვის მიზნით „მწვანე საგუშაგოს“ წევრები მორიგეობენ ბაღებსა და პარკებში, თვალყურს ადევნებენ, რომ არავინ დააზიანოს ხეები, ბუჩქები არ მოკრიფოს ყვავილები, არ დაარღვიოს პარკებსა და სკვერებში სიარულის წესები.

ტყის ნორჩი მეგობრები ებრძვიან ბრაკონიერებს, ტყის მჩეხავებს, ყველას, ვინც არღვევს კანონს ბუნების დაცვის შესახებ. მწვანე საგუშაგოს წევრები დამრღვევთა შესახებ აცნობებენ ბუნების დაცვის საზოგადოების ადგილობრივ საბჭოებს, სახალხო რაზმეულის შტაბებს, სახელმწიფო და საზოგადოებრივ ინსპექციებს, მილიციის ორგანოებს და სხვა.

სკოლაში მიღებული ცოდნის გაღრმავების მიზნით „მწვანე საგუშაგოს“ წევრებს ვთავაზობთ სარეკომენდაციო თემატიკას, რომელიც არ ზღუდავს მათ ინიციატივას, იგი მხოლოდ დამხმარე მასალის ნიმუშს წარმოადგენს.

### „მწვანე საგუშაგოს“ თემატიკა

1. მწვანე ნარგავების მნიშვნელობა და მათი გავლენა ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებში ატმოსფეროს გაჭუჭყიანების დაქვეითებაზე, ფიტონციდური თვისებების აღმავლობასა და ქალაქში ხმაურის შემცირებაზე.

2. ადგილობრივ გავრცელებული ხე და ბუჩქოვან მცენარეთა ბიოლო-გიური თავისებურებანი.
3. ფიტონციდური მცენარეები და მათი გამოყენება გამწვანებაში.
4. ხე-მცენარეთა გარჩევა ტოტებისა და ქერქის მიხედვით.
5. კრონის გახმობის მიზეზები.
6. ხე და ბუჩქოვან მცენარეთა ზრდა-განვითრებაზე დაკვირვება ვეგე-ტაციის პერიოდში.
7. მრავალწლიან ხანგრძლივად მოზარდ ხე-მცენარეთა დაცვა.
8. სასკოლო სანერგეები, ნერგების გამოყვანა.
9. საავტომობილო გზების გამწვანების მნიშვნელობა.
10. მინდორსაცავი ზოლების, ხრამებისა და ხევების გამწვანება.
11. სასკოლო ყვავილნარების მოწყობა.
12. სკოლის შემოგარენის, საცხოვრებელი ეზოებისა და გაზების გამ-წვანება.
13. მტვრის მსრუტავი ჭადრების კალმებით გამრავლება.
14. მინერალური სასუქების გავლენა ნათესებისა და ნერგების ზრდაზე.
15. მორწყვის ნორმების გავლენა ნერგების მყნობით გამრავლებაზე.
16. სარეველა მცენარეები და მათ წინააღმდეგ ბრძოლა.
17. როგორ ვატარებთ ბაღის კვირეულს.
18. ქალაქის ბოტანიკური ბაღისა და დენდროპარკების მცენარეები.
19. როგორ მოვაწყოთ სასკოლო ყვავილნარები.
20. ცოცხალი და არაცოცხალი ბუნების ძეგლთა ფაუნა.
21. უტყეო ფერდობების გამწვანება.
22. სასოფლო გზების გამწვანება.
23. ხეხილოვანი კულტურებით მინდორსაცავი ზოლების გაშენება.
24. ეროზირებული ადგილების გამწვანება.
25. ტყის მცენარეების: ცაცხვის, აკაციის, ნეკერჩხლის, იფნის, წაბლის, ნაძვის, ფიჭვის, სოჭის და სხვათა თესლები და მათი შეგროვება.
26. მიკრორაიონის ნიადაგი და მისი მცენარეული საფარი.
27. ამფიბიების დაცვა.
28. ფრინველები — ჩვენი ბუნების მშვენება.
29. ფრინველები, როგორც ადამიანის ძირითადი თანაშემწეები მწვა-ნე მწერების და მღრღნელების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.
30. მოზამთრე ფრინველების დაცვა.
31. ნაკრძალები, მათი ფაუნა და დაცვა.
32. ეროზირებულ ნიადაგზე გაშენებული ხეხილის ბაღებისა და ვენა-ხების მოსავლიანობა (ჯიშებისა და ფართობის გათვალისწინებით).
33. მცენარეთა მრავალფეროვნება და სახეობებს შორის ურთიერთკავ-შირი.
34. საზოგადოებისა და ბუნების ურთიერთკავშირი.
35. ბუნებრივი გარემოს დაცვის პრობლემები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ა) გაბინძურებისაგან დაცვა,
ბ) ბუნების ეტალონების დაცვა და შენარჩუნება,
გ) ბუნებრივი ძეგლების დაცვა და შენარჩუნება.

36. სსრ კავშირისა და ჩვენი რესპუბლიკის წარმატებები გარემოს დაცვის პრობლემების გადაწყვეტაში.
37. მცენარეთა თანასაზოგადოება, ადამიანის გავლენა მცენარეთა თანასაზოგადოებაზე.
38. სასოფლო-სამეურნეო მცენარეების მავნებლებთან ბრძოლის ბიოლოგიური მეთოდი.
39. მცენარეთა ზამთარგამძლეობა და მისი ამაღლების მეთოდები.

### ცისფერი საგუშაგო

ბუნების ნორჩ დამცველთა რესპუბლიკური საზოგადოების სექციებს შორის მნიშვნელოვანი როლი ენიჭება „ცისფერ საგუშაგოს“. მისი მიზანია თევზების დაცვა მდინარეებში, ტბებში, ზღვებსა და წყალსაცავებში. საგუშაგოს წევრები ეხმარებიან სამშობლოს თევზის სიმდიდრის მარაგის დაცვასა და გამრავლებაში.

ცისფერი საგუშაგო თვალყურს ადევნებს წყალსატევების სისუფთავეს, ატარებს მთელ რიგ სამუშაოებს მდინარის ნაპირების გასამწვანებლად და გასამაგრებლად, იცავს ლიფსიტებს, თანატოლებს ასწავლის თევზის ჭერის წესებს, მასწავლებლებისა და სპეციალისტების ხელმძღვანელობით „ცისფერი საგუშაგოს“ წევრები სწავლობენ წყალსატევების ფლორასა და ფაუნას, აკვირდებიან სხვადასხვა სახის თევზების განვითარებას.

წყალსატევებში თევზების გადასარჩენად გაჰყავთ არხები, ასრულებენ მეთევზეობის მეურნეობიდან, სამეცნიერო დაწესებულებებიდან და სკოლიდან მიღებულ დავალებებს.

„ცისფერი საგუშაგოს“ წევრები მუდმივად უნდა მონაწილეობდნენ ოპერაციაში „ცოცხალი ვერცხლი“, რომლის მიზანია თევზების დაცვა, მათი ბიოლოგიური თავისებურებების შესწავლა და თევზის დაცვის სამმართველოების დავალებების ხარისხიანად შესრულება.

ბუნების ნორჩ დამცველთა რესპუბლიკური საზოგადოების ვალია მასიურად ჩააბას მოსწავლეები „ცისფერი საგუშაგოების“ მუშაობაში.

ყველა პიონერს, მოსწავლეს და კომკავშირელს შეუძლია გახდეს „ცისფერი საგუშაგოს“ წევრი.

„ცისფერი საგუშაგოები“ მუშაობენ იქ, სადაც არის წყლის რესურსების და თევზის მარაგის შესწავლისა და დაცვის სამუშაო ბაზა.

თუ სკოლებში, პიონერთა სახლებში, სასახლეებში, საბავშვო სახლებში, პიონერთა ბანაკებში, ნაკრძალებში არ არის „ცისფერი საგუშაგოები“, უნდა ჩამოყალიბდეს, მათ სამოქმედოდ უნდა გამოეყოთ გარკვეული ზონები.

მასიურად ჩავებათ და აქტიური მონაწილეობა მივიღოთ შრომით საქმიანობაში ჩვენი რესპუბლიკის ბუნებრივი სიმდიდრის — თევზის — დაცვისა და გამრავლების საქმეში.

**ცისფერი საგუშაგოს თემატიკა**

1. მდინარის ნაპირების გამწვანება და მისი მნიშვნელობა.
2. ჩვენი სოფლის, დაბის, რაიონის მდინარეებისა და ტბების თევზები.
3. მიკრორაიონის წყალსატევების თევზთა ნაირსახეობა.
4. როგორ გადავარჩინოთ ლიფსიტები და პატარა თევზები წყალდიდობის და მდინარის კალაპოტის დარღვევის დროს.
5. თევზების ზრდა-განვითარებაზე დაკვირვება.
6. თევზების დაცვა.
7. თევზების მიგრაცია.
8. ბრაკონიერების წინააღმდეგ ბრძოლა.
9. თევზების უმთავრესი დაავადებანი და მათ წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები.
10. თევზის სამეურნეო მნიშვნელობა.
11. თევზის ხელოვნური მოშენება.
12. სატბორე მეურნეობა.
13. თევზის რაციონალური გამოყენება და წყლის გაბინძურებისაგან დაცვა.
14. წყალსატევების ბიოცენოზი და ბიოლოგიური წონასწორობა.
15. წყლის რესურსების კომპლექსური გამოყენება თევზის რეწვის საქმეში.
16. მსოფლიო ოკეანის სიმდიდრე.

**„სასკოლო სატყეო“**

ტყე ჩვენი სიმდიდრეა, ტყე ბუნების საუნჯეა. ტყე ბიოსფეროს ძირითადი შემადგენელი ნაწილია, ნოყიერი მიწის მფარველია, ცოცხალი სასმელი წყლის დარაჯია.

ტყეს კლიმატური პირობების გაუმჯობესების როლი აკისრია. იგი აჩერებს ქარებს, ანელებს ეროზიის მოვლენებს, ხელს უშლის ხევების, ხრამების წარმოშობას.

ტყე ჯანმრთელობისა და სულიერი სიმშვიდის დიდი წყაროა, მწვანე ლაბორატორიაა, რომელიც გამოიმუშავებს ჟანგბადს, შთანთქავს შხამიან გაზებს და მტვერს. ტყე ჩვენი სიცოცხლის წყაროა. მას დაცვა და მოვლა ესაჭიროება. ტყე რომ დაიცვა, ახლოს უნდა გაიცნო და შეიყვარო მისი ბუნება. კარგად უნდა იცნობდე მის მცენარეებს, ცხოველებს, ბუნებრივ მოვლენებს.

ბუნება მთელ თავის სიმდიდრეს — ტყეს ადამიანს აძლევს და სანაცვლოდ მხოლოდ მოვლა-პატრონობას მოითხოვს. ამიტომ, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, სკოლა-ინტერნატებსა და სკოლისგარეშე

საბავშვო დაწესებულებებში, და განსაკუთრებით იქ, სადაც ახლოსაა ტყე, უნდა შეიქმნას სასკოლო სატყეოები, რომელშიც სურვილის მიხედვით გაერთიანდებიან V—X კლასების მოსწავლეები. სასკოლო სატყეოში შეიძლება ჩაებას მთელი სკოლა, გაერთიანდეს მთელი რაზმეული, ხოლო შემდგომ დაიყოს კლასებად, ჯგუფებად ან ბრიგადებად.

„სასკოლო სატყეოს“ წევრები ირჩევენ „სასკოლო სატყეოს“ საბჭოს 7-11 წევრის შემადგენლობით, ხოლო საბჭოს წევრები — თავმჯდომარეს, მოადგილეს და მდივანს. საბჭოს შემადგენლობაში შევა კომკავშირის სასკოლო კომიტეტის წევრი და რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარე (ან წევრი).

„სასკოლო სატყეოს“ საერთო საქმიანობას ხელმძღვანელობს განათლების განყოფილებასთან არსებული ბუნების ნორჩ დამცველთა საზოგადოება. ამ საზოგადოების უფროს მეგობართა საპატიო საბჭოში შედის სატყეო მეურნეობის დირექტორი, კომკავშირის რაიონული (ან საქალაქო) კომიტეტის წარმომადგენელი და სხვა.

„სასკოლო სატყეოს“ საბჭო ადგენს სამუშაო გეგმასა და ზრუნავს მისი შესრულებისათვის.

სასკოლო სატყეოებს მეთოდურ დახმარებას უნდა უწევდნენ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკური სადგური და ბ. ძნელაძის სახ. პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ნატურალისტური მუშაობის განყოფილების ბიოლოგიის კაბინეტი.

სასკოლო სატყეოს წევრებმა სატყეო მეურნეობის სახელმძღვანელობით მთელი რიგი სამუშაოები უნდა ჩაატარონ მახლობელი ტყის მასივებში. ამასთან, უნდა გაიპიროვნონ სატყეო მეურნეობის უბნები, შეისწავლონ საკუთარი სოფლის (ქალაქის, რაიონის) ტყის კულტურები და ბუნებრივი სიმდიდრეები, მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში.

დახმარება აღმოუჩინონ სახელმწიფო და საკოლმეურნეო ტყეების დაცვის მუშაკებს ტყის უნებართვოდ მოჭრის, ხანძრის საწინააღმდეგო და სხვა ღონისძიებათა გატარების საქმეში.

მონაწილეობა მიიღონ სამკურნალო ნედლეულის, საკვები ბალახის, თესლებისა და სანერგე მეურნეობისათვის საძირე მასალის შეგროვებაში, სარეველების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში, სასარგებლო ცხოველებისა და ფრინველების დაცვასა და გამოკვებაში, ტყეების განაშენიანებასა და მეჩხერიანობის წინააღმდეგ გასატარებელ ღონისძიებებში, აქტიურად ჩაებან „ფრინველთა დღის“, „ტყის კვირეულის“ და, ბაღის ერთთვიურის“ ჩატარებაში და სხვა.

სასწავლო წლის ბოლოს ჩატარებული მუშაობის შესახებ სასკოლო სატყეო ანგარიშს აბარებს რაიონის განათლების განყოფილებასთან არსებულ ბუნების დამცველთა საზოგადოების საპატიო საბჭოს, საქართველოს სსრ სატყეო სამინისტროს, ბ. ძნელაძის სახ. პიონერთა

და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ნატურალისტური მუშაობის განყოფილების ბიოლოგის კაბინეტთან არსებულ ბუნების [illegible]-დამცველთა რესპუბლიკურ საბჭოს.

სასკოლო სატყეოს წევრები, რომლებიც თავს გამოიჩენენ დავალების შესრულებაში, დაჯილდოვდებიან სამკერდე ნიშნით, „საქართველოს ტყეების დაცვისა და გამრავლებისათვის“, სიგელებით, დიპლომებით, ფასიანი საჩუქრებით, რესპუბლიკის გარეთ ექსკურსიებში მონაწილეობის უფლებით. საშუალო სასწავლებლის დამთავრებისას მათ ეძლევათ დახასიათება-რეკომენდაცია სასოფლო-სამეურნეო სპეციალურ სასწავლებლებში შესასვლელად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## „სასკოლო სატყეოს“ სავარაუდო თემატიკა

1. როგორ დავიცვათ და მოვუაროთ ტყეს.
2. ტყე ადამიანის სამსახურში.
3. ტყის ჯიშები.
4. ტყის სიმდიდრე.
5. წიწვოვანი და ძვირფასმერქნიანი ტყეები.
6. მთის ტყეების მნიშვნელობა საქართველოს სახალხო მეურნეობაში.
7. წიწვოვანი და ფოთლოვანი ტყის მცენარეები.
8. გამეჩხერებული ტყის აღდგენა.
9. ტყის ჯიშების სანერგის მოწყობა.
10. ძვირფასი მერქნის მომცემი ჯიშების ხე-მცენარეთა ახალგაზრდა ნერგების შენარჩუნება-დაცვა.
11. ტყეში გავრცელებული ფრინველები.
12. ტყის ცხოველები.
13. ტყის ბუჩქები.
14. როგორ შევაგროვოთ საძირე მასალა სანერგე მეურნეობისათვის.
15. როგორ დავეხმაროთ უფროსებს და რა გავაკეთოთ ტყის დაცვისათვის.
16. როგორ დავიცვათ ტყე ხანძრისაგან.
17. ტყის დასაცავად გაწეული საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა.
18. უტყეო ფერდობებზე ტყის ხეხილოვანი კულტურების გაშენება.
19. კალენდრის შედგენა ტყის მცენარეების თესლების შესაგროვებლად.
20. შხამიანი და სასარგებლო სოკოები.
21. ტყის მცენარეთა დაავადებანი და მათ წინააღმდეგ ბრძოლა.
22. რა გავაკეთოთ ტყეების განაშენიანებებისათვის, როგორ ვიბრძოლოთ ტყის მეჩხერიანობის წინააღმდეგ.
23. საკვები ბალახები და სამკურნალო მცენარეები.
24. ტყის მცენარეები იარუსების მიხედვით.
25. ტყე — ცხოველთა მყუდრო სავანე.
26. ჩვენი სასკოლო სატყეოს სანერგე.

27. ქართული მუხა ჩვენი ტყის სიამაყე.
28. ბრძოლა მეწყერებთან და ნაშალების გამაგრება ხე-მცენარეებით.
29. ტყის შერჩევითი გამოჭრა.
30. ტყის აღდგენის ღონისძიებები გამეჩხერებულ ტყეებში.
31. საქართველოს ძვირფასმერქნიანი ტყის ჯიშები.
32. სასარგებლო მწერები და მათი დაცვა.
33. ზამთრისათვის ფრინველების გამოსაკვები მცენარეების თესლების შეგროვება.
34. როგორ ვატარებთ ბუნების ნორჩ დამცველთა ღონისძიებებს: „ფრინველთა დღეს", „ტყის კვირეულს", „ბაღის ერთთვიურს".
35. ლიქენი — ჰაერის გამწმენდი.
36. ნაკრძალების, ბოტანიკური ბაღების და ბუნებრივი პარკების როლი მცენარეთა რაციონალურად გამოყენებისა და იშვიათი სახეობების დაცვის საქმეში.
37. ტყე ბიოსფეროს სამსახურში.
38. კედარის ტყეების მნიშვნელობა.
39. ტყის მცენარეთა სახეობრივი მრავალფეროვნება.
40. ტყის ნიადაგები და მათი მცენარეული საფარი.
41. მიკრორაიონის ტყის კულტურები და ბუნებრივი სიმდიდრეები.
42. ტყის ტიპები.
43. სხვადასხვა ნიადაგის გავლენა ტყის ჯიშების კალმების დაფესვიანების სიჩქარეზე.
44. საქართველოს ტყის ენდემური მცენარეები.
45. გადაშენების გზაზე მყოფი მცენარეებისა და ცხოველების დაცვა.
46. სასარგებლო ფრინველების აღრიცხვა-დაცვა.

**ნორჩ ფენოლოგთა სექცია**

ფენოლოგიურ დაკვირვებას კვლევითი ხასიათი უნდა ქონდეს.

დაკვირვებებს ბუნებაში ისეთ სეზონურ მოვლენებზე როგორიცაა მცენარეთა ყვავილობა, ნაყოფების მომწიფება, ფოთოლცვენა, ფრინველების მიმოფრენა და სხვა. ფენოლოგიური დაკვირვებანი ეწოდება.

ფენოლოგიური დაკვირვებების ჩატარება ყოველი ჩვენთაგანისათვის არის შესაძლებელი. მას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. მის ჩასატარებლად წინასწარ უნდა ამოირჩეს ადგილი, ბაღი, პარკი, მინდორი და სხვა.

ფენოლოგიური დაკვირვება უნდა ჩაატარო წლის ყოველ დროს (ზაფხულში, შემოდგომაზე, ზამთარში, გაზაფხულზე) და უნდა ჩაიწერო დრო, რიცხვი, თვე, წელი. როდის დაიწყო ბუნებაში ესა თუ ის მოვლენა, თვითონ შენ უნდა ჩაატარო დაკვირვებები დღე გამოშვებით. უკეთესია ყოველ დღე, მხოლოდ ერთსა და იმავე დროს და აღწერო რას უნდა დააკვირდე მაგალითად ივნისში, ზაფხულში მინდორში და ბაღ-

პარკებში რა ყვავილობს, რომელ მცენარეებს უვითარდებათ ნაყოფები, ტყეში რომელი სოკოები გამოჩნდნენ; როდის ყვავილობს სოფლის მეურნეობის კულტურები, ხე-მცენარეებიდან—ცაცხვი, ბუჩქებიდან ჩაი და სხვა.

დააკვირდით ფრინველებს, მათ ქცევებს და სხვა. დააკვირდით ბუნების მოვლენებს, შეისწავლეთ თქვენი მიკროუბანი, მიკრორაიონი. გაარკვიეთ საცდელ ნაკვეთზე მცენარეთა ნაირსახეობა; ხე, ბუჩქოვან და ბალახოვან მცენარეებზე, მათ გაკვირტვაზე, აყვავილებაზე და საერთოდ მათ ზრდა-განვითარებაზე ჩაატარეთ ფენოლოგიური დაკვირვება.

შეადგინეთ მერქნიან მცენარეთა განვითარების კალენდარი ფრინველთა მიმოფრენის, ბუდეების გაკეთების, ბარტყობისა და სხვა. წლის ყოველ დროს საინტერესო საკითხებზე ჩაატარეთ დაკვირვებები ფრინველებზე.

დააკვირდით ბუნებაში როგორი შეგუებითი საშუალებები აქვთ ფრინველებს, მხეცებს იმ პირობებში, სადაც ისინი ცხოვრობენ.

დააკვირდით, რომელ ხეზე ცხოვრობენ ციყვები, იქნებ შესძლოთ მათი ბუდეების მოძებნა, ჩაიხატეთ, გადაიღეთ ფოტოსურათები, ბაღში დააკვირდით ხეებს. ზამთარშიც მათ ტოტებზე ხომ არ არის მწვანე მწერების ბუდეები, კვერცხები, თუ აღმოჩნდება ჩამოიღეთ და დაწვით.

### ნორჩი ფენოლოგების სექციის თემატიკა

1. ნორჩ ფენოლოგთა საქმიანობა გარემომცველი ბუნების დაცვის საქმეში.
2. ფენოლოგიური დაკვირვება ყვავილოვან მცენარეთა განვითარებაზე, კოკრის გამოჩენაზე, ყვავილობის დაწყებაზე მცენარის მასიურ ყვავილობაზე, მცენარეთა დაყვავილებაზე და სხვა.
3. ამინდთან დაკავშირებით, დღის რომელ დროს ახდენენ მწერები ყვავილობის დამტვერვას და ნექტარის მოპოვებას.
4. დაკვირვება მავნე მწერების განვითარებაზე.
5. ფენოლოგიური დაკვირვებები და საცდელი სამუშაოები, ხეების ბუჩქებისა და ბალახოვანი მცენარეების განვითარებასა და ნაყოფიერების ზრდაზე.
6. ფენოლოგიური დაკვირვება მცენარეებზე, მწერებზე და ფრინველებზე წლის დროების მიხედვით.
7. ფრინველთა გამოცნობა გალობით.
8. ბუნების კალენდარი.
9. მიკრორაიონის გარემოს გავლენა (ტემპერატურა, ჰაერის წნევა, ნალექები) მწვანე მცენარეთა ზრდა-განვითარებაზე.
10. მიკრორაიონის ფიზიკურ-გეოგრაფიული აღწერა.
11. ცხოველთა ნაკვალევი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

12. ცხოველთა ქცევებზე დაკვირვება.
13. სასარგებლო ფრინველებზე დაკვირვება.
14. ძლიერი ჭექა-ქუხილის და ნიაღვრების გავლენა მცენარეებზე.
15. ფრინველთა ორიენტაცია, მათი მიგრაცია მიმოფრენის დროს.
16. ფრინველთა მიმოფრენა, ბუდობა და ბიოლოგიური თავისებურება.
17. ფენოლოგიური დაკვირვება მიმომფრენ ფრინველებზე (მოფრენა ერთეულის სახით და მასობრივად, გამოჩეკვის დრო).
18. ფრინველთა სამუშაო დღე.
19. კომბოსტოს თეთრულას განვითარება.
20. ფოთოლთა შეფერილობის ცვალებადობა შემოდგომაზე.
21. წყალსატევებზე დაკვირვება.
22. ამინდის მაუწყებელი „სინოპტიკოსი“ ცხოველები.
23. ტყის ხე-მცენარეთა ყვავილობის კალენდარი.
24. „ბარომეტრი“ მწერები.
25. საშემოდგომო მოვლენები მცენარეთა სამყაროში (ფოთოლცვენის დაწყება, მასიური ფოთოლცვენა და სხვა).
26. ფრინველების გადაფრენის დრო.
27. ბუნებრივი ორიენტირი და მისი საშუალებით ბუნებაში ადგილმდებარეობის გარკვევა.

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს და საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს 1982 წლის 4 ივნისის ბრძანება №490/376/ო

### შვილად აყვანის ინსტრუქციის დამტკიცების შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს სსრ განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის მინისტრები ბ რ ძ ა ნ ე ბ ე ნ:

1. დამტკიცდეს ინსტრუქცია შვილად აყვანის შესახებ.
2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის მინისტრების 1969 წლის 31 მარტის ბრძანება № 186/193-ით დამტკიცებული „უდედმამოდ დარჩენილ ბავშვთა პატრონირების, მეურვეობის, მზრუნველობისა და შვილად აყვანის“ ინსტრუქციის II თავი („შვილად აყვანა“) და საქართველოს სსრ განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების 1978 წლის 28 თებერვლის წერილი № 05-7-128/9, 04-79/27-ის III და IV მუხლები.

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1982 წლის 3 ივნისის გადაწყვეტილება.

| | |
|---|---|
| საქართველოს სსრ განათლების მინისტრი | საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი |
| ო. ქინქლაძე | გ. ლეჟავა |

„ვამტკიცებ“
საქართველოს სსრ განათლების მინისტრი
ო. დ. ქინქლაძე
3 ივნისი 1982 წ.

„ვამტკიცებ“
საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი
ბ. გ. ლეჟავა
4 მაისი 1982 წ.

„შეთანხმებულია“
საქართველოს სსრ რესპუბლიკის პროკურორის პირველი მოადგილე
ვ. ა. რაზმაძე
12 მაისი 1982 წ.

# ინსტრუქცია

## შვილად აყვანის შესახებ

## I. საერთო დებულებები

1. შვილად აყვანა შეიძლება მხოლოდ არასრულწლოვანი ბავშვისა და მისი ინტერესებისათვის.

2. შვილად აყვანა ხდება სახალხო დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით, მშვილებლის თხოვნით შვილად ასაყვანის ან მშვილებლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

3. მშვილებელი შეიძლება იყოს სრულწლოვანი, ქმედუნარიანი მოქალაქე, გარდა იმ პირისა, რომელსაც ჩამორთმეული აქვს მშობლის უფლება, ან რომელსაც ადრე ყავდა ნაშვილები, მაგრამ შვილად აყვანა გაუქმდა მის მიერ მშვილებლის მოვალეობის არაჯეროვნად შესრულების გამო.

4. იმ ბავშვის გაშვილებისათვის, რომელსაც მშობლები ყავს, აუცილებელია მათი თანხმობა.

მშობლებს შეუძლიათ ბავშვის გაშვილების თანხმობა მისცენ გარკვეულ პირს (პირებს) ან თანხმობა განაცხადონ გაშვილებაზე და მშვილებლის შერჩევა მიანდონ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს.

მშობლების თანხმობა გაშვილებაზე გამოთქმული უნდა იქნას წერილობითი ფორმით, რომელიც შეიძლება იყოს დამოწმებული როგორც ნოტარიუსის, ასევე იმ ორგანიზაციის მიერ, სადაც იმყოფება ბავშვი ან იმ ორგანიზაცია-დაწესებულების მიერ, სადაც იმყოფება ან მუშაობს მშობელი. მშობლებს უფლება აქვთ უარი განაცხადონ თავიანთ თანხმობაზე, თუ გადაწყვეტილება გაშვილების შესახებ ჯერ კიდევ არ არის გამოტანილი.

5. იმ ბავშვის შვილად აყვანისათვის, როემლიც მეურვეობაში (მზრუნველობაში) იმყოფება, თუ მას მშობლები არა ყავს, აუცილებელია მეურვის (მზრუნველის) წერილობითი თანხმობა, ხოლო იმ ბავშვის შვილად აყვანისათვის, რომელიც სახელმწიფო საბავშვო დაწესებულებაში იმყოფება — საბავშვო დაწესებულების ადმინისტრაციის თან-

ხმობა. საბავშვო დაწესებულებების ადმინისტრაციამ ამ დაწესებულებაში ბავშვის მიყვანისას უნდა გაარკვიოს თანახმა არის თუ არა მშობლები ბავშვის გაშვილებაზე.

6. თუ ბავშვი შვილად აჰყავს ერთ-ერთ მეუღლეს, საჭიროა მეორე მეუღლის თანხმობა შვილად აყვანაზე.

მეორე მეუღლის თანხმობა შვილად აყვანაზე არ არის საჭირო, თუ ის დადგენილი წესით აღიარებულია არაქმედუნარიანად, აგრეთვე, თუ მეუღლეებმა შეწყვიტეს ოჯახური ურთიერთობა, ერთ წელზე მეტ ხანს არ ცხოვრობენ ერთად და მეორე მეუღლის საცხოვრებელი ადგილი არ არის ცნობილი.

7. გაშვილებაზე მშობლების თანხმობა არ არის საჭირო, თუ ისინი დადგენილი წესით აღიარებული არიან არაქმედუნარიანად ან უკვალოდ დაკარგულად.

უფლებაჩამორთმეული მშობლის (მშობლების) თანხმობის მიუღებლად ბავშვის გაშვილება დასაშვებია ერთი წლის შემდეგ დღიდან ამ უფლების ჩამორთმევისა.

გაშვილება მშობლების თანხმობის მიუღებლად გამონაკლისის სახით შეიძლება აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ მშობლები თავს არიდებენ ბავშვის აღზრდაში მონაწილეობას, კერძოდ, თუ სარწმუნო მტკიცებულობით დადასტურებულია, რომ ისინი, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიერ მათი გაფრთხილების მიუხედავად, ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში განზრახ არ იღებენ მონაწილეობას ბავშვის აღზრდასა და რჩენაში.

აღნიშნული არ ვრცელდება მარტოხელა დედებზე. მარტოხელა დედის შვილის გაშვილება შეიძლება მხოლოდ მისი თანხმობით. თანახმად უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 8 ივნისის № 4 ბრძანებულების მე-4 მუხლისა მარტოხელა დედა თავისუფლდება შვილის მოვლა-პატრონობისა და აღზრდისაგან, როდესაც იგი მოთავსებულია საბავშვო დაწესებულებაში.

იმ შემთხვევაში, როდესაც მარტოხელა დედა შეგნებულად თავს არიდებს საბავშვო დაწესებულებაში მოთავსებულ შვილთან ურთიერთობას, ადმინისტრაციას განზრახ არ აცნობებს თავის ახალ საცხოვრებელ ადგილს, მაშინ საბავშვო დაწესებულების ან მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წარდგინების საფუძველზე სასამართლოს მიერ მისი უკვალოდ დაკარგულად აღიარების შემდეგ შეიძლება გაშვილდეს მარტოხელა დედის შვილი.

8. იმ ბავშვის შვილად აყვანა, რომელსაც ათი წელი შეუსრულდა, დაუშვებელია ბავშვის თანხმობის გარეშე.

ბავშვის თანხმობას შვილად აყვანაზე არკვევს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო, რაც ასახული უნდა იქნას გამოკვლევის აქტში.

თუ შვილად აყვანის შესახებ განცხადების წარმოდგენამდე ბავშვი მშვილებლის ოჯახში ცხოვრობდა და მშვილებელს თავის მშობლად თვლის, შვილად აყვანა, როგორც გამონაკლისი, შეიძლება შვილად ასაყვანის თანხმობის გარეშე.

## II. შვილად აყვანის გაფორმება

9. განცხადება ბავშვის შვილად აყვანის სურვილის შესახებ შეაქვთ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოში შვილად ასაყვანის ან მშვილებლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. განცხადებაში უნდა იქნას მითითებული, რომ შვილად ამყვანს შვილად აყვანისათვის არ აქვს ის წინააღმდეგობები, რომლებსაც ითვალისწინებს საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსის 102-ე მუხლი.

10. განცხადებაში ბავშვის შვილად აყვანის შესახებ მითითებულ უნდა იქნას მშვილებლის (მშვილებლების) გვარი, სახელი, მამის სახელი, მათი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, მშვილებლის სურვილი ნაშვილების გვარის, სახელისა და მამის სახელის და აგრეთვე ბავშვის დაბადების ადგილის შეცვლის შესახებ.

გვარისა და მამის სახელის მიკუთვნება, აგრეთვე სახელის შეცვლა ნაშვილებისათვის, რომელსაც ათი წელი შეუსრულდა, შეიძლება მხოლოდ მისი თანხმობით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ შვილად აყვანის გაფორმებამდე ბავშვი მშვილებლის ოჯახში ცხოვრობს და მშვილებელს თავის მშობლად თვლის. ნაშვილებისათვის გვარისა და მამის სახელის მიკუთვნების, აგრეთვე სახელის გამოცვლის შესახებ აღნიშნული უნდა იყოს შვილად აყვანის თაობაზე სახალხო დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებაში.

11. მშვილებლები, მათი თხოვნით, შეიძლება ჩაიწერონ დაბადების ჩაწერის წიგნში ნაშვილების მშობლებად, რის შესახებაც უნდა აღინიშნოს შვილად აყვანის თაობაზე სახალხო დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში.

ასეთი ჩაწერისათვის აუცილებელია ნაშვილების თანხმობა, თუ მას ათი წელი შეუსრულდა, გარდა იმ შემთხვევისა, თუ შვილად აყვანის გაფორმებამდე ბავშვი მშვილებლის ოჯახში ცხოვრობს და მშვილებელს თავის მშობლად თვლის.

12. განცხადებას თან უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები:

ა) ქორწინების მოწმობის ასლი დამოწმებული ნოტარიული წესით, თუ მშობლები ქორწინებაში იმყოფებიან;

ბ) დაბადების მოწმობის ასლი;

გ) მშვილებლების დაწვრილებითი ავტობიოგრაფია;

დ) დახასიათება სამუშაო ადგილიდან;

ე) ცნობა სამუშაო ადგილიდან ხელფასის მითითებით( კოლმეურ-

ნეთათვის ცნობა შემოსავლის შესახებ);

გ) ცნობა საცხოვრებელი ფართისა და ოჯახის შემადგენლობის შესახებ (ფორმა № 1);

ზ) მეუღლის წერილობითი თანხმობა (თუ ბავშვი შვილად აჰყავს ერთ-ერთ მეუღლეს);

თ) მშვილებლის ჯანმრთელობის მდგომარეობის ცნობა, გაცემული სამედიცინო დაწესებულების მიერ (არაუმეტეს ექვსი თვის ვადისა).

13. განცხადებისა და სათანადო საბუთების მიღებისთანავე, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო ავალებს მეურვეობისა და პატრონირების ხაზით მომუშავე ინსპექტორს შვილად ამყვანის საყოფაცხოვრებო პირობების გამოკვლევას. გამოკვლევის დროს ირკვევა, პასუხობს თუ არა ბავშვის ინტერესებს შვილობა, ხომ არ არის რაიმე წინააღმდეგობები შვილად აყვანის ნებართვის მისაცემად, სათანადო შემთხვევებში ირკვევა ბავშვის სურვილიც. გამოკვლევის მასალები ფორმდება შესაბამისი აქტით.

14. მოქალაქეებმა, რომლებსაც რესპუბლიკის ფარგლებს გარედან სურთ ბავშვის შვილად აყვანა, სათანადო შუამდგომლობის მისაღებად საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს უნდა წარუდგინონ შესაბამისი რაიონის (ქალაქის) სახალხო განათლების განყოფილების მიმართვა.

15. რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილება, ჩაატარებს რა სათანადო გამოკვლევას, თავის დასკვნას შვილად აყვანის საკითხის გადასაწყვეტად წარუდგენს სახალხო დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს.

დასკვნაში მითითებულ უნდა იქნას:

ა) ვის მიერ და როდის იქნა შემოსული განცხადება;

ბ) რა საბუთები იქნა წარმოდგენილი განმცხადებლის მიერ (საბუთები თან ერთვის);

გ) რა მონაცემები იქნა მიღებული გამოკვლევის შედეგად;

დ) მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მოსაზრება შვილობის შესაძლებლობის შესახებ.

16. ბავშვის შვილად აყვანაზე დადებითი დასკვნის გაცემის შემთხვევაში მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო შვილად ამყვანს აძლევს წერილობით ნებართვას, მიმართოს აღნიშნულ საკითხზე სამშობიარო სახლს, ჩვილ ბავშვთა სახლს, საბავშვო სახლს ან სკოლა-ინტერნატს.

17. ჩვილ ბავშვთა სახლის (ქ. ქ. თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, გულრიფშის რაიონის სოფ. განახლების), სამშობიარო სახლის (სავადმყოფოს) მთავარი ექიმი ან საბავშვო დაწესებულების დირექტორი აღრიცხვაზე იყვანს ბავშვის შვილად აყვანის მსურველებს, რის შესახე-

ზაც აკეთებს ჩანაწერს აღრიცხვის წიგნში (იხ. დანართი № 1), რომელიც უნდა იქნას დანომრილი, შეკერილი და ბეჭედ დასმული.

ზემოაღნიშნულ დაწესებულებებში აღნიშნული კატეგორიის ბავშვების შესვლის შესახებ მშვილებლები ღებულობენ მონაცემებს საკუთარი ინიციატივით.

18. მოქალაქის მიერ ბავშვის შვილობაზე გადაწყვეტილების მიღების შესახებ შესაბამისი სამედიცინო ან საბავშვო დაწესებულების ხელმძღვანელი სამი დღის ვადაში, წერილობით (შვილად აყვანის საიდუმლოების გარანტირებით) აცნობებს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს და გზავნის მისი მისამართით ბავშვის დაბადების მოწმობის ასლს და შვილად აყვანისათვის სხვა საჭირო საბუთებს.

იმ ბავშვების საბუთებს, რომლებიც არ იქნენ გაშვილებული, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო სამი დღის ვადაში უბრუნებს უკან სამედიცინო ან საბავშვო დაწესებულებას.

19. საბუთები შვილობის შესახებ უნდა იქნას ხელმოწერილი, დანომრილი, დაერთოს საქმეში არსებული საბუთების აღწერილობა, მიეთითოს საქმის დაწყების და დამთავრების დრო.

## III. გადაწყვეტილება შვილად აყვანის შესახებ

20. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო წარუდგენს გადაწყვეტილების პროექტს ბავშვის შვილად აყვანის შესაძლებლობის ან უარის შემთხვევაში შესაბამის სახალხო დეპუტატების რაიონულ (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს.

21. შვილად აყვანა წარმოიშობა იმ დღიდან, როცა სახალხო დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომი გამოიტანს გადაწყვეიტლებას შვილად აყვანის შესახებ.

22. ნაშვილებისათვის გვარისა და მამის სახელის მიკუთვნების, სახელის და დაბადების ადგილის გამოცვლის და აგრეთვე მშვილებელთა მშობლად ჩაწერის შესახებ უნდა აღინიშნოს შვილად აყვანის თაობაზე სახალხო დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში.

23. სახალხო დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის უარი შვილად აყვანაზე შეიძლება გასაჩივრდეს შესაბამისად თბილისის სახალხო დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოში, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოში და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში, რომელთა გადაწყვეტილება საბოლოოა.

24. ჩვილ ბავშვთა სახლის მთავარი ექიმი ან საბავშვო დაწესებუ-

ლების დირექტორი, შვილად აყვანის შესახებ სახალხო დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილების მიღებისთანავე, შვილად აყვანის შესახებ ახდენს ბავშვისა და მისი დაბადების მოწმობის გაცემას პირადად მშვილებლებზე შესაბამისი აქტით (დანართი № 2). აქტი და გადაწყვეტილება შვილად აყვანის შესახებ ინახება სამედიცინო ან საბავშვო დაწესებულებაში.

## IV. შვილად აყვანის რეგისტრაცია

25. შვილად აყვანა აუცილებლად რეგისტრირებულ უნდა იქნას მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ ორგანოში შვილად აყვანის შესახებ გადაწყვეტილების გამოტანის ადგილის მიხედვით.

მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო შვილად აყვანის შესახებ გადაწყვეტილების გამოტანის ადგილის მიხედვით მოვალეა, არაუგვიანეს ერთი თვისა, გადააგზავნოს სახალხო დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილების ასლი შვილად აყვანის შესახებ მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ ორგანოში რეგისტრაციისათვის.

26. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო გასცემს მშვილებელ მოქალაქეზე სახალხო დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ შვილობის შესახებ გამოტანილი გადაწყვეტილების ასლს.

## V. შვილად აყვანის საიდუმლოების უზრუნველყოფა

27. შვილად აყვანის საიდუმლოება დაცულია კანონით. ის პირი, რომელიც გაამჟღავნებს შვილად აყვანის საიდუმლოებას მშვილებლის ნება-სურვილის გარეშე, პასუხს აგებს კანონით დადგენილი წესით.

მშვილებლის თანხმობის გარეშე, მისი გარდაცვალების შემთხვევაში კი მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს თანხმობის გარეშე აკრძალულია მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების წიგნებიდან ისეთი ამონაწერების გაცემა, საიდანაც გაირკვევა, რომ მშვილებელი ნაშვილების ღვიძლი მშობელი არ არის.

28. საბუთები შვილად აყვანის შესახებ რეგისტრირებულ უნდა იქნას ცალკე ჟურნალში და ინახებოდეს ცეცხლგამძლე კარადაში.

გაშვილების საბუთებთან გარეშე პირთა დაშვება კატეგორიულად აკრძალულია.

29. მასალები გაშვილების შესახებ ინახება რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილებაში ბავშვის სრულწლოვანებამდე, შემდეგ კი გაშვილების საბუთები გადაეცემა არქივს მუდმივი შენახვისათვის.

30. ნაშვილებთა ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებები

რეგულირდება საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსების სათანადო მუხლებით.

**დანართი:** 1. შვილად აყვანის მსურველ მოქალაქეთა აღრიცხვის წიგნის ნიმუში

2. აქტი ბავშვის შვილად გადაცემის შესახებ.

**საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველოს უფროსი**

**ჰ. თუთბერიძე**

**საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს დედათა და ბავშვთა დაცვის პროფილაქტიკური დახმარების სამმართველოს უფროსი**

**ე. ჯანელიძე**

დანართი № 1

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ბავშვის შვილობის მსურველ მოქალაქეთა სააღრიცხვო წიგნი**

---

(დაწესებულების დასახელება)

| № | აღრიცხვაზე აყვანის თარიღი | მშვილებლის გვარი, სახელი, მამის სახელი | მშვილებლის მისამართი | შვილად აყვანისთვის წარმოდგენილი საბუთების ნუსხა | როგორი ბავშვის შვილობა სურთ (სქესი, ასაკი და ა. შ. | გაგზავნილია შეტყობინება | ვის მიერ და როდის არის გამოტანილი გადაწყვეტილება შვილობის შესახებ | განმცხადებლისათვის საბუთების დაბრუნება | აღნიშვნა მიშვილების შესახებ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | |

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი № 2

# აქტი

## ბავშვის შვილად გადაცემის შესახებ

———————————————————————— დან

(დაწესებულების დასახელება)

„——"—————————— 198———— წ.

————————————————————————

(აღმასკომის დასახელება)

————————————————————————

„——"—————————— 198 წ. №—— გადაწყვეტილების თანახმად

გადაეცა ბავშვი ——————————————————

(სქესი, სახელი, მამის სახელი, გვარი, დაბადების

————————————————————————

დრო და ადგილი)

რომელიც იშვილა

დედა ————————————————————

პასპორტის სერია ———— №———— გაცემული ————

(ვის მიერ და როდის)

———————————— ჩაწერილია ————————

მამა ————————————————————

პასპორტის სერია ———— №———— გაცემული ————

(ვის მიერ და როდის)

———————————— ჩაწერილია ————————

ბავშვი მიღებულია ———————— (ხელმოწერა) ————

ბავშვი გაცემულია ———————— (თანამდებობა) ————

გვარი ————————————————————

დაწესებულების ბეჭედი ხელისმოწერა ————————

## ПРИКАЗ МИНИСТЕРСТВА ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ეროვნული ბიბლიოთეკა

**Об утверждении Инструкции об усыновлении**

4 июня 1982 года, № 490 /376/0

Министры просвещения и здравоохранения Грузинской ССР приказывают:

1. Утвердить Инструкцию об усыновлении.

2. Считать утратившим силу главу II («Усыновление») Инструкции о патронировании, опеке, попечительству и усыновлении, утвержденной приказом № 186/193 от 31 марта 1969 года, третий и четвертый пункты совместного письма № 05-7-128/9 от 28 февраля 1978 года Министерств просвещения и здравоохранения Грузинской ССР.

Основание: решение коллегии Министерства просвещения Грузинской ССР от 3 июня 1982 года.

**Министр просвещения Грузинской ССР**

**О. Кинкладзе**

**Министр здравоохранения Грузинской ССР**

**Г. Лежава**

«УТВЕРЖДАЮ»
Министр просвещения ГССР
О. Д. Кинкладзе
«3» июня 1982 г.

«УТВЕРЖДАЮ»
Министр здравоохранения ГССР
Г. Г. Лежава
«4» мая 1982 г.

«СОГЛАСОВАНО»
Перевый Заместитель Прокурора ГССР
В. А. Размадзе
„12» мая 1982 г.

# ИНСТРУКЦИЯ

## об усыновлении (удочерении)

### 1. Общие положения

1. Усыновление допускается только в отношении несовершеннолетних детей и в их интересах.

2. Усыновление производится по просьбе усыновителя ребенка решением исполнительного комитета районного (городского) Совета народных депутатов по месту жительства усыновленного или усыновителя.

3. Усыновителями могут быть совершеннолетние дееспособные граждане, за исключением лиц, лишенных родительских прав или имевших ранее усыновленных, если усыновление было отмечено вследствие ненадлежащего выполнения ими обязанностей усыновителя.

4. Для усыновления ребенка, имеющего родителей, необходимо их согласие.

Родители могут дать согласие на усыновление ребенка определенным лицом (лицами) либо, дав согласие на усыновление, предоставить выбор усыновителей органам опеки и попечительства.

Согласие родителей на усыновление должно быть выражено в письменной форме, которое может быть заверено как нотариально, так и тем учреждением, в котором находится ребенок или тем учреждением-предприятием, на котором находятся или работают родители.

Родители вправе отозвать данное им согласие, если решение об усыновлении еще не вынесено.

5. Для усыновления детей, находящихся под опекой (попечительством), при отсутствии у них родителей необходимо письменное согласие на усыновление опекуна (попечителя), а для детей, находящихся в государственных детских учреждениях,— согласие администрации учреждения. Администрация учреждения при поступлении в него ребенка выявляет у родителей согласие на его усыновление.

6. Если ребенок усыновляется одним из супругов, требуется

согласие другого супруга на усыновление.

Согласие другого супруга на усыновление не требуется, если он признан в установленном законом порядке недееспособным, а также если супруги прекратили семейные отношения, не проживают совместно больше года и местожительство другого супруга неизвестно.

7. Не требуется согласие родителей на усыновление, если они признаны в установленном законом порядке недееспособными или безвестно отсутствующими. Усыновление ребенка без согласия родителей (родителя), лишенных родителеских прав, допускается по истечении года со дня лишения родителей (родителя) этих прав.

Усыновление может быть произведено без согласия родителей, в виде исключения, также в том случае, если они уклоняются от участия в воспитании ребенка, в частности, если они более одного года, несмотря на предупреждение со стороны органов опеки и попечительства, умышленно не принимают участие в воспитании или содержании ребенка, что подтверждается достеверными доказательствами.

Указанное не распространяется на одиноких матерей. Усыновление детей одиноких матерей может быть произведено только с согласия матери. Согласно ст. 4 Указа Президиума Верховного Совета СССР от 8 июля 1944 г. на одинокой матери, передавщей ребенка в детское учреждение, не лежит обязанность его содержания и воспитания.

В тех случаях, если одинокая мать сознательно уклоняется от общения со своим ребенком, помещенным в детское учреждение, намеренно не сообщает своего нового адреса детскому дому, детское учреждение или орган опеки и попечительства подают иск в народный суд и после признания ее судом безвестно отсутствующей позволит органу опеки допустить усыновление без ее согласия.

8. Усыновление детей, достигших десяти лет, не допускается без их согласия.

Согласие ребенка на усыновление выявляется органами опеки и попечительства.

Если до подачи заявления об усыновлении ребенок проживал в семье усыновителя и считает его своим родителем, усыновление, в виде исключения, может быть произведено без согласия усыновляемого.

## II. Оформление усыновления

9. Заявление о желании усыновить ребенка подается в органы опеки и попечительства по месту жительства усыновляемого или усыновителя. В заявлении должно быть указано, что, у усыновителя не имеется препятствий для усыновления ребенка, предусмотренных ст. 102 Кодекса о браке и семье Грузинской ССР.

10. В заявлении на усыновление должны быть указаны фамилия, имя и отчество усыновителя (усыновителей), их постоянное местожительство, пожелания усыновителя в отношении изменения фамилии, имени, отчества, а также места рождения ребенка.

Присвоение фамилии и отчества, а также изменение имени усыновляемого, достигшего десяти лет, могут быть произведены только с его согласия, за исключением случая, если до подачи заявления об усыновлении ребенок проживал в семье усыновителя и считает его своим родителем. О присвоении усыновляемому фамилии и отчества, а также об изменении его имени должно быть указано в решении исполнительного комитета Совета народных депутатов об усыновлении.

11. По просьбе усыновителей они могут быть записаны в книгу записей рождений в качестве родителей усыновленного, о чем должно быть указано в решении исполнительного комитета Совета народных депутатов об усыновлении.

Для совершения такой записи в отношении усыновленного, достигшего десяти лет, необходимо его согласие, за исключением случая, если до подачи заявления об усыновлении ребенок проживал в семье усыновителя и считает его своим родителем.

12. К заявлению должны быть приложены следующие документы:

а) нотариально заверенная копия свидетельства о браке, если усыновители состоят в браке;

б) копия свидетельства о рождении;

в) подробные автобиографии усыновителей;

г) характеристики с места работы;

д) справки с работы с указанием зарплаты (для колхозников-справка о доходе);

е) справка о жилплощади и составе семьи (форма № 1);

ж) письменное согласие супруга (если ребенка усыновляет один из супругов);

з) справка о состоянии здоровья усыновителя, выданная ме-

дицинским учреждением (не более шестимесячной давности).

13. Орган опеки и попечительства, получив заявление и названные выше документы, поручает инспектору по опеке и патронированию произвести обследование условий жизни усыновителей. Во время обследования выясняется, отвечает ли усыновление интересам ребенка, не имеется ли препятствий для разрешения усыновления, а в соответствующих случаях выявляется и желание ребенка. Материалы обследования оформляются специальным актом.

14. Граждане, желающие усыновить ребенка за пределами республили, для получения соответствующего разрешения, должны представить в Министерство просвещения отношение из районного (городского) отдела народного образования.

15. Районный (городской) отдел народного образования произведя соответствующее ебследование, свое заключение передает исполнительному комитету райенного (городского) Совета народных депутатов для решения вопроса об усыновлении.

В заключении должно быть указано:

а) кем и когда подано заявление об усыновлении;

б) какие документы представлены заявителем (документы прилагаются);

в) какие сведения получены в результате обследования;

г) мнение органа опеки и попечительства о возможности усыновления.

16. При положительном заключении на усыновление орган опеки и попечительства дает письменное разрещение усыновителям обращатсья по данному вопросу в родильный дом, дом младенца, детский дом или школу-интернат.

17. Главный врач дома младенца (городов Тбилиси, Кутаиси, Батуми, с. Ганахлеба Гульрипшского района), родильного дома (болницы) или директор учреждения берут на учет граждан, желающих усыновить детей, о чем делается запись в книге учета (см. приложение № 1), которая должна быть пронумерована, прошнурована и опечатана.

О поступлении детей в вышеуказанные учреждения граждане, взятые на учет, наводят справки по собственной инициативе.

18 О решении граждан усыновить ребенка руководитель соответствующего медицинского или детского учреждения в трехдневный срок в письменном виде, гарантирующем тайну усыновления, извещает орган опеки и попечительства и направляет в его адрес копию свидетельства о рождении ребенка и

другие документы, относящиеся к усыновлению.

Документы детей, которые не были усыновлены, органы опеки и попечительства в трехдневный срок возвращают соответствующему медицинскому или детскому учреждению.

19. Документы об усыновнении должны быть подписаны и пронумерованы, составлена опись имеющихся в деле документов, указано, когда начато и закончено дело.

## III. Решение об усыновлении

20. Орган опеки и попечительства представляет проект решения соответствующему исполнительному комитету районного (городского) Совета народных депутатов о возможности или об отказе в усыновлении ребенка.

21. Усыновление возникает со времени вынесения решения об усыновлении исполнительным комитетом районного (городского) Совета народных депутатов.

22. О присвоении усыновляемому фамилии и отчества, а также об изменении его имени и места рождения, а также о записи усыновителей в качестве родителей должно быть указано в решении исполнительного комитета Совета народных депутатов об усыновлении.

23. Отказ исполнительного комитета районного (городского) Совета народных депутатов в усыновлении может быть обжалован соответственно в исполнительный комитет Тбилисского городского Совета народных депутатов, исполнительный комитет Совета народных депутатов Юго-Осетинской автономной ебласти, Совет Министров Абхазской АССР, Совет Министров Аджарской АССР, и Совет Министров Грузинской ССР, решение которых является окончательным.

24. По получении решения исполнительного комитета районного (городского) Совета народных депутатов об усыновлении, главный врач дома младенца или директор детского учреждения передает по акту (см. приложение № 2) ребенка и свидетельство о его рождении лично усыновителям. Акт вместе с решением об усыновлении хранится в медицинском или детском учреждении.

## IV. Регистрация усыновления

25. Усыновление подлежит обязательной регистрации в органах записи актов гражданского состояния по месту вынесения решения об усыновлении.

Органы опеки и попечительства по месту вынесения решения об усыновлении обязаны не позднее месячного срока направить копию решения исполнительного комитета районного (городского) Совета народных депутатов об усыновлении в орган записи актов гражданского состояния для производства регистрации.

26. Орган опеки и попечительства выдает усыновителям копию решения исполнительного комитета районного (городского) Совета народных депутатов об усыновлении ребенка.

## V. Обеспечение тайны усыновления

27. Тайна усыновления охраняется законом. Лица разгласившие тайну усыновления против воли усыновителя, несут ответственность в установленном законом порядке.

Воспрещается без согласия усыновителя, а в случае его смерти без согласия органов опеки и попечительства, выдавать выписки из книг регистрации актов гражданского состояния, из которых было видно, что усыновитель не является кровным родителем усыновленного.

28. Документы об усыновлении должны храниться в сейфах и регистрироваться в отдельном журнале.

Категорически запрещается доступ к материалам усыновления посторонних лиц.

29. Материалы об усыновлении хранятся в архиве районного (городского) отдела народного образования до достижения усыновленным совершеннолетия, а затем передаются в архив для постоянного хранения.

30. Имущественные и личные неимущественные права усыновленных регулируются соответствующими статьями Кодекса о браке и семье Грузинской ССР и Гражданским Кодексом Грузинской ССР.

Приложение: 1. Образец книги учета граждан, желающих усыновить детей.
2. Акт о передаче на усыновление (удочерение) ребенка.

**Начальник Управления школ-интернатов и детских домов Министерства просвещения Грузинской ССР**

**Г. Тутберидзе**

**Начальник Управления лечебно-профилактической помощи детям и матерям Министерства здравоохранения Грузинской ССР**

**Е. Джанелидзе**

**Приложение № 1**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# КНИГА

## учета граждан, желающих усыновить (удочерить) детей

из ______________________________________________

(наименование учреждения)

| №№ п.п. | Дата взятия на учет | Фамилия, имя, отчество усыновителей | Их адрес | Перечень представленных документов на усыновление | Какого ребенка они желают усыновить | Направлено извещение | Когда и кем вынесено решение об усыновлении | Возвращены заявителям документы | Отметка о передаче на усыновление (удочерение) |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | |

Приложение № 2

ეროვნული ბიბლიოთეკა

# АКТ

## о передаче на усыновление (удочерение) ребенка

Из ——————————————————————

(наименование учреждения)

«——» ———————————198 г.

В соответствии с решением ——————————————————

(наименование исполкома)

——————————————————————————————

(районного (городского) Совета народных депутатов)

от «——» ——————————198 г. № передан ребенок ———

——————————————————————————————

(пол, фамилия, имя, отчество, дата и место рождения)

——————————————————————————————

усыновившим:

мать ——————————————————————

паспорт серия ——————————№ ——————— выдан ————————

——————————————— прописан ——————————

отец ————————————————————————

паспорт серия ————————— № —————————— выдан ———

—————————————————— прописан ——————

(подпись)

Ребенка получили ——————————— (подпись) ———

Ребенок выдан ——————————————— должность —————————

фамилия ————————————————————

Печать учреждения Подпись ——————

## საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს კოლეგიის, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის 1982 წლის 9 ივნისის

## გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

### მომუშავე ახალგაზრდობის საღამოსა და დაუსწრებელი სწავლების სრულყოფის თაობაზე საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს და საქართველოს სსრ განათლების სამინიტროს 1979 წლის 3 დეკემბრის № 17/17 ერთობლივი ბრძანების შესრულების შ ე ს ა ხ ე ბ

სკკპ 26-ე ყრილობის გადაწყვეტილებებში დასახულია ამოცანა ავამაღლოთ მუშაობის ეფექტურობა და კადრების მომზადება განათლების ყველა ფორმასა და რგოლში, განვავითაროთ და სრულვყოთ საღამოსა და დაუსწრებელი სწავლება, რათა უფრო სრულად უზრუნველვყოთ ქვეყნის მოთხოვნილება სპეციალისტებით და კვალიფიციური მუშებით.

მე-10 ხუთწლედში საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს ორგანიზაციებსა და საწარმოებში გაიზარდა ახალგაზრდა მშენებელთა რიცხვი, რომელთაც უმაღლესი, საშუალო სპეციალური ან ზოგადი საშუალო განათლება აქვთ.

საწარმოო კოლექტივებმა უკანასკნელ წლებში განამტკიცეს კავშირი საღამოს სკოლებთან, დადებით შედეგებს მიაღწიეს მშრომელთა ზოგადსაგანმანათლებლო დონის ამაღლებაში. საქართველოს მშენებლობის სამინისტროს საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელები, პროფკავშირული კომიტეტები, სახალხო განათლების ადგილობრივ ორგანოებთან ერთად, ამ მიმართულებით სერიოზულ მუშაობას ატარებენ.

ამის შედეგად მოზრდილთა სკოლებში გაუმჯობესდა სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა, ამაღლდა მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება და განმტკიცდა დისციპლინა. ამ მხრივ აღსანიშნავია ამიერკავკასიის მეტალურგმშენის № 1 (მმართველი — კ. გოგიჩაიშვილი) და № 13 (მმართველი — კ. მხეიძე) სამშენებლო ტრესტების, ბათუმის სახლმშენებელი კომბინატის (დირექტორი — ე. ხვიჩია) მუშაობა. № 1 ტრესტში მომუშავე 522 ახალგაზრდიდან საშუალო განათლება არ აქვს და არ სწავლობს მხოლოდ 42, № 13 ტრესტში მომუშავე 313 ახალგაზრდიდან — 34, ბათუმის კომბინატში კი 520-დან — 11. დანარჩენები ჩაბმული არიან სწავლებაში.

მიუხედავად ამისა, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროსა და განათლების სამინისტროს 1979 წლის 3 დეკემბრის № 17/17 ერთობლივი ბრძანების შესასრულებლად ყველგან არ არის ჩატარებუ-

ლი სათანადო მუშაობა და სამშენებლო ორგანიზაციებში მომუშავე ახალგაზრდების ზოგადსაგანმანათლებლო დონის ამაღლების საქმეში არსებობს სერიოზული ნაკლოვანებები.

ბევრი სამშენებლო ორგანიზაცია არ ასრულებს საღამოს სკოლების დაკომპლექტების გეგმებს. ახალგაზრდების განათლების ამაღლების საკითხები არ არის შეტანილი საწარმოთა განვითარების გეგმებში. მხედველობაში არ ღებულობენ ამ საკითხებს სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამებისას, არ ხორციელდება მომუშავე მოსწავლეთა წახალისების და სტიმულირების ღონისძიებები, არ არის დანერგილი მათდამი ბრიგადირების, მოწინავე მუშების დამრიგებლობა. მოსწავლეებს არ ასარგებლებენ კანონმდებლობით გათვალისწინებული შეღავათებით.

საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს სისტემაში 1981 წლის მარტის თვის მდგომარეობით 30 წლამდე ასაკის 3303 ახალგაზრდიდან საშუალო განათლება არ ქონდა და არსად არ სწავლობდა 1371 კაცი, ანუ 41,5 პროცენტი. ამ მხრივ არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა: თბილქალაქმშენის № 2 სამშენებლო ტრესტში (მმართველი — ვ. ჭურაძე), სადაც 16-30 წლის ასაკის 687 ახალგაზრდიდან 294-ს არა აქვს საშუალო განათლება და არსად არ სწავლობს, საქშახტმშენის № 7 სამშენებლო ტრესტში (მმართველი — კ. უჩანეიშვილი), სადაც 413-დან სწავლაში ჩაბმას ექვემდებარება და არ სწავლობს 242, „თბილქალაქმშენის" № 3 სამშენებლო ტრესტში (მმართველი — მ. ანანიაშვილი), 383-დან — 150 და ა. შ. აღნიშნულ საწარმოებში არ იგრძნობა ზრუნვა 30 წელზე ზევით ასაკის მქონე მშრომელთა სწავლაში ჩაბმისათვის.

აღნიშნული ორგანიზაციების ხელმძღვანელები და პროფკავშირული კომიტეტები ჯერ კიდევ სათანადო კონტროლს არ უწევენ მეცადინეობაზე მოსწავლეთა დასწრებას, არ ატარებენ ღონისძიებებს მუშაობასთან სწავლის შეთავსებისათვის საჭირო პირობების შესაქმნელად.

საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს სისტემაში მომუშავე ახალგაზრდობის საშუალო განათლების შემდგომი სრულყოფის თაობაზე სკკპ 26-ე ყრილობის გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში წარმატებით გატარებისათვის, საქართველოს სსრ მშენებლობისა და განათლების სამინისტროების კოლეგიებმა, მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირების რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმმა გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს:

1. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს სისტემის სამშენებლო ტრესტებისა და გაერთიანებების, სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციებისა და საწარმოების ხელმძღვანელებმა, მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის ადგილობრივმა კომიტეტებმა:

1. 1. ზუსტად აღრიცხონ საშუალო განათლების არმქონე მომუშავე

ახალგაზრდები, ყოველწლიურად, სასწავლო წლის დაწყებამდე, დაამტკიცონ სალამოსა და დაუსწრებელ სკოლებში ჩასაბმელი ახალგაზრდა მშენებლების კონტინგენტი, ჩაატარონ მათთან სათანადო ახსნა-განმარტებითი მუშაობა, მოამზადონ და განაწყონ ისინი სწავლისათვის.

1. 2. გააძლიერონ საშუალო განათლების პროპაგანდა. საწარმოთა განვითარების პერსპექტიულ, აგრეთვე კადრების კვალიფიკაციის ამაღლების გეგმებსა და სოციალისტურ ვალდებულებებში გაითვალისწინონ მომუშავე ახალგაზრდების სალამოსა და დაუსწრებელ სკოლებში ჩაბმა, ახალგაზრდა მუშებს პროფესიული თანრიგები მიანიჭონ მათი განათლების გათვალისწინებით.

1. 3. გააფართოონ დამრიგებლობის პრაქტიკა. ამ მუშაობაში ფართოდ ჩააბან ინჟინრები, ოსტატები, ბრიგადირები, მოწინავე მუშები.

1. 4. გაატარონ პრაქტიკული ღონისძიებანი იმისათვის, რომ სწავლაში ჩაბმულ ახალგაზრდებს ქონდეთ მუშაობასთან სწავლის შეუფერხებლად შეთავსების ყველა პირობა, უზრუნველყონ მოქმედი შრომის კანონმდებლობით გათვალისწინებული შეღავათების განხორციელება.

1. 5. სწავლასა და შრომაში მოწინავე ახალგაზრდები სისტემატურად წაახალისონ თანრიგების მომატებით, სამუშაოზე დაწინაურებით, საგზურებით, ფასიანი საჩუქრებით.

ამ საქმიანობაში აქტიური მონაწილეობა მიაღებინონ პროფკავშირულ ორგანიზაციებს.

2. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებმა, რომელთა ტერიტორიაზეც საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს ორგანიზაციებია განლაგებული:

2. 1. საქმიანი და სისტემატური კონტაქტები დაამყარონ საქართველოს სსრ. მშენებლობის სამინისტროს საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან, მათ პარტიულ, კომკავშირულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებთან, ერთობლივ ღონისძიებათა განხორციელებით უზრუნველყონ საშუალო განათლების არმქონე ყველა მომუშავე ახალგაზრდის სწავლებაში ჩაბმა, მეცადინეობაზე დასწრება, სწავლის ხარისხის ამაღლება და კონტინგენტის შენარჩუნება.

2. 2. სათანადო ყურადღებით მოეკიდონ მოსწავლეთა მომარაგებას სახელმძღვანელოებით და სასწავლო ნივთებით, გამოიყენონ ამისათვის შეფი ორგანიზაციების დახმარება, უზრუნველყონ სკოლები თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღებით და სწავლების ტექნიკური საშუალებებით, კონტროლი გაუწიონ მათი გამოყენების მდგომარეობას.

2. 3. სამშენებლო საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან ერთად იმგვარად მოაწესრიგონ მოზრდილთა სკოლების ქსე-

ლი, სწავლების ფორმა და რეჟიმი, რომ ახალგაზრდა მშენებლებმა საშუალო განათლება მიიღონ თავიანთი საცხოვრებელი და სამუშაო ადგილების მიხედვით.

3. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს კადრების სამმართველომ, სამშენებლო-სამონტაჟო ტრესტების, სამშენებლო კომბინატების პირველადი სამშენებლო და საწარმოო ორგანიზაციების კადრების განყოფილებებმა ადგილებზე საწარმოთა მუშაობის შემოწმებისას შეისწავლონ ახალგაზრდა მშენებლების ზოგადი განათლების ამაღლებისათვის გაწეული მუშაობა, მიიღონ ზომები გამოვლინებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად და შედეგები მოახსენონ სამინისტროს.

4. აღნიშნული დადგენილება სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად დაეგზავნოს საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს ყველა ტრესტსა და გაერთიანებას და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ყველა იმ რაიონულ და საქალაქო განათლების განყოფილებას, რომელთა ტერიტორიაზეც მუშაობენ საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს სისტემის ორგანიზაციები.

**საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრი ვ. გოგოლაძე**

**საქართველოს სსრ განათლების მინისტრი ო. ქინქლაძე**

**მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირების რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. კოპლატაძე**

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1982 წლის 14 ივნისის გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

### ქ. თბილისის 1-ლი საშუალო სკოლის 180-ე წლისთავის იუბილეს აღნიშვნის შ ე ს ა ხ ე ბ

მიმდინარე წელს რესპუბლიკის ერთ-ერთ უძველეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, ქ. თბილისის 1-ლ საშუალო სკოლას თავისი არსებობის 180 წელი უსრულდება. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიამ, მიიჩნია რა საჭიროდ ამ თარიღის საზეიმოდ აღნიშვნა, გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. ჩატარდეს ქ. თბილისის 1-ლი საშუალო სკოლის 180-ე წლისთავის იუბილე 1983 წლის აპრილში.
2. იუბილეს მომზადებასა და საზეიმოდ აღნიშვნის მიზნით დამტკიცდეს საიუბილეო კომისია წარმოდგენილი სახით (თან ერთვის).
3. დაისვას საკითხი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინაშე იუბილესთან დაკავშირებით დამატებითი სახსრების გამოყოფის შესახებ.
4. დაევალოს საიუბილეო კომისიას მიმდინარე წლის სექტემბერში წარმოადგინოს წინადადებები იუბილეს ჩატარებასთან დაკავშირებით.
5. კონტროლი ამ გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს აღმზრდელობითი მუშაობის სამსართველოს (ამხ. ე. ზარქუა).

**კოლეგიის თავმჯდომარე,**

**მინისტრი ო. ქინქლაძე**

## ქ. თბილისის 1-ლი საშუალო სკოლის 180-ე წლისთავის საიუბილეო კომისია

1. ქინქლაძე ო. — განათლების მინისტრი (თავმჯდომარე)
2. გოგელია ა. — ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ რედაქტორი
3. დოლიძე ბ. — სახალხო განათლების მუზეუმის დირექტორი
4. ზარქუა ე. — განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს უფროსი
5. იოსელიანი დ. — განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირების რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე
6. მჭედლიძე ბ. — რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი
7. საყვარელიძე გ. — ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი
8. შველიძე ნ. — გაზეთ „სახალხო განათლების“ რედაქტორი
9. შეწირული ლ. — 1-ლი საშუალო სკოლის დირექტორი
10. ჩიქვანაია ლ. — ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს უფროსი
11. ძნელაძე ე. — ქ. თბილისის კალინინის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების გამგე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1982 წლის 15 ივნისის ბრძანება № 525

### რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაწყებით კლასებში შრომითი სწავლების მდგომარეობისა და გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაწყებით კლასებსა და დამოუკიდებელ დაწყებით სკოლებში მნიშვნელოვანი ღონისძიებები ხორციელდება სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრკ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 22 დეკემბრის № 1111 დადგენილების „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა სწავლებისა და აღზრდის და შრომისათვის მათი მომზადების შემდგომი სრულყოფის შესახებ“ შესასრულებლად. კერძოდ, გადამუშავდა დაწყებითი კლასების შრომითი სწავლების პროგრამები, რომლებშიც შეტანილი საკითხები უპირველეს მიზნად ისახავენ, ჩამოუყალიბონ ბავშვებს დამოუკიდებელი შრომის უნარ-ჩვევები. რიგ სკოლებში შრომითი სწავლებისათვის გამოიყო დამოუკიდებელი სათავსოები, რომლებიც აღიჭურვა სათანადო დგამ-ავეჯით, მოწყობილობებით, ნაბეჭდი მასალებითა და თვალსაჩინოებით. ამ მხრივ გარკვეული წარმატებები აქვთ ქ. თბილისის 94-ე, 117-ე და 124-ე საშუალო სკოლებს, რომელთა შრომის კაბინეტებში მიზნობრივად გამოიყენება სასწავლო-ტექნიკური საშუალებები.

მასწავლებელთა ერთი ნაწილი კარგად ერკვევა ახალი პროგრამის არსში, პროგრამული მასალის სწავლებას მოხერხებულად უხამებს აღმზრდელობითი ხასიათის საუბრებს, ამყარებს საგანთაშორის კავშირს, მოსწავლეებს აცნობს და აყვარებს მასობრივ პროფესიებს, უყალიბებს პრაქტიკული შრომის ელემენტარულ უნარ-ჩვევებს, საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში ჩასაბმელად აძლევს მეცნიერულ-ტექნიკურ ცოდნას.

ამასთან, დაწყებით კლასებში შრომითი სწავლებისა და აღზრდის საქმეში არსებობს სერიოზული ნაკლოვანებები: სკოლებს, როგორც წესი, არ აქვთ დაწყებით კლასებში შრომითი სწავლებისათვის სათანადოდ მოწყობილი სასწავლო-ტექნიკური ბაზები. მოუწესრიგებელია მოსწავლეთა ინდივიდუალური სამუშაო ადგილები, დაცული არაა უსაფრთხო მუშაობისა და სანიტარულ-ჰიგიენური წესები. სკოლების დიდ ნაწილში არ არის გამოყოფილი მიწის ნაკვეთი დაწყებით კლასებში სასოფლო-სამეურნეო შრომის პრაქტიკუმის ჩასატარებლად, არ არის მუშაობაში დანერგილი ერთწლიანი და მრავალწლიანი მცენარეების მოვლა-მოყვანა.

დაბალ დონეზე ატარებენ გაკვეთილებს მასწავლებლები: ნ. პოლო-

სოვა (მალაროს საშუალო სკოლა), ლ. ხუციშვილი (ანაგის საშუალო სკოლა), ნ. სულხანოვი (ნუკრიანის მე-2 საშუალო სკოლა), გ. ფანჩულიძე (ქ. თბილისის 161-ე საშუალო სკოლა), ლ. გაბრიელაშვილი, ლ. ყუშიტაშვილი (61-ე საშუალო სკოლა), მ. სანაძე, ა. ხუტუაშვილი, გ. ჯაფარიძე, მ. გრძელიშვილი (142-ე საშუალო სკოლა), ზ. ჩანტლაძე (მე-5 საშუალო სკოლა). ისინი ვერ ახერხებენ სასწავლო პროცესის სწორად ორგანიზებას, გაკვეთილს ხსნიან არასწორად, არ წარმართავენ მოსწავლეთა თვითმოქმედებას, არ ამუშავებენ დეტალის დამზადებისას სიზუსტის დაცვისა და სილამაზის მოთხოვნებს. მუშაობის დროს არ იყენებენ მოსწავლეთა დამოუკიდებლობის განვითარების ისეთ ეფექტიან საშუალებას, როგორიცაა შრომითი საქმიანობის პროცესში ურთიერთკონტროლი და ნამუშევრის კოლექტიური შეფასება. აღნიშნული მუშაობა უშუალო გამოხატულებას პოულობს მოსწავლეთა ცოდნაში, რაც ძალზე დაბალია.

დაწყებით კლასებში შრომით სწავლებაში გამოვლინებული ნაკლოვანებები ნაწილობრივ გამოწვეულია საგნის სწავლებაზე სუსტი კონტროლითა და ხელმძღვანელობით. არ ხდება მოწინავე მასწავლებელთა გამოცდილების განზოგადება, არ არის დანერგილი ღია გაკვეთილების ჩატარების პრაქტიკა და სხვა. სკოლის დირექტორები და სასწავლო-აღმზრდელობით დარგში მათი მოადგილეები იშვიათად ისმენენ შრომის გაკვეთილებს დაწყებით კლასებში, თვით ვერ ერკვევიან საგნის სწავლების თანამედროვე ხერხებსა და მეთოდებში, რის გამოც მათ მიერ მიცემული მითითებები და რეკომენდაციები ატარებენ ზოგად, ფორმალურ ხასიათს. მიმდინარე სასწავლო წელს შრომით სწავლებაში (დაწყებითი კლასები) არც ერთი გაკვეთილი არ ქონდათ მოსმენილი: სიღნაღის რაიონის ნუკრიანის მე-2 საშუალო სკოლის დირექტორს ს. შალვაშვილს, მის მოადგილეს ნ. ბახტურიძეს, წნორის მე-3, ქ. თბილისის 124-ე და 142-ე საშუალო სკოლების დირექტორებს: ს. ბოსტოღანაშვილს, ე. ჯაფარიძეს, კ. ლოლაძეს, წნორის 1-ლი, მალაროს, ქ. თბილისის 61-ე, 124-ე, 161-ე საშუალო სკოლების დირექტორის მოადგილეებს: ლ. ყაჯრიშვილს, დ. ნავროზაშვილს, ც. რეხვიაშვილს, გ. გაფრინდაშვილს, შ. ფანჯარაძეს, ა. ტაბატაძეს, ლ. ჩიტრეკაშვილს. აღნიშნულ სკოლებში დღემდე არ არის განხილული განათლების სამინისტროს კოლეგიის 1979 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილება „რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაწყებით კლასებში სწავლების მდგომარეობისა და გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ".

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს დაწყებით კლასებსა და სკოლებში შრომითი სწავლების გაუმჯობესების ღონისძიებათა გეგმა (თან ერთვის).

2. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაწყებითი კლასებისა და სკოლების მასწავლებლებმა:

2. 1. სისტემატურად სრულყონ სწავლების შინაარსი, შემოქმედებითად გამოიყენონ მუშაობის ფორმები და მეთოდები. გაკვეთილებზე შექმნან ცოდნის შემოქმედებითად ათვისების პირობები, საფუძვლიანად გაიცნონ და შეისწავლონ ახალი პროგრამით სწავლების შინაარსი და ამოცანები, არსებითად აამაღლონ სწავლების მეცნიერული დონე, მოსწავლეთა მიერ პროგრამული მასალის ათვისების ხარისხი.

2. 2. ხელი შეუწყონ მოსწავლეთა გონებრივი შესაძლებლობის განვითარებას, გამოუმუშაონ მათ შრომისადმი შემოქმედებითი დამოკიდებულება, პრაქტიკულ საქმიანობაზე დაკვირვების, დამოუკიდებლობისა და ინიციატივის, მხატვრული გემოვნების, მოხერხების, გონებამახვილობის, შესასრულებელ სამუშაოში დეკორაციული, ტექნიკური და ტექნოლოგიური ხასიათის სიახლის ელემენტების შეტანისადმი მისწრაფების უნარ-ჩვევები.

2. 3. განუვითარონ მოსწავლეებს დამოუკიდებელი შრომის ჩვევები, შეასწავლონ ნაკეთობისათვის მასალის შერჩევა, მუშაობის გეგმის შედგენა, ნახაზის წაკითხვა, ზომების განსაზღვრა, ცალკეული დეტალების გამოყოფა და დამზადება, კონსტრუქციების ცალკეულ ელემენტებში ცვლილებათა შეტანა, სამუშაოს ურთიერთდანაწილება და მისი კოლექტიურად შესრულება.

2. 4. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ შრომის კულტურის დანერგვას, საგანთაშორის კავშირის განმტკიცებას, დროის რაციონალურად გამოყენებას, სამუშაო ადგილის ორგანიზაციას, უსაფრთხოების ტექნიკისა და სანიტარულ-ჰიგიენური წესების დაცვას.

2. 5. მოსწავლეთა შრომითი სწავლებისა და აღზრდის სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმონ მოზარდთა სკოლისგარეშე და კლასგარეშე მუშაობას, ტექნიკურ შემოქმედებასა და სასოფლო-სამეურნეო საცდელ მუშაობას (პარკების, ხეივნების, ყვავილნარების გაშენება, ჩითილის, ყვავილის გამოყვანა, სამკურნალო ბალახის შეგროვება), წრეების („ხელმარჯვეთა“, „ნორჩი კონსტრუქტორი“, „ნორჩი ნატურალისტი“) შექმნას.

2. 6. სასკოლო საცდელ მიწის ნაკვეთზე მუშაობის პროცესში თითოეულ მოსწავლეს შესძინონ გარკვეული ცოდნა და უნარ-ჩვევები.

2. 7. შრომას მისცენ საზოგადოებრივ-სასარგებლო ხასიათი, რისთვისაც მოსწავლეებს მონაწილეობა მიაღებინონ შემოქმედებით საქმიანობაში, გამოფენის მოწყობაში ,საკონკურსო შეჯიბრებებსა და მოსავლის აღების ზეიმებში; წიგნების აღდგენაში, რუკების, ცხრილების, ტაბულების დაწებება-დამზადებაში, ოქტომბრელთა ალბომების მოწყობაში, საგანთა შორის კავშირის დასამყარებლად დაამზადებინონ მშობლიური ენის, მათემატიკის, ბუნებისმცოდნეობის გაკვეთილებისა-

თვის გამოსაყენებელი სათვალსაჩინო თვითნაკეთი ხელსაწყოები.

2. 8. შრომითი სწავლების პროცესში საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომა, ტექნიკური შემოქმედება და სოფლის მეურნეობის საცდელი საქმიანობა შეავსონ პროფორიენტაციული მუშაობით. ამ მიზნით მოაწყონ ექსკურსიები პროფესიულ სასწავლებლებში, კოლმეურნეობებსა და მეურნეობებში, ჩაატარონ შეხვედრები შრომის გმირებთან, ხელოვნების, მეცნიერების, კულტურის გამოჩენილ მოღვაწეებთან.

3. სკოლის ხელმძღვანელებმა:

3. 1. იზრუნონ მასწავლებელთა იდეურ-პოლიტიკური, მეცნიერული და პედაგოგიური დახელოვნების დონის ამაღლებისათვის, უფრო ეფექტიანი გახადონ მეთოდური გაერთიანებების საქმიანობა.

3. 2. მიიღონ ზომები დაწყებითი კლასების შრომის კაბინეტების შესაქმნელად, აღჭურვონ ისინი ტექნიკური, სასოფლო-სამეურნეო შრომისათვის საჭირო მოწყობილობებით, თვალსაჩინოებით, ხელსაწყო-იარაღებით, სამარჯვებით, სწავლების ტექნიკური საშუალებებით.

3. 3. სასწავლო კაბინეტების გამოყოფისთანავე ბრძანებით დანიშნონ კაბინეტის გამგეები, აქტით ჩააბარონ მათ კაბინეტის ყოველგვარი ფასეულობა და პასუხისმგებლობა დააკისრონ მის მოვლა-შენახვაზე.

3. 4. გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება კაბინეტების თვალსაჩინო იარაღ-მოწყობილობით აღჭურვის, ფასეულობათა მოვლა-შენახვის, სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვისა და სასწავლო ესთეტიკის მიხედვით მოწყობის საკითხებზე. თვითნაკეთი თვალსაჩინოებით კაბინეტების შევსებისათვის აქტიურად გამოიყენონ სასკოლო სახელოსნოები, მოსწავლეები და საშეფო ორგანიზაციები, გაატარონ წამახალისებელი ღონისძიებები საუკეთესო კაბინეტის გამგეების მიმართ, მათი საუკეთესო გამოცდილება განაზოგადონ სკოლის მუშაკთა შორის.

3. 5. სასოფლო-სამეურნეო შრომისათვის გამოყონ სამუშაო ინვენტარის შესანახი ფარდული და უზრუნველყონ სკოლის ყველა მოსწავლე სათანადო ინვენტარითა და სამუშაო ფორმის ტანსაცმლით.

4. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებმა, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს უფროსმა:

4. 1. შეისწავლონ და კოლეგების, სახალხო განათლების საბჭოების სხდომებზე განიხილონ დაწყებით კლასებში მოსწავლეთა შრომითი სწავლებისა და აღზრდის მდგომარეობა, დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი მის გასაუმჯობესებლად.

4. 2. სრულყონ შრომითი სწავლებისა და აღზრდის მეთოდები, შეუსაბამონ ისინი განათლების შინაარსსა და ცხოვრების მოთხოვნებს; ჩამოუყალიბონ მოსწავლეებს ცოდნის დამოუკიდებლად შევსების უნარი, მიაღწიონ ყოველ გაკვეთილზე მოსწავლეთა მიერ მეცნიერებათა

საფუძვლების დაუფლებას, მათში პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებას.

4. 3. შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი ყველა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში შრომითი სწავლებისა და მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის შემდგომი სრულყოფისათვის; ამ მიზნით უზრუნველყონ შრომითი აღზრდისა და კლასგარეშე მუშაობის პოლიტექნიკური მიმართულება, თეორიულად და პრაქტიკულად გააცნონ მოსწავლეებს სოციალისტური წარმოების ძირითადი დარგები და წამყვანი პროფესიები.

4. 4. თითოეულ სკოლაში შექმნან მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის, დაწყებითი კლასების მოსწავლეთათვის შრომითი სწავლებისა და აღზრდის კაბინეტები.

4. 5. მიიღონ ზომები თვალსაჩინოებით, დიდაქტიკური მასალებით, სწავლების ტექნიკური საშუალებებით დაწყებითი კლასების კაბინეტების უზრუნველყოფისათვის.

4. 6. გაატარონ ღონისძიებანი ყველა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დაწყებითი კლასებისათვის სასწავლო-საცდელი მიწის ნაკვეთის გამოყოფისა და ხელსაწყო-იარაღებით მათი უზრუნველყოფისათვის.

4. 7. მეტი მოთხოვნები წაუყენონ საბაზო საწარმოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებს დაწყებითი კლასებისათვის სასწავლო კაბინეტების მოწყობის, სასწავლო-საცდელი მიწის ნაკვეთების შექმნის საქმეში.

4. 8. დაწყებითი კლასების შრომის მასწავლებლების მეთოდური დახმარების მიზნით შეარჩიონ რაიონში (ქალაქში) საყრდენი სკოლები, მოაწყონ სანიმუშოდ და გახადონ ისინი ამ საგნის მასწავლებელთა პედაგოგიურ-მეთოდური დახელოვნების ცენტრად.

4. 9. სისტემატურად ჩაატარონ მოსწავლეთა შრომითი აღზრდის საკითხებისადმი მიძღვნილი საოლქო, საქალაქო და სარაიონო თათბირები, კონფერენციები, სემინარები.

4. 10. უზრუნველყონ შრომის იმ მასწავლებელთა დაუსწრებელ სწავლებაში ჩაბმა, რომელთაც უმაღლესი განათლება არ აქვთ.

4. 11. სისტემატური მუშაობა ჩაატარონ შრომითი სწავლების მოწინავე მასწავლებელთა გამოვლინების, მათი გამოცდილების შესწავლისა და განზოგადების საქმეში.

4. 12. 1981—1982 სასწავლო წლის დამთავრებამდე შეისწავლონ დაწყებითი კლასებისათვის არსებული შრომის კაბინეტების სასწავლო მატერიალურ-ტექნიკური ბაზების მომზადება-მოწყობის მდგომარეობა და გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად გაატარონ სათანადო ღონისძიებანი.

5. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურმა ინსტიტუტმა (ამხ. მ. დარჩია):

5. 1. გააუმჯობესოს დაწყებითი კლასების შრომითი სწავლების მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების საქმე, ფართოდ ჩააბას ინსტიტუტის მუშაკები სასწავლო პროგრამების, სახელმძღვანელოების, დამხმარე ლიტერატურის რეცენზირება-განხილვაში.

5. 2. მასწავლებელთა აგვისტოსა და იანვრის კონფერენციებზე განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს სიახლეებს დაწყებითი კლასების შრომითი სწავლების მეთოდიკაში, ცვლილებებს სასწავლო პროგრამებში და სხვ.

6. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს შრომითი სწავლებისა და პროფესიული ორიენტაციის სექტორმა (ამხ. გ. დევდარიანი):

6. 1. სახელმძღვანელოების სამმართველოსთან ერთად (ამხ. ნ. ღლონტი) უზრუნველყოს 1982—1986 წლებში დაწყებითი კლასების შრომითი სწავლების მასწავლებელთა დასახმარებლად ქართულ ენაზე მეთოდური ლიტერატურის შექმნა, თარგმნა და გამოცემა.

6. 2. გამოავლინოს დაწყებითი კლსაების შრომის საუკეთესო მასწავლებლები, მოახდინოს მათი გამოცდილების განზოგადება.

6. 3. მომავალი სასწავლო წლისათვის სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატების ძალებით დაამზადოს დაწყებითი კლასების შრომის იარაღები შემუშავებული ნუსხის მიხედვით, მომარაგების მთავარ სამმართველოსთან ერთად (ამხ. კ. ძლიერიშვილი) უზრუნველყოს სკოლებისათვის მათი მიწოდება.

7. გაზეთ „სახალხო განათლების", ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების" რედაქციებმა (ამხ. ამხ. ნ. შველიძე, ა. გოგელია):

7. 1. სისტემატურად გააშუქონ გაზეთსა და ჟურნალის საგნობრივ დამატებაში „დაწყებითი სკოლა და სკოლამდელი აღზრდა" შრომითი სწავლების აქტუალური საკითხები.

8. სახელმძღვანელოების სამმართველომ (ამხ. ნ. ღლონტი):

8. 1. 1982-1986 წლების გამოცემის გეგმებში გაითვალისწინოს სკოლების სამმართველოს მიერ წარმოდგენილი დაწყებითი კლასების შრომითი სწავლების მასწავლებელთათვის მეთოდური ლიტერატურის გამოცემა.

9. მომარაგების მთავარმა სამმართველომ (ამხ. კ. ძლიერიშვილი):

9. 1. უზრუნველყოს სკოლები სასწავლო შრომის კაბინეტების კომპლექტებით, ხელსაწყო-იარაღებით, სამუშაო მასალებით მოსწავლეთა კონტინგენტის გათვალისწინებით.

10. კაპიტალური მშენებლობის განყოფილებამ (ამხ. ზ. აფხაზავა):

10. 1. სათანადო დახმარება გაუწიოს სახალხო განათლების ადგილობრივ ორგანოებს სკოლებისათვის დაწყებითი კლასების შრომის კაბინეტების მიშენებაში.

11. სკოლების სამმართველომ (ამხ. კ. სუჯაშვილი):

11. 1. სისტემატურად შეამოწმოს შრომითი სწავლების მდგომარეობა რესპუბლიკის სკოლების დაწყებით კლასებში, შემოწმების შედეგები განიხილოს სპეციალურ თათბირებზე.

11. 2. მანვე კონტროლი დააწესოს ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობაზე.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1982 წლის 27 მაისის გადაწყვეტილება.

**მინისტრი ო. ქინქლაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დაწყებით კლასებში შრომითი სწავლების გაუმჯობესების ღონისძიებათა პერსპექტიული გეგმა

## (1982—1986 წ. წ.)

| № | ღონისძიებანი | პასუხისმგებელი შესრულებაზე | შესრულების ვადა | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|
| 1 | საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 9 ნოემბრის № 672 დადგენილების „მოსწავლეთა შრომითი სწავლების გასაუმჯობესებლად ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზის შემდგომი განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ" შესრულების უზრუნველყოფა. | სკოლების სამმართველო | სისტემატურად | |
| 2 | შრომითი სწავლების პრობლემებზე რესპუბლიკური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის ორგანიზება და ჩატარება, მასწავლებელთა და მოსწავლეთა თვითნაკეთობის გამოფენა; კონფერენციის მასალების მომზადება და გამოცემა. | სკოლების სამმართველო, რესპუბლიკური მეთოდცენტრი, ი. გოგებაშვილის სახ. პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, ა. ს. პუშკინის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტი | 1985 წ. | |
| 3 | დაწყებით კლასებში მოსწავლეთა შრომითი სწავლებისა და აღზრდის მდგომარეობის შესწავლა. | სკოლების სამმართველო, რესპუბლიკური მეთოდცენტრი | 1984 წ. | |
| 4 | დაწყებითი კლასების შრომის მოწინავე მასწავლებელთა გამოცდილების შესწავლა-განზოგადება. | სკოლების სამმართველო, რესპუბლიკური მეთოდცენტრი | სისტემატურად | |
| 5 | დაწყებითი კლასების მოსწავლეთათვის შრომითი სწავლებისა და აღზრდის სასწავლო კაბინეტების მეთოდური ლიტერატურით, თვალსაჩინო-დიდაქტიკური მასალებით, შესაბამისი ხელსაწყო-იარაღებითა და ტექნიკური საშუალებებით აღჭურვა. | სკოლების სამმართველო, ადგილობრივი სახალხო განათლების ორგანოები, მომარაგების მთავარი სამმართველო | 1982—1986 წ. წ. | |

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
|---|---|---|---|---|
| 6 | სასწავლო კაბინეტების გაფორმებისა და გამოყენების თაობაზე მეთოდიკური რეკომენდაციების შემუშავება. | სკოლების სამმართველო, რესპუბლიკური მეთოდცენტრი, ი. გოგებაშვილის სახ. პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი | 1982 წ. | |
| 7 | სასწავლო კაბინეტების რესპუბლიკური დათვალიერების ჩატარება. | სკოლების სამმართველო, რესპუბლიკური მეთოდცენტრი | 1983—1985 წ. წ. | |
| 8 | რესპუბლიკის ყველა ქალაქსა და რაიონში საბაზო სკოლების გამოყოფა. | სკოლების სამმართველო | 1982—1983 წ. წ. | |
| 9 | დაწყებითი კლასების მოსწავლეთა უზრუნველყოფა სასოფლო-სამეურნეო ინვენტარით | სკოლების სამმართველო, მომარაგების მთავარი სამმართველო, ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს ტექ. სამმართველო | სისტემატურად | |
| 10 | რესპუბლიკის რიგ ქალაქებსა და რაიონებში (სადაც ფაბრიკა-ქარხნებია) დაწყებითი კლასების მოსწავლეთათვის შრომის გაკვეთილზე გამოსაყენებელი მასალებისათვის (ნარჩენები) სპეციალური მაღაზიის გახსნა. | სკოლების სამმართველო, მომარაგების მრავარი სამმართველო | 1982 წ. | |
| 11 | დაწყებითი კლასების შრომითი სწავლების ახალი პროგრამების სრულყოფის ორგანიზაცია. | სკოლების სამმართველო, რესპუბლიკური მეთოდცენტრი, ი. გოგებაშვილის სახ. პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი | 1982 წ. | |
| 12 | ახალი პროგრამების შესაბამისი დამხმარე მეთოდური ლიტერატურის შექმნა (თითოეული კლასისათვის ცალ-ცალკე). | სკოლების სამმართველო, რესპუბლიკური მეთოდცენტრი, სახელმძღვანელოების სამმართველო, ი. გოგებაშვილის სახ. პე- | 1982—1986 წ. წ. | |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
|---|---|---|---|---|
| | | დაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, მასწავლებელთა დახელვონების ცენტრალური ინსტიტუტი | | |
| 13 | ტექნიკურ შრომაში I-III კლასებისათვის ნაბეჭდი ტაბულების გამოცემა. | სკოლების სამმართველო, სახელმძღვანელოების სამმართველო, ი. გოგებაშვილის სახ. პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტი | 1982—1986 წ. წ. | |
| 14 | ქსოვილზე მუშაობისათვის თარგების დამზადება. | —"— | | |
| 15 | კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით დახელოვნების კურსებზე შრომითი სწავლების მასწავლებელთა გადამზადება. | მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტი | 1982—1986 წ. წ. | |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ცნობა

### რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაწყებით კლასებში შრომითი სწავლების მდგომარეობისა და გაუმჯობესების ღონისძიებათა შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს 1981 წლის სამუშაო გეგმის შესაბამისად ა/წლის 16-21 ნოემბერს შემოწმდა მოსწავლეთა შრომითი აღზრდისა და სწავლების მდგომარეობა ქ. თბილისის საქარხნო, ოქტომბრის, ლენინის, ორჯონიკიძის რაიონებსა და სიღნაღის რაიონში.

შემოწმებით გამოირკვა, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრკ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 22 დეკემბრის ცნობილმა დადგენილებამ და შესაბამისად საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის 18 აპრილის დადგენილებამ „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა სწავლებისა და აღზრდის და შრომისათვის მათი მომზადების შემდგომი სრულყოფის შესახებ“ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი შრომითი სწავლების მდგომარეობის გაუმჯობესებას. შესაბამისად გადამუშავდა დაწყებითი კლასების შრომითი სწავლების სასწავლო პროგრამები. მათში შერჩეულ და შეტანილ იქნა ისეთი მასალები, რომლებიც მოსწავლეებს ჩამოუყალიბებს დამოუკიდებელი შემოქმედებითი მუშაობის, შრომის უნარ-ჩვევებს.

რიგ სკოლებში შრომითი სწავლებისათვის გამოიყო დამოუკიდებელი სათავსო, რომელიც აღიჭურვა დგამ-ავეჯით, მოწყობილობებით, ნაბეჭდი თვალსაჩინოებითა და სამუშაო მასალებით.

ამ მხრივ გარკვეული მუშაობაა ჩატარებული საქარხნო რაიონის 94-ე, 117-ე და 124-ე ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებში.

მათი მუშაობის შემოწმებამ ცხადყო, რომ შრომის კაბინეტის პირობებში უფრო სრულყოფილად ხდება სასწავლო-ტექნიკურ საშუალებათა გამოყენება, მაღლდება მასწავლებელთა პასუხისმგებლობა, გაკვეთილის მეცნიერული დონე და მოსწავლეთა მიერ პროგრამული მასალის ათვისების ხარისხი, უკეთ ხერხდება სასწავლო მოწყობილობისა და ინვენტარის მოვლა-პატრონობა.

მასწავლებელთა გარკვეული ნაწილი ერკვევა ახალი პროგრამის შინაარსში, ხელმძღვანელობს პარტიისა და მთავრობის სადირექტივო გადაწყვეტილებებით, მასწავლებელთა საკავშირო და რესპუბლიკის ყრილობების რეკომენდაციებით, მასალასთან დაკავშირებით მოხდენილად ატარებს აღმზრდელობითი ხასიათის საუბრებს, ახდენს საგანთა შორის კავშირს, მოსწავლეებს აცნობს მასობრივ პროფესიებს, უყალიბებს პრაქტიკული შრომის ელემენტარულ უნარ-ჩვევებს, საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში ჩასაბმელად აძლევს მეცნიერულ-ტექნიკურ ცოდნას.

დიდი მონდომებითა და სიყვარულით მუშაობენ ნ. აფციაური, ს. ნაყოფია, ლ. ახალკაცი, ვ. ჭიპაშვილი (ქ. თბილისის 117-ე საშუალო სკოლა), ც. ვარსიმაშვილი (124-ე საშუალო სკოლა), ლ. ხარატიშვილი (94-ე საშუალო სკოლა), ე. წიფურია, მ. მოგელაძე (161-ე საშუალო სკოლა), ლ. იმნაძე, მ. ლეჟავა, ი. დოლიძე, ი. კალმახელიძე (61-ე საშუალო სკოლა), ვ. ტარყაშვილი და თ. ბაქრაძე (მე-5 საშუალო სკოლა), ე .ჩიბუხაშვილი (ანაგის საშუალო სკოლა), მ. აბულაშვილი (ბოდბის საშუალო სკოლა), ლ. ჩულაშვილი (წნორის მე-3 საშუალო სკოლა), ლ. ჯავაშვილი (წნორის 1-ლი საშუალო სკოლა), დამაკმაყოფილებელია მათ კლასებში შრომითი სწავლებისა და აღზრდის დონე, მოსწავლეეებმა იციან სხვადასხვა მასალების (ქაღალდი, ქსოვილი, მავთული) დასახელება, ნაირსახეობა, თვისებები, დანიშნულება, მათი ეკონომიკური ხარჯვა, მასალის შერჩევა, მუშაობისას სანიტარულ-ჰიგიენური პირობების, უსაფრთხოების წესების დაცვა, სამუშაო ადგილის ორგანიზება. სასიამოვნოა მათი გარეგნული ელფერი და შრომითი ატმოსფერო.

მიუხედავად აღნიშნულისა, შეინიშნება ნაკლოვანებებიც:

შრომითი სწავლებისათვის სათანადოდ მოწყობილი სასწავლო-ტექნიკური ბაზები არც ერთ შემოწმებულ სკოლას არ აქვს.

დღემდე არაა შექმნილი კაბინეტები სიღნაღის, ქ. თბილისის ოქტომბრის, ლენინისა და ორჯონიკიძის რაიონების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, ხოლო სადაც არის, არასრულყოფილადაა მოწყობილი. მოუწესრიგებელია მოსწავლეთა ინდივიდუალური სამუშაო ადგილები, დაცული არაა უსაფრთხო მუშაობისა და სანიტარულ-ჰიგიენური წესები, რაც ნაწილობრივ იმითაა განპირობებული, რომ ისინი არ იცნობენ სასწავლო კაბინეტების მოწყობის შესახებ მეთოდიკურ რეკომენდაციებს.

რესპუბლიკის ზოგ სკოლებში (ქ. თბილისის მე-5, 61-ე, 142-ე) შრომის კაბინეტების მოწყობის საქმეს ხელს უშლის სასკოლო შენობების ფართობის სიმცირე, რის გამოც გაკვეთილები ტარდება საკლასო ოთახებში, მასწავლებლები უზრუნველყოფილნი არ არიან სამუშაო მასალებითა და თვალსაჩინოებით, ხოლო თვითონ ნაკლებად ზრუნავენ მათ შექმნაზე.

არც ერთ შემოწმებულ სკოლაში სასოფლო-სამეურნეო შრომის პრაქტიკული სამუშაოების ჩასატარებლად არაა გამოყოფილი დაწყებითი კლასებისათვის სასწავლო-საცდელი მიწის ნაკვეთი (0,3—0,5 ჰა), არ არის მუშაობაში დანერგილი ერთწლიანი და მრავალწლიანი მცენარეების მოვლა-მოყვანა, რათა სასოფლო-სამეურნეო შრომის გაკვეთილებზე ძირითადი ადგილი მოსწავლეთა ცდებს დაეთმოს.

ასევე, პროგრამაში შეტანილ ტექნიკური შრომის ზოგიერთ საკითხებზე (მერქანზე მუშაობა, ტექნიკის ელემენტების გაცნობა, კონს-

ტრუირება) მუშაობა საერთოდ არ წარმოებს და გაკვეთილებიც დაბალ დონეზე ტარდება.

ბიბლიოთეკა

მასწავლებელთა თემატური გეგმები არაა ახალი პროგრამის მიხედვით შედგენილი, შრომის თითოეულ სახეობაზე საათების განაწილება არასწორია (მაგალითად: ქაღალდზე მუშაობას, ნაცვლად 6-ისა, უთმობენ 12 საათს), შესასრულებლად შეტანილი ნაკეთობანი არ არის ამოღებული სანიმუშო ნუსხიდან და არც ისეთითაა შეცვლილი, რომ უპასუხებდეს შესწავლილი თემის შინაარსს.

დაწყებით კლასებში მოსწავლეთა შრომითი სწავლებისა და აღზრდის მაღალ დონეზე დაყენების საქმეს მნიშვნელოვნად უშლის ხელს შრომითი სწავლების სახელმძღვანელოებისა და მასწავლებელთა დასახმარებლად მეთოდური ლიტერატურის უქონლობა, ასევე ძნელად მისაწვდომია სამუშაო მასალაც, ნაკლებად ხდება საზოგადოებრივ-სასარგებლო ნაკეთობების დამზადება, პრაქტიკაში არ ინერგება თვითნაკეთი თვალსაჩინოების, პროგრამით გათვალისწინებული დიდაქტიკური მასალების — ცხრილების, ტაბულების, მოძრავი ანბანის, მათემატიკური კიბის, ლოტოს დამზადება მოსწავლეთა მეშვეობით. მასწავლებლები საკლასო ოთახის თვითნაკეთი თვალსაჩინოებების შევსების მიზნით არ იყენებენ სკოლის სახელოსნოებს, უფროსი კლასის მოსწავლეებს და საშეფო ორგანიზაციებს.

შესწავლილი სკოლების მასწავლებელთა უმრავლესობა ვერ წარმართავს გაკვეთილებს თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე. სათანადოდ ვერ წვდება ახალი პროგრამით სწავლების შინაარსსა და ამოცანებს, თითოეული გაკვეთილის სტრუქტურულ თავისებურებებს, შემოქმედებითად არ იყენებს მუშაობის ფორმებსა და მეთოდებს, ვერ ითვალისწინებს მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებს და მოსწავლეთა შემეცნებითი აქტივობა, მათი ინტერესების მრავალმხრივი განვითარებაც არ ჩანს.

დაბალ დონეზე ატარებენ გაკვეთილებს მასწავლებლები: ნ. პოლოსოვა (მაღაროს საშუალო სკოლა), ლ. ხუციშვილი (ანაგის საშუალო სკოლა), ნ. სულხანოვი (ნუკრიანის მე-2 საშუალო სკოლა), გ. ფანჩულიძე (161-ე საშუალო სკოლა), ლ. გაბრიელაშვილი და ლ. ყუშიტაშვილი (61-ე საშუალო სკოლა), მ. სანაძე, ა. ხუტუაშვილი, გ. ჯაფარიძე, მ. გრძელიშვილი (142-ე საშუალო სკოლა), ზ. ჩანტლაძე (მე-5 საშუალო სკოლა). ისინი მუშაობისას არ ხელმძღვანელობენ შრომის ახალი პროგრამებით, მასალას არასწორად ხსნიან, ვერ ახერხებენ სწავლების პროცესში განმავითარებელი პრინციპების დაცვას, საგანთაშორისი კავშირის დამყარებას, პროფორიენტაციულ მუშაობას, ნაკლებად ცდილობენ მოსწავლეებში დამოუკიდებელი აზროვნების განვითარებისათვის.

აღნიშნული მასწავლებლები ვერ ახერხებენ გაკვეთილების ორგანიზებას პროგრამული მასალის მოთხოვნათა შესაბამისად, გაკვეთილის

ახსნისას არ წარმართავენ მოსწავლეთა თვითმოქმედებას, ნაკეთობისათვის მასალის შერჩევის, ნაკეთობის გეგმის შედგნის, მასალაზე ზომების განსაზღვრის, ცალკეული დეტალების დამზადების, კონსტრუქციებში ცალკეული ელემენტების ცვლილებათა შეტანის, ნაკეთობის ლამაზად გამოყვანის, სხვადასხვა მასალისაგან მისი დამზადების დროს არ ნერგავენ მოსწავლეთა დამოუკიდებლობის განვითარების ისეთ სასარგებლო ფორმას, როგორიცაა მუშაობის პროცესში ურთიერთკონტროლი და შესრულებული სამუშაოს კოლექტიური შეფასება.

ზემოაღნიშნულის გამო მოსწავლეებში არ არის გამომუშავებული შრომისადმი შემოქმედებითი დამოკიდებულება, სამუშაო პროცესზე დაკვირვების, დამოუკიდებლობისა და ინიციატივის, გონებამახვილობის, გამჭრიახობისა და მიხვედრილობის, შესასრულებელ სამუშაოში დეკორაციული, ტექნიკური და ტექნოლოგიური ხასიათის სიახლის ელემენტების შეტანისადმი მისწრაფების, თვითკონტროლის უნარ-ჩვევები.

მასწავლებელი მ. სანაძე (თბილისის 142-ე საშუალო სკოლა) თხრობის მეთოდით ხსნის ახალ მასალას, რითაც ახშობს მოსწავლეთა შემეცნების აქტივობას, გაკვეთილის დაწყებისთანავე თვით საუბრობს ქაღალდის დამზადებაზე, მის თვისებებზე, დანიშნულებაზე, დაფაზე უხაზავს გეომეტრიულ ფიგურებს (ოთხკუთხედი, წრეწირი, მართკუთხედი) და ცალ-ცალკე უხსნის მოსწავლეებს მათ შემადგენლობას, ცალკეულ ნაწილებს, დასახელებას (მოსწავლეები კი მაყურებლის როლში გამოჰყავს), შემდეგ ავალებს წრეების გამოჭრას და რვეულში ჩაწებებას. ამგვარი მუშაობის შედეგი იყო, რომ მოსწავლეებს გაუჭირდათ წრის მართებულად გამოჭრა, დაწებება, სამუშაოს დამთავრება. მოსწავლეებში ფორმირებული არ არის კონსტრუქციულ-ტექნიკური, დამოუკიდებელი მუშაობის, სხვა საგნებში მიღებული ცოდნისა და ჩანაფიქრის პრაქტიკულად განხორციელების უნარ-ჩვევები.

ნაკლოვანებებით ხასიათდება მასწავლებელ ზ. ჩანტლაძის (თბილისის მე-5 საშუალო სკოლა) მუშაობა. მან ქაღალდზე მუშაობა შემდეგნაირად ჩაატარა: „პირველად ქაღალდს გადავკეცავთ და მოვხევთ, დარჩება სამკუთხედი, გაშლილი კი ოთხკუთხედია, ახლა ამას სამად გადავკეცავთ, ისევ გავშლით, ახლა პირიქით გადავკეცავთ, მივიღებთ ასეთი ფორმისას, ასეც ეტყობა სწორი ხაზები, ისეც. მაკრატელს ავიღებთ და შევჭრით — ჯერ აქედან — მერე იქიდან, რატომ შევჭრით? იმიტომ, რომ მერე შევაწებოთ“ (სტილი დაცულია). ამის შემდეგ მოსწავლეები შეუდგნენ ნაკეთობის დამზადებას, მაგრამ მოსწავლეთა ნაწილს მუშაობისათვის საჭირო ქაღალდი, სახაზავი და სამარჯვები არ აღმოაჩნდა. მათ ვერ მოახერხეს რვეულის ფურცლის სწორად გადაკეცვა და კალათის სრულყოფილად დამზადება, მათი ცოდნის დაბალი დონე გამომჟღავნდა ნაკეთობის კონსტრუქციაში, დეკორატიულ გაფორმებასა და დამზადების ხერხებში.

მასწავლებელს არ მოუხდენია მოსწავლეთა წინაშე ნიმუშის დემონსტრირება, არ უჩვენებია დაფაზე ამ საგნის ტექნიკური ნახატი ან ნახაზი, ყურადღება არ გაუმახვილებია მოცემული თემისათვის ისეთ აუცილებელ ელემენტებზე, როგორიცაა მოსწავლეთა საშუალებით მოცემულ-ნახატსა ან ნახაზში შესასრულებელი ნაკეთობის კონსტრუქციის ამოკითხვა, მის საფუძველზე ცალკეულ ელემენტებს შორის დამაკავშირებელი კვანძების (დეტალების) შემჩნევა, მუშაობის გეგმის, ასევე ქაღალდის ფურცლებზე შლილის ნახაზის შედგენა, ზომების განსაზღვრა, გამოჭრა, დაწებება და ნაკეთობის მხატვრულად გაფორმება.

ნაცვლად იმისა, რომ მასწავლებელს მოსწავლეთა მიერ შედგენილი გეგმის მიხედვით მოეხდინა ნაკეთობის დამზადება, მასში შეცდომების გათვალისწინება, მუშაობის შეფასება, შესრულების გაანალიზება, გამოცდილების განზოგადება, მან შუა გაკვეთილზე, რამდენჯერმე დაჟინებითი მოთხოვნით, მოსწავლეებს მუშაობა შეაწყვეტინა და ჩაატარა საუბარი სახლმძღვანელოების მოვლა-პატრონობაზე.

ანალოგიურ შემთხვევას ადგილი ქონდა მასწავლებლების მ. გრძელიშვილის და გ. ჯაფარიძის (თბილისის 142-ე საშუალო სკოლა) გაკვეთილებზე.

მ. გრძელიშვილმა მოსწავლეებს დაავალა მის მიერ წინასწარ გამოჭრილი კურდღლის სილუეტების ქაღალდის ფურცლებზე ჩაწებება, გ. ჯაფარიძემ კი მერცხლის სილუეტებისა, მაგრამ ბავშვებმა მთელი გაკვეთილის მანძილზე ვერ მოასწრეს ამ დავალებების შესრულება.

მოსწავლეებმა არ იციან დეტალების რაოდენობის განსაზღვრა, შეერთების ხერხები, ნახაზის წაკითხვა, სამუშაო გეგმის შედგენა, გაზომვა, ზომების მიხედვით დეტალების დამზადება.

თითქმის ყველა ზემოდასახელებული მასწავლებელი არ ახდენს გაკვეთილზე დამთავრებული და დაუმთავრებელი ნაკეთობების შეგროვებას, ადგილზე ჩაწყობას, მოსწავლეთა შეფასებას, მზა ნაკეთობის დემონსტრაციას მოქმედებაში, შესრულებული გეგმის განხილვას.

ზემოაღნიშნულ სკოლებში შრომით სწავლებაში გამოვლინებული ნაკლოვანებები ნაწილობრივ იმითაა გამოწვეული, რომ სუსტია კონტროლი და ხელმძღვანელობა ამ საგნისადმი, არ ხდება მოწინავე მასწავლებელთა გამოცდილების განზოგადება, გაკვეთილებზე ურთიერთდასწრება, ღია გაკვეთილების ჩატარება.

სკოლის დირექტორები და მათი მოადგილეები სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში იშვიათად ესწრებიან მასწავლებლებს შრომის გაკვეთილებზე, სუსტია მოსმენილი გაკვეთილების ანალიზები, მასწავლებლებს არ ეძლევათ საჭირო მითითებები საგნის სწავლების სათანადო დონეზე დაყენებისათვის.

მიმდინარე წელს შრომით სწავლებაში არც ერთი გაკვეთილი არ

ქონდათ მოსმენილი სიღნაღის რაიონის ნუკრიანის მე-2 საშუალო სკოლის დირექტორს ს. შალვაშვილს, მის მოადგილეს ნ. ბახტურიძეს, წნორის მე-3 საშუალო სკოლის დირექტორს ს. ბოსტოლანაშვილს, წნორის 1-ლი საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილეს ლ. ყაჯრიშვილს, მალაროს საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილეს დ. ნავროზაშვილს, ქ. თბილისის 61-ე, 124-ე, 161-ე საშუალო სკოლების დირექტორის მოადგილეებს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში: ც. რეხვიაშვილს, ზ. გაფრინდაშვილს, შ. ფანჯარაძეს, ა. ტაბატაძეს, ლ. ჩიტრეკაშვილს, 124-ე და 142-ე საშუალო სკოლების დირექტორებს: ე. ჯაფარიძეს და კ. ლოლაძეს. არც ერთ შემოწმებულ სკოლაში დღემდე არ არის განხილული 1979 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილება „რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაწყებით კლასებში სწავლების მდგომარეობისა და გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ", ასევე არც ერთ შემოწმებულ სკოლაში პედაგოგიური საბჭოს მსჯელობის საგანი არ გამხდარა შრომითი სწავლება, ხოლო თბილისის 61-ე, 117-ე, 161-ე, 142-ე საშუალო სკოლებში მისი შემოწმება მეორე სემესტრისთვისაა გათვალისწინებული.

სკოლებში სათანადო სიმაღლეზე არაა დაყენებული მეთოდური მუშაობა. მეთოდგაერთიანებების გეგმებში იშვიათად ვხვდებით საკითხებს შრომით სწავლებაზე.

**სკოლების სამმართველო**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# შინაარსი

გადაწყვეტილება — რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და სახალხო განათლების ორგანოებში ერთიანი ენობრივი რეჟიმის დაცვის მდგომარეობისა და გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ . . . . . . 3

გადაწყვეტილება — საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ მიღებული დადგენილებიდან გამომდინარე ამოცანების თობაზე ახალგაზრდა თაობის პოლიტიკურ, იდეურ-ზნეობრივ აღზრდაში ოჯახის როლის, მშობელთა პერსონალური პასუხისმგებლობის ამაღლებისათვის ქ. თბილისის ლენინისა და ზესტაფონის რაიონული პარტიული ორგანიზაციების მუშაობის შესახებ 15

გადაწყვეტილება — ქ. თბილისის რიგ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში აღმოსავლური ენების სწავლებისა და გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ . 23

გადაწყვეტილება — ბუნების ნორჩ დამცველთა მე-13 რესპუბლიკური შეკრების ჩატარების შესახებ . . . . . . . . . . . . 30

ბრძანება № 490/376/ო — შვილად აყვანის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ . . . . . . . . . . . 46

ინსტრუქცია შვილად აყვანის შესახებ . . . . . . . . 47

Приказ № 490/376/о — об утверждении Инструкции об усыновлении 56

Инструкция об усыновлении (удочерении) . . . . . . . 57

გადაწყვეტილება — მომუშავე ახალგაზრდობის საღამოსა და დაუსწრებელი სწავლების სრულყოფის თაობაზე საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1979 წლის 3 დეკემბრის № 17/17 ერთობლივი ბრძანების შესრულების შესახებ . . . . . . . 65

გადაწყვეტილება — ქ. თბილისის 1-ლი საშუალო სკოლის 180-ე წლისთავის იუბილეს აღნიშვნის შესახებ . . . . . . . . . . . 69

ბრძანება № 525 — რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაწყებით კლასებში შრომითი სწავლების მდგომარეობისა და გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ . . . . . . . . . . . . . . 71